# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 22 ოქტომბერი 2002 №200 (1722) | ფასი 50 თეთრი




რუსთავის „გორდა“ „მერანს“ ამაოდ ელოდა

# მერანმა დაიფიცა და გაიფიცა წინდაცვეთა გურჯაანში



საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის სამ დღეზე გადაჭიმული პირველი ტური სრულიად არაჩვეულებრივი გამოდგა — არც ქვა უსროლია ვინმეს და არც მსაჯი გაულახავთ. ერთიც ისეთი ამბავი გამოერია, აქამდე რომ არ მომხდარა — უხელფასო მერანელები რუსთავში სათამაშოდ არ გაიდნენ.

„ფოლადზე“ თამაში რომ ჩაიშლებოდა, წინასწარ იყო ცნობილი. კლუბი ფეხბურთელებს ხელფას-პრემიების ნაცვლად აგერ უკვე სამი თვეა, დაპირებებით კვებავს, მაგრამ შეუსრულებელ დაპირებას ვინ გაუძლია. მოკლედ, „მერანის“ საქმეს ფედერაცია განიხილავს და წესით და რიგით, კლუბი უნდა დასაჯოს. ოღონდ ეგაა, სასჯელი სახელფასე ფულს ვერ გააჩენს, ხოლო თუ გააჩინა, საკითხავია, ფეხბურთელებს აქამდე რატომ აწვალებდნენ. ისიც საკითხავია, სეზონის წინ ფედერაცია კლუბს ჩემპიონატის ნორმალურად ჩატარების გარანტიებს რატომ არ თხოვს.

ასეა თუ ისე, „გორდას“ მერანთან“ მოგება ჩაეთვლება. „მერანი“ კი აქამდე ერთადერთი გუნდი იყო, რუსთაველებს ჩემპიონატში დამარცხებული რომ არ ჰყავდათ. ფედერაცია ვახსენეთ და, მის გენერალურ მდივანს გუშინ უსიამოვნება შეემთხვა. ოღონდ ჩაბნელებული სტადიონი, ჩაშლილი თამაში თუ აბეზარი ჟურნალისტი არაფერ შუაშია, ვალერი ჩოლარიას უსიამოვნება წყნეთიდან მოჰქროდა და მის მანქანას უკანა ფარი ჩაუმტვრია.

აი, მავანმა გურჯაანელმა წინდების გამყიდველმა კი ერთიანად დაიცალა ხელი და ჟინძლო, ფეხბურთის მომგონი, უფრო კი ანატოლი მილჩენკო გულიანად დალოცა. ისე მოხდა, რომ „მილანისა“ და „კოლხეთის“ ფეხბურთელებს ერთნაირი ფერის გეტრები ეცვათ და მილჩენკომ მასპინძლებს გამოცვლა უბრძანა. იმათ კი არ აღმოაჩნდათ, იქვე წინდები იყიდეს და გეტრებზე ამოიცვეს. მილანელებმა თამაშიც მოიგეს.

გაიმარჯვეს „დინამომ“ და „ტორპედომ“, რაც, ცხადია, არ გაგიკვირდებათ, ზედიზედ ორი ნაგების მერე „ლოკომოტივის“ გამარჯვების შემსწრე კი ოდენ ასიოდე ქომაგი, მთელემარე პოლიციელები და ახლახან ჩხაიძისგან შერისხული ყოფილი ლოკომოტიველები შეიქნენ.

დღეს კი თბილისში სანაკრებო ფეხბურთი ბრუნდება, 19-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს იწყებენ. ქართველთა პირველი მეტოქე ბელგიაა. კიდევ კარგი, მატჩები დღისით დანიშნეს, თორემ რა იცი, რა ხდება...

ნაკრების მწვრთნელი ოთარ კორღალიძე იმედიანადაა, ბიჭებს ალექსანდრე ჩივაძე შეხვდა და გაამხნევა, რაც ცოტას როდი ნიშნავსო. რაკი ჩივაძემ გაამხნევა, სანერვიულოც არაფერია...


იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე გვერდები




ჰკაკი ჩხაიძისგან მოკვეთილი „ლოკომოტივის“ მწვრთნელ-ფეხბურთელები

ეროვნული ბიბლიოთეკა





სოსო ფილია

# ფილიამ გურჯაანში დასვენება გადაწყვიტა

## კოლხეთის მწვრთნელი წავიდა, დარჩა და წასვლას აპირებს

**სტუმრად** წარუმატებელი სერია „კოლხეთმა" გურჯაანშიც გააგრძელა. ფოთებელმა უსახურად ითამაშეს „მილანთან" და ნამატჩევს ცხელ გულზე კოლხთა თავკაცმა სოსო ფილიამ გადავდექიო, თქვა.

„მორჩა, დავიღალე. გუნდიდან წასვლა წინა ჩემპიონატის ბოლოსაც მსურდა. მაგრამ მაშინ, „კოლხეთში" გაახალგაზრდავების პროცესი უნდა დაწყებულიყო და ეს ნაბიჯი გაუმართლებელი იქნებოდა, დღეს კი ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა გვყავს, ისინი კარგად შეეწყვნენ გამოცდილ ფეხბურთელებს და ვფიქრობ, „კოლხეთის" მომავალ მწვრთნელს ამ გუნდში ყველაფერი გამზადებული დახვდება და მუშაობა არ გაუჭირდება. მე კი ჩემი გზით წავალ, დავიქანცე ფეხბურთით, დასვენება მჭირდება და ვფიქრობ, დღეს ჩემი გადაწყვეტილება ყოველმხრივ გამართლებულია" — ეს სიტყვები სოსო ფილიამ შაბათს გურჯაანში გვითხრა. ჩვენ საუბარს „კოლხეთის" ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდრავაც დაესწრო, რომელმაც კომენტარი გაუკეთა ფილიას სიტყვებს. ნაჩქარევია მისი გადაწყვეტილება, ფოთში ჩავალთ და ყველაფერი ძველებურად იქნებაო. ამიტომ გუშინაც დავუკავშირდით ფოთელებს. გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ იმედიანად განაცხადა, ფილია გუნდში რჩება. მის საქმეს ჯერჯერობით ვერავინ გააგრძელებს, მისი დაყოლიება არ გაგვჭირდებაო.

თავად მწვრთნელმა კი ეს გვითხრა: „დღეს ტელეფონით ვესაუბრე გუნდის პრეზიდენტ ჯემალ ინაიშვილს, იგი უცხოეთშია და მომავალ ორშაბათამდე დაბრუნდება ფოთში. ინაიშვილს ჩემი გადაწყვეტილება გავაცანი, მითხრა ჩამოვალ და მერე ვისაუბრებთ მაგ თემაზეო, ამიტომ ორშაბათამდე კვლავაც „კოლხეთში" ვარ. „დინამოსთან" მე გავიყვან გუნდს, მერე კი ინაიშვილიც ჩამოვა და ვნახოთ, რა როგორ იქნება. ისე, მე ჩემსაზე ვდგავარ — დასვენება მინდა".

**ბაადა ძვანტალიანი**

# ჩივაძემ თუ ნახა...

## კორღალიძე ბელგიისგან მეტს ელოდა

*დღეს თბილისში ევროპის ცხრამეტწლამდელთა ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი იწყება. საქართველოს ნაკრების მეტოქეები ბელგია, უკრაინა და ფარერები უკვე ესტუმრნენ ჩვენს დედაქალაქს და გუშინ ივარჯიშეს კიდეც.*

*ოთარ კორღალიძის შეგირდები პირველად ბელგიელ თანატოლებს გაეჯიბრებიან ვაკეში „ლოკომოტივზე". ამავდროულად „ეროვნულზე" ფარერები და უკრაინა იბურთავებენ. საკვალიფიკაციო ეტაპის ყველა მატჩი 16 საათზე დაიწყება.*

*ბელგიელებთან მატჩამდე კი საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების თავკაც ოთარ კორღალიძეს გავესაუბრეთ:*

— ბიჭების მზადყოფნით კმაყოფილი ვარ. ვარჯიშებზე ყველა მონდომებული იყო. იმედი მაქვს, თავს არც ოფიციალურ მატჩებში შევირცხვენთ.

**— ტრავმა ხომ არავის აწუხებს?**

— სამწუხაროდ, მძინარიშვილი და ლაზარია დაგვაკლდნენ. მათ ნაცვლად გიორგი ჭელიძეს და ნაფეტვარიძეს ვუხმე. დანარჩენები მწყობრში არიან. ირაკლი მოდებაძეც ჩამოვიდა უკრაინიდან. ის ჩვენთვის დიდი ძალაა.

**— მეტოქეებზე რას იტყვით?**

— უკრაინისა და ბელგიის ვარჯიშები უკვე ვნახე და, სიმართლე გითხრათ, აღფრთოვანებული ნამდვილად არ დავრჩენილვარ. ჩვეულებრივი გუნდებია და თამაში ორივესთან შეიძლება. მცირე უპირატესობას უფრო უკრაინას მივანიჭებ, თუმც, როგორც გითხარით, უძლეველი არც ერთი არ არის. წარმატებაზე ფიქრი ნამდვილად შეგვიძლია.

**— ესე იგი, იმედიანად ხართ განწყობილი...**

— რა თქმა უნდა. თუკი, ბიჭებმა ისევე თავდადებით ითამაშეს, როგორც ამას ვარჯიშებზე აკეთებდნენ, მაშინ ეს რეალური იქნება. მათი მონდომებით შეკრებაზე ლამის განცვიფრებული დავრჩი. თან გუშინ გუნდს ალექსანდრე ჩივაძეც შეხვდა და ბიჭები გაამხნევა. ეს მათთვის ცოტას ნაღდად არ ნიშნავს. ერთადერთი, რაც მადარდებს, ლაშა ჭელიძის უთამაშებლობაა. მას კუნთი ჰქონდა გაწყვეტილი და „ტორპედოში" ბევრი გაუცდა, თუმც, იმედი მაქვს, ლაშა საკუთარ თავში ძალას გამონახავს და ჩვეულად ითამაშებს.

**ბახა შალამბერიძე**



ოთარ კორღალიძე

### 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

#### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

*თბილისი. ლოკომოტივი. 22 ოქტომბერი. 16 საათი*
ბელგია – საქართველო
მსაჯი: მიხაელ ვაინერი (გერმანია)

*თბილისი. ეროვნული. 22 ოქტომბერი. 16 საათი*
ფარერები – უკრაინა
მსაჯი: ტონი პოულსენი (დანია)

*თბილისი. ლოკომოტივი. 24 ოქტომბერი. 16 საათი*
საქართველო – უკრაინა
მსაჯი: ტონი პოულსენი (დანია)

*თბილისი. ეროვნული. 24 ოქტომბერი. 16 საათი*
ბელგია – ფარერები
მსაჯი: საიმონ ჯოუნსი (უელსი)

*თბილისი. ლოკომოტივი. 26 ოქტომბერი. 16 საათი*
საქართველო – ფარერები
მსაჯი: საიმონ ჯოუნსი (უელსი)

*თბილისი. ეროვნული. 26 ოქტომბერი. 16 საათი*
უკრაინა – ბელგია
მსაჯი: მიხაელ ვაინერი (გერმანია)

### საქართველოს 14 ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. პირველი ეტაპი. 12 ტური

გურჯაანი. 19 ოქტომბერი. 16 საათი. მაყურებელი. 400 (ტევადობა 10 000)

## მილანი 2:1 კოლხეთი

1:0 სამხარაძე (49), 1:1 გონჩაროვი (69), 2:1 ვართაგავა (70)

მილანი: ასლანიძე, ტარუაშვილი, ჯაბუა, აკობია, ზ. სამხარაძე (ქალიაშვილი 74), მეტონიძე, ჯაფარიძე, ვართაგავა, ვარამაშვილი (ქარჩავა 67), შელეგია (ეგაძე 65), ლულუნაძე
სათადარიგონი: მამალაძე, დანელია, ლაშხაშიძე
მწვრთნელი: ალიოშა ბრეგაძე

კოლხეთი: გრიშიკაშვილი, ნარსია, მ. ქობულაძე, ქუტიძე, გაბიდაური, ი. გვასალია, ფანჩულიძე, კვერნაძე, გონჩაროვი, ბალათურია, კრასოვსკი
სათადარიგონი: ჩემია, ხაჟომია, ბაჩილავა, მ. ფილია, გურგენიძე
მწვრთნელი: სოსო ფილია

გაფრთხილება: ქუტიძე (35), გრიშიკაშვილი (45), ვარამაშვილი (45), გვასალია (50), კვერნაძე (56), ვართაგავა (56), ფანჩულიძე (67), ქარჩავა (71), ლულუნაძე (88)

მსაჯები: ა. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუხაშვილი (სამივე ქუთაისი); გ. ასკაროლლი (ქარელი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ჯარიმა: 22-24; კუთხური: 4-5; კარისკენ დარტყმა: 5-7; კარში დარტყმა: 7-6; თამაშგარე: 4-4

# შავწინდა სოკონაჭამმა კოლხეთს წაგება აჭამა

**ბაადა ძვანტალიანი გურჯაანიდან**

**პრინციპული** კაცია სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის შეფი ანატოლი მილჩენკო. ამა თუ იმ მატჩზე მილჩენკოს ინსპექტორობისას მსაჯებიდან დაწყებული მასპინძლით დამთავრებული ყველა ნერვიულობს. ბევრს უნახავს ზედ მატჩის წინ მილჩენკოს განკარგულებით გათხრილი სტადიონი, მილიმეტრებში გაზომილი კარის ძელები, ხელმეორედ დახაზული მოედანი. უყვარს მილჩენკოს წესრიგი და დებულების დაცვა.

„მილანი" — „კოლხეთის" მატჩის ინსპექტორს სტადიონი წესრიგში დაახვედრეს კახელებმა, მილჩენკომაც ყველაფერი დაწვრილებით შეამოწმა, მსაჯებს ინსტრუქტაჟი ჩაუტარა, სტუმარ-მასპინძელს სათამაშო ფორმა გაუსინჯა და... მატჩი არ ჩატარდებაო ბრძანა. ისე მოხდა, რომ სტუმარ-მასპინძელს ერთი ფერის გეტრები აღმოაჩნდათ. ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსია, მთავარია ტრუს-მაისურა არ ემთხვეოდეს, მაგრამ მილჩენკომ სხვაგვარად განსაჯა, მეტოქე ფეხბურთელებზე ერთი ფერის გეტრებმა სადავო ეპიზოდში შესაძლოა მსაჯები დააბნიონო და მასპინძელს გეტრის შეცვლა მოსთხოვა, ისე თამაშს არ ჩავატარებო. რა ექნათ კახელებს, თეთრ გეტრებს ხომ არ შედალებავდნენ, სხვაც არ ჰქონდათ, მატჩის დაწყებამდე კი წუთები რჩებოდა. მილჩენკოსთან კონსულტაციის შემდეგ გამოსავალი მოიძებნა... შაბათს განსაკუთრებულად იხეირა ერთმა გურჯაანელმა წინდების გამყიდველმა, ერთბაშად დაიცალა ხელი — მილანელები გეტრებზე შავწინდებამოცმულნი დაუხვდნენ კოლხებს და ახალი სამოსიც სასიკეთოდ დაებედათ — ზედიზედ მეორე საშინაო გამარჯვება იზეიმა „ქიზიყის სიამაყემ". „მილანის" გამარჯვებაში კოლხთა უნიათობამაც შეიტანა წვლილი, მაგრამ შაბათს მოპოვებულ სამ ქულას ვერავინ დააყვედრის წნორელებს, რადგან ჯიგრით და თავდადებით იომეს.

მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და ლამის ფოთელთა გოლით გაგრძელდა. ბავშვური შეცდომა რომ არ დაეშვა გონჩაროვს, წარმატებულ დებიუტს გამოჰკრავდა ხელს სოსო ფილიას გუნდი. ყოველივე მესამე წუთზე მოხდა, როდესაც მეტოქის ნახევარს მიმწყდარ კახელებს სწრაფი კვერნაძე დაუძვრა. მთელი მარჯვენა ფლანგი გადასერა, ასლანიძეც დაწვინა და ცარიელი კარის წინ გონჩაროვი დატოვა მარტოდმარტო ბურთიანად. კოლხთა სათადარიგონი გოლის ნიშნად წამოცვივდნენ, მაგრამ გონჩაროვმა სამი მეტრიდან ააცილა და თავში წაიშინა ხელი. კოლხთა ახალწვეულმა ეს შეცდომა მეორე ტაიმში კი გამოასწორა, მაგრამ იქამდე „მილანმა" მოკლე პასებით, უთავბოლო ჭენებითა და მჭიდრო პრესინგით გათანგა მეტოქე. რაც მთავარია, გოლი ჰქონდა გატანილი, მუხლჩაუხრელმა მირზა სამხარაძემ რომ შემატა თავის აქტივს. არადა, სამხარაძის თამაში სათუო იყო, რაკილა ერთი თვეში სოკოს ჭამა ორი კვირით წამლობად დაუჯდა, მაგრამ ნაავადმყოფარი მირზა მაინც გავიდა მოედანზე, თავდადებით იბრძოლა და გოლიც ალალად დაიმსახურა — მეტონიძის ჯარიმისას საჯარიმოში კოლხთა დაბნეულობით ისარგებლა და ცხრიანში ჩაუსვა ბურთი გრიშიკაშვილს.

მეტონიძე ვახსენეთ და ორიოდ სიტყვა ამ ბიჭზეც უნდა ვთქვათ, კარგად რომ გაართვა შაბათს თავი გამთამაშებლის ფუნქციებს. მეტონიძე „მილანის" თითქმის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი იყო, შორიდანაც ბლომად უბრახუნა და ფოთელთა არაერთი სწრაფი კონტრშეტევაც რამდენჯერმე მარტომ ჩაშალა.

დაწინაურებულ „მილანს" ოთხ წუთში ანგარიშის გაზრდაც შეეძლო, ვარამაშვილმა მთელი მარცხენა ფლანგი აიკლო და საჯარიმოში შესულმა მახვილი კუთხიდან მზაკვრულად დაურტყა შაბათს არცთუ თავდაჯერებულად მოთამაშე გრიშიკაშვილს. სოსომ ლამის საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ეს იყო და მასპინძლებმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს, ნაადრევად გადაეწყვნენ დაცვაში და საკუთარი საჯარიმოდან ბურთის უმისამართო ამოტანით შეეცადნენ ფონს გასვლას. „მილანმა" მარწუხები ახსნა და სტუმარმაც გაილაღა. მეტოქის ნახევარზე ბურთის გორება აშკარად კარგად გამოუვიდათ ფოთელებს, ერთიორჯერ კვერნაძე გაძვრა საჯარიმოსკენ სახიფათოდ, მალე გვასალიამ გააცუდა ასპროცენტიანი მომენტი, ჩანდა, გოლი მწიფდებოდა და ასეც მოხდა. 69-ე წუთზე გვასალიამ საჯარიმოში დაჰკიდა ბურთი და გონჩაროვის რეაბილიტაციაც მოხდა — ტანმაღალმა კოლხმა ორ მეურვეს აჯობა და თავით აუღებელი დაურტყა ასლანიძეს — 1:1.

„კოლხეთს" სიხარულიც არ დასცალდა, „მილანმა" გამარჯვებისა რომ გაიტანა. მეტოქის ჯარიმისას სტუმართა მცველებს ჩაეძინათ და ვართაგავამ მოხდენილი, გაწოლილი თავურით შანსი არ დაუტოვა გრიშიკაშვილს. „მილანმა" შეცდომა აღარ გაიმეორა, მეტოქის ნახევარზე ბურთის დაჭერით და პრესინგით უპრობლემოდ მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე.

შავი წინდები კარგად დაებედათ წნორელებს...

### გერმანია

II ბუნდესლიგა. IX ტური

მაინცი 2:2 კიოლნი

### ინგლისი

პრემიერლიგა. X ტური

ასტონ ვილა 0:1 საუთჰემპტონი

### ნორვეგია

XXV ტური

ოდ გრენლანდი 1:1 ლინი

### პორტუგალია

I ლიგა. VII ტური

ფეირეირა 1:2 გიმარაეში

### ჩეხეთი

XI ტური

ბანიკი 1:1 სლავია

### საბერძნეთი

თასის 1/16 ფინალი

ირაკლისი 0:0 პანიონიოსი

### შვედეთი

XXIV ტური

ჰალმსტადი 2:0 ორებრო

ჰელსინგბორგი 2:0 ორგრიტე

ჰამარბი 3:1 ნორჩეპინგი

### იტალია

სერია C/B

VIII ტური

პესკარა 2:1 კროტონე



„გორდას“ „მერანი“ გვერდით არ დაუდგა

ზურაბ ფირცხალაიშვილის ფოტო

# უკანასკნელი იმედის ჯარიმა?

რუსთავი. ფოლადი. 19 ოქტომბერი. 16 საათი

## გორდა — მერანი

**ვაჟა ხუციშვილი რუსთავიდან**

**მოხდა ის,** რაც აქამდე არ მომხდარა. „გორდამ“ „მერანთან“ რუსთავში სამი ქულა მიითვალა. თან ისეთი სამი ქულა, რომლისთვისაც „გორდას“ წინასამატჩო მოთელვა ეყო.

რუსთაველები მოედანზე ხურდებოდნენ, გულშემატკივრები მეტოქეს ელოდნენ, „მერანის“ ნატანჯი, უხელფასო ფეხბურთელები კი ტრიბუნის უკან გაცხარებით საუბრობდნენ იმაზე, რომ ისინი უკვე მერამდენედ მოატყუეს.

ავჭალელები „ფოლადს“ ესტუმრნენ, მაგრამ არა სათამაშოდ, არამედ გულისტკივილის ამოსათქმელად. გულდათუთქულნი უხსნიდნენ თავის გასაჭირს სფფ-ის ინსპექტორ ბადრი ქარქაშაძეს, მაგრამ ის რას უშველიდა, როცა კლუბის უფროსობამ ვერა უშველა რა. არსად ჩანდნენ ანზორ მამალაძე და ოთარ გაბელია, თუმცა ოთხი საათისთვის „მერანის“ პრეზიდენტი მაინც გამოჩნდა. ფეხბურთელები გასახდელში მასთან ერთად შევიდნენ. ათი წუთი ელოდნენ მსაჯები ამბავის ფინალს. ათი წუთიც გავიდა. მასპინძლები მოედანზე გავიდნენ. მსაჯებთან ერთად ჩამწკრივდნენ. ხელთჩამორთმევის შემდეგ გასახდელში ჩავიდნენ და ფეხბურთი ამით დასრულდა.

ამასობაში მერანელები ნაწილ-ნაწილ გამოლაგდნენ, გარეთ გადაინაცვლეს და ნელ-ნელა იქაურობას გაეცალნენ.

ცხადია, ყველა ერთნაირად განიცდიდა კლუბში შექმნილ ვითარებას, მაგრამ ავჭალელთა მეკარე ნაჭყებია მეტად ნერვიულობდა. ბოლოს, წასვლის წინ, მას კინაღამ ერთ-ერთი დამწყნარებელ-შემპასუხებელი შემოელახა. მოკლე გაწევ-გამოწევა იმით გასრულდა, რომ მეკარე ავტომობილში ჩასვეს და უკანა სავარძელზე შუაში „შებოჭეს“.

აჯანყებულთა საკითხს ფედერაციის დისციპლინარები გაარჩევენ და ვერდიქტსაც გამოიტანენ.



ანზორ მამალაძეს საფიქრალი მოსძალებია

# ცაკარიასის ფილოსოფია: მე ვხედავ აგურს!

**ვაჟა ხუციშვილი**

**ზედიზედ** ორ ტურში განიავებული ექვსი ქულის გამო გუნდში მომხდარი ცვლილებების შედეგად „ლოკომოტივმა“ მოგება იგემა.

ვერ ვიტყვი, რომ კლუბის პრეზიდენტისგან შეფუცხუნებულმა ფეხბურთელებმა ფრენა-ფრენით ითამაშეს, მაგრამ მონდომება, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, არ დაუკლიათ.

მატჩი ჩვეულქართული ფეხის ათრევით დაიწყო. ასიოდე გულშემატკივარი დაბალ ხმაზე აკანტურება მზესუმზირას. სკამის საზურგეზე თავგადაგდებულ პოლიციელებს კი ტკბილად ეძინათ.

მასპინძლები აულელვებლად უტევდნენ. უფრო მარჯვენა ფლანგიდან. ბურნაძის არყოფნაში მისი ადგილი რომან გოგინაშვილმა, „დილას“ ყოფილმა ფეხბურთელმა აითვისა.

სტუმართა პასიურობა „ლოკომოტივის“ მცველებს საშუალებას აძლევდა, ხშირად სწვეოდნენ მეტოქის საჯარიმოს. ამ მხრივ ბალაშვილი გამოირჩეოდა. სწორედ მისი და სირაძის ორსვლიანი კომბინაციის შედეგად გავიდა ერთადერთი გოლი — სირაძემ ბალაშვილისგან საჯარიმოში მიღებული ბურთი გოგინაშვილს დაუგდო და სოლოლაშვილმა ბურთს მხოლოდ ბადეშიღა შეავლო თვალი.

გაშვებულ გოლს გორელების გააქტიურება არ მოჰყოლია. ყოველ მათ წამოწყებას რკინიგზელთა ხუთკაციანი ნახევარდაცვა მოედნის ცენტრშივე ჰრუმათებდა. თუ მაინც აღწევდა ბურთი სტუმართა ფორვარდებამდე, იქ უკვე მცველებთა ძიძგილაობაში იკარგებოდა.

ამ ძიძგილაობაში სულთანიშვილმა ერთხელ შეძლო სალუქვაძისთვის ბურთის აფცქვნია, რასაც ლუის ცაკარიასიც ისეთი „ლაშა!!!“ მოჰყვა, მინდორზე ბალახი გადაიხნიქა.

დამხვდურებმა მაღალი ჩაწოდებებით ამოავსეს „დილას“ საჯარიმო. ტაიმის ბოლომდე სცენარი არ შეუცვლიათ და ასეთ ქმედებას კარში ხეირიანი დარტყმა არ მოჰყოლია.

სამაგიეროდ, სტუმრებს ჩასტვენამდე წუთით ადრე გათანაბრების რეალური შანსი მიეცათ. რაზმაძე-რევაზიშვილის წამოწყებული ძოწუაშვილმა კარში ერთი შეხებით ვერ შეაბრძანა, რადგან ბოლო მომენტში მცველმა შეუშალა.

მეორე ტაიმში ტემპმა იმატა. აქა-იქ მიძინებულებმაც გამოიღვიძეს. მასპინძლებმა კარისკენ დარტყმებს მოუხშირეს და ტაბლოს ქვეშ ჩაწიკწიკებულ ლურჯ სკამებს ბდღვერი აადინეს. ზანდახან კარშიც უმიზნებდნენ, მაგრამ იქ სოლოლაშვილი ყოჩაღობდა.

ძალიან მონდომებული იყო რუსია და სულ ცოტა, ორი გოლი მაინც უნდა გაეტანა.

ლაცაბიძემ მთელი მოედანი ფეხის წვერებზე გადაირბინა, ისე რომ, საჯარიმოში ამოყო თავი. როცა უნდა დაერტყა, რუსიამ არ აცალა, ააცალა და ნაჯაფი გაუწყალწყალა.

მერე ჯანაშიამ ხონჩით მიართვა იმავ რუსიას. იგი მეკარეს გასცდა, მისი დარტყმული კი — კარს.

თავის მხრივ გორელებიც ცდილობდნენ რაღაცის შექმნას. საჯარიმოს წინა ხაზამდეც საკმაოდ იოლად მიაგორებდნენ ბურთს, მაგრამ თითქმის ვერც ერთმა ბოლო პასმა ადრესატამდე ვერ მიაღწია.

მხოლოდ ერთხელ გაუხერხა რაზმაძემ სულთანიშვილს ზუსტი გადაცემა, თუმცა ფორვარდმა გადამწყვეტ მომენტში ბურთს ფეხი დააბიჯა და დაეცა.

მატჩის მიწურულს ლუის ცაკარიასი ნერვიულობდა. რაც უნდა იყოს, ერთბურთიანი სხვაობა როგორ დაამშვიდებდა.

ნამატჩევს პრესკონფერენციაზე ცაკარიასმა ერთხელ კიდევ ამოთქვა, ვაშენებ და მაცადეთო. ვაცადოთ, ოღონდ აშენოს, მით უმეტეს, მისივე თქმით, გუნდს მასალა არ აკლია.

თბილისი. 20 ოქტომბერი. 16 საათი. ლოკომოტივი. 100 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:0 დილა

| | |
|---|---|
| 1:0 გოგინაშვილი (16) | |
| ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, რ. ონიანი, გოგინაშვილი, კვარაცხელია, ზ. ლაცაბიძე, სირაძე (გილაური 77), ზ. ჯანაშია (კაიდარაშვილი 86), რუსია სათადარიგონი: იგარდავა, ქიქველიშვილი, გ. ონიანი მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი | დილა: სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია (ხორგუაშვილი 46), რ. სიქამურიძე, ლომიძე, გ. ზ. რევაზიშვილი, ფეხუაშვილი, სულთანიშვილი, ჯობაძე, ძოწუაშვილი (ხმალაძე 60), რაზმაძე, ლ. გოჩაშვილი სათადარიგონი: თ. ილურიძე, ოლეგქაშვილი, სომხიშვილი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |
| მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე (სამივე თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: გ. სორდია | |
| ჯარიმა: 10-17; კუთხური: 2-4; კარისკენ დარტყმა: 14-4; კარში დარტყმა: 7-1; თამაშგარე: 4-0 | |



ყოფილი ლოკომოტიველები ცაკარიასის „ლოკომოტივს“ უცქერდნენ

# ბოლნისში ასათიანელებს არ აგინებენ

ბოლნისი. 20 ოქტომბერი. 16 საათი. თემურ სტეფანია. 1 500 (ტევადობა 3 000)

## სიონი 3:0 ბათუმი

| | |
|---|---|
| 1:0 გაბისკირია (6), 2:0 შავგულიძე (67), 3:0 გაბისკირია (70) | |
| გოდერძიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (9, მეკარე) | |
| სიონი: ვოლკოვი, სიდამონიძე, ცქიფურიშვილი, ჩხაიძე, ორჯაშვილი, გაბისკირია (კვეკვესკირი 71), ბაქრაძე, დაუშვილი (გოგიტაძე 82), ასიანი, გოდერძიშვილი (გიორგი ქორიძე 46), შავგულიძე სათადარიგონი: ბათიაშვილი; მოსეშვილი, კრავეიშვილი, ხუჭუა მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ბათუმი: ტოგონიძე, ხუჯაძე, მეტუტაძე, მახარაძე, მინდაძე (სურმანიძე 70), თურმანიძე, ქაცარავა, რომანიძე, დარჩიძე, ტულუში, მოდებაძე სათადარიგონი: ი. ბალაძე, გალოგრე, ბეჟანიძე, დ. ბოლქვაძე, არჩვაძე, ცინარიძე მწვრთნელი: ასლან ბალაძე |
| გაფრთხილება: მახარაძე (6) | |
| მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა | |
| ჯარიმა: 13-17; კუთხური: 4-4; კარისკენ დარტყმა: 6-6; კარში დარტყმა: 9-2; თამაშგარე: 4-4 | |

**მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**თვალსასეირო** თამაში იყო ბოლნისში, თავისი გატანილი და არჩათვლილი გოლებით, მასპინძელთა მიერ ვერგამოყენებული პენალტით და სახიფათო მომენტებით. 90 წუთის შემდეგ კი თემურ მახარაძის გუნდი სამართლიანად ზეიმობდა მორიგ სამ ქულას.

სადღეისოდ ბოლნისში ზვექსვეულში მოხვედრის პერსპექტივას საკმაოდ არავინ მიიჩნევს. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო, ჰოდა, ქვემოქართლელებიც ინტერტოტოს უმიზნებენ.

მას აქეთ, რაც თემურ მახარაძემ გუნდის შუა ხაზი გამოცდილ გაბისკირიას და „დინამოდან“ იჯარით აყვანილ შავგულიძეს ჩააბარა, „სიონის“ შედეგიანობა ერთიორად ამაღლდა. ხან გაბისკირიას გააქვს შავგულიძის პასით, ხანაც პირიქით. კვირასაც ორივემ გამოიჩინა თავი, ვეტერანმა დუბლი მიითვალა, მისმა ახალგაზრდა მეგობარმა ერთი იკმარა.

„ბათუმს“ ბოლნისში უსიტყვო კაპიტულაცია ნამდვილად არ გამოუცხადებია, მაგრამ ასლან ბალაძის გუნდმა თავიდანვე დაკარგა ბურთზე კონტროლი, დაცვაშიც გარკვეთხარობა სუფევდა და არეული თამაშის დალაგება ვერ მოხერხდა. „სიონი“ მალევე დაწინაურდა. საჯარიმოს საზღვრის ხაზის ახლოს, ოდნავ მარჯვენა კუთხიდან დანიშნული ჯარიმის შესრულება გაბისკირიამ იკისრა. ბურთი მშვიდად გაასწორა და ტოგონიძეს ახლო კუთხეში მოუქრა. მეკარემ ნაბიჯი ჯერ შორეული ძელისკენ გადადგა, მერე ბურთის მიმართულება რომ დააფიქსირა, ნახტომიც არ დაუყოვნებია, თუმცა უკვე გვიანი იყო, ბოლნისელები გოლით ხარობდნენ.

სამ წუთში მასპინძლებს მეტოქის საბოლოოდ გატეხვაც შეეძლოთ. დაცვაში მორიგი შეცდომის შემდეგ გოდერძიშვილი ტოგონიძესთან პირისპირ დარჩა. ბოლნისელმა წინ გამოსულ მეკარეს ბურთი თავზე გადააველო, გოლიც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ივანე მახარაძემ ჯერ ფეხით სცადა კარის გადარჩენა, ბოლო წამს ხელიც მოიშველია და ბურთი ხარიხას გადაევლო.

მსაჯმა, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, მახარაძეს კი ყვითელი აკმარა. მისი გაძევება მთლად მიწასთან გაასწორებდა ისედაც აჭრილ „ბათუმს“. თერთმეტმეტრიანი გოდერძიშვილმა შეასრულა. ბოლნისელის დარტყმული ზუსტი იყო, თუმცა სიძლიერე აკლდა და ტოგონიძემ მარცხენა დაბალ კუთხეში წასული ბურთი დაიჭირა.

ტაიმის ბოლომდე „სიონი“ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ გოლი „ბათუმმა“ გაიტანა. ფლანგური გადაცემის შემდეგ საჯარიმოში მოდებაძე ყველაზე მაღლა ახტა და თავით ცხრიანში ზუსტად დაარტყა. მეტოქეს ხელი უბიძგეო, კახიანმა სიხარული არ აცალა მოდებაძეს. საპასუხოდ ისიანმაც გაუტანა სტუმრებს, თუმცა მსაჯებმა ის გოლიც გააუქმეს, დარტყმამდე თამაშგარე იყოო.

მეორე ტაიმში „ბათუმმა“ მასპინძელთა კარისკენ გაიწია, თუმცა 67-ე წუთზე „სიონმა“ მეტოქესთან ყველაფერი გაარკვია. შავგულიძემ ნაქები ცაცია მოიქნია და ტოგონიძეს ახლო კუთხეში გაუტანა. კიდევ სამ წუთში დაუშვილის დაწყებული კომბინაცია შავგულიძემ გააგრძელა, გაბისკირიაც დროულადაც შენიშნა, რომელმაც ძლიერი დარტყმით უშანსოდ დატოვა ტოგონიძე.

კვირას ერთი საკვირველი ფაქტიც დაფიქსირდა. მსაჯ იოსებ კახიანისთვის არავის უკადრებია ზედმეტი სიტყვა. ხერხი იხმარა გამოცდილმა „ლამაზომ“, თამაშის წინ სტადიონზე ომახიანი შეძახილით შემოვარდნილ ალას შეაპარა, დედაჩემიც ასათიანიაო. ალამაც ალბათ განკარგულება გასცა და 90 წუთის მანძილზე მსაჯები მშვიდად იყვნენ.

# ვიტ ჯორჯიამ იომა, ტორპედომ... იონა!

თბილისი. 21 ოქტომბერი. 16 საათი. მაყურებელი. 500 (ტევადობა 2 000)

## ვიტ ჯორჯია 1:3 ტორპედო

0:1 ასათიანი (23), 0:2 დიდავა (30), 1:2 ინწკირველი (42), 1:3 ასათიანი (61)

ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი (გ. მერებაშვილი 67), ინწკირველი (გველესიანი 77), ლ. მერებაშვილი, ლ. ნოზაძე, დოლმელაშვილი, ყოფიანი, ვ. გოჩაშვილი, დოლიძე (ქოქიაშვილი 67), ადამია, მელქაძე. სათადარიგონი: მამარდაშვილი, კვახაძე, ფეიქრიშვილი, დ. ბოლქვაძე. მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

ტორპედო: სტურუა, ხვადაგიანი, მახვილაძე, ქემოკლიძე, გოგოფიანი, ბაბუნაშვილი, დიდავა, კვეტენაძე, ასათიანი (ჩოხაძე 75), იონანიძე (ნიქიანი 89), პორომინი (ახალკაცი 79). სათადარიგონი: ჭანტურია, გამეზარდაშვილი, შ. ონიანი, ზვ. ქუთათელაძე. მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

გაფრთხილება: ინწკირველი (62), იონანიძე (72), გოგოფიანი (90)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ჯარიმა: 17-23; კუთხური: 8-4; კარისკენ დარტყმა: 4-6; კარში დარტყმა: 5-8; თამაშგარე: 5-8



ალექსანდრ შტელინი და ჯანი კარნევალი: ქუთაისელმა უკრაინელმა თბილისელ იტალიელთან საერთო ენა გამონახა

მამუკა კვანტალიანი

**გუშინ** „ვიტ ჯორჯიას“ შანსი ჰქონდა, ჩემპიონისთვის გადაესწრო და გათამაშების ცხრილში მეორე საფეხურზე მყარად მოკალათებულიყო, მაგრამ აბა, ქუთაისელებს ვკითხოთ, „დინამოსთან“ ექვსქულიანი დეფიციტი კლუბის თავკაცებს როგორ გუნებაზე დააყენებდა? ჰოდა, ითამაშა „ტორპედომ“ ჩემპიონურად, მატჩის შემდეგ „შევარდენზე“ არავის დასცდენია, რიონისპირელებმა სამი ქულა უსამართლოდ მიითვალესო.

ტურის ცენტრალური თამაში ურიგო სანახავი ნამდვილად არ გამოდგა. მოიგო გუნდმა, რომელიც კონკრეტული მატჩისთვის ყოველმხრივ მზად აღმოჩნდა. სტუმართა უპირატესობა აშკარად ჩანდა. „ვიტ ჯორჯიამ“ მატჩი მღელვარედ, შებოჭილად დაიწყო და ისე ჩაამთავრა, რომ თავისი საუკეთესო თვისებების გამოვლენა ვერ მოახერხა.

მასპინძელთა დაცვა შეცდომებით ირჯებოდა, ფლანგები ვერ აქტიურობდნენ, ხოლო ფორვარდებმა, ადამიამ და მელქაძემ, თავი თითქმის ვერაფრით გამოიჩინეს.

„ტორპედომ“ პირიქით, დაცვაში მინიმალური შეცდომა დაუშვა, შუა ხაზშიც იაქტიურა და ფორვარდებიც სახიფათოდ იწევდნენ მასპინძელთა კარისკენ. თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს იონანიძემ, დიდავამ, ასათიანმა და კვეტენაძემ, თუმც მეტოქისთვის ხელი არც სხვებს დაუკლიათ.

„ვიტ ჯორჯიას“ ჟინს და ბრძოლის უნარს ვერავინ წაართმევს. სწორედ ამის ხარჯზე ახერხებდნენ ვიტელები რიონისპირელებთან თამაშის გაწონასწორებას და სტურუას კარისკენაც იწევდნენ, მაგრამ „ტორპედოს“ ფლანგური შეტევები სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. განსაკუთრებით იონანიძე აქტიურობდა მარცხნიდან და მანვე გამოაცხო საგოლე შეტევა.

მასპინძელთა დაცვის მარჯვენა ფრთაზე გოჩაშვილი ზონის ჩაკეტვას ყოველთვის ვერ ასწრებდა. იონანიძემაც ერთხელ სახიფათოდ გაინავარდა, მეორედაც, ხოლო მესამე ცდაზე მიზანს მიაღწია. ეროვნულ ჩემპიონატში 150 გოლის გამტანმა იონანიძემ კობიაშვილს გაასწრო და პირით ხაზამდე ჩასულმა საჯარიმოში, კარის გასწვრივ ჩააწოდა, იქ კი მეკარეს და მცველებს ასათიანმა დაასწრო, ბურთს ფეხი დაუხვედრა და წამის შემდეგ თანაგუნდელთა ალყაში მოქცეული მილოცვებს იღებდა.

შვიდ წუთში მეორედ შეირხა მასპინძელთა კარის ბადე. შეტევა იონანიძემ წამოიწყო, მერე ასათიანმა გააგრძელა, რომელმაც საჯარიმოში პორომინს მიაწოდა ბურთი. უკრაინელმა თავის მხრივ დიდავასკენ გაატარა, ხოლო გივიმ ერთი გაისწორა და ახლო მაღალ კუთხეში აუღებელი დაურტყა მერლანს.

ამის შემდეგ „ვიტ ჯორჯიაც“ გამოფხიზლდა, ისე ათამაშდნენ ვიტელები, რომ „ტორპედო“ კონტრიერიშებისთვის ველარ იცლიდა. სტურუასაც საქმე მიეცა და ადამიას ეშმაკურად დარტყმული გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე. ქუთაისელთა მეკარე ყოფიანის მიერ მახვილი კუთხიდან ჩახვეულ ჯარიმასაც გაუმკლავდა, მაგრამ ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთი ადრე თანაგუნდელები გოლს მაინც ვერ გადაარჩინა. „ტორპედოს“ კართან მორიგი კუთხურისას საჰაერო ორთაბრძოლაში ლევან მერებაშვილმა ივარგა და თავით ბურთი კარის წინ ინწკირველს დაუგდო, რომელმაც მეტოქესთან ჭიდილში ჭვინტით გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ, გოჩაშვილმა ადამიას ხელსაყრელ მდგომარეობაში დაუგდო ბურთი, გიორგიმ კი ლაზათიანად ვერ ამოსცხო და სტურუაც ადგილზე დახვდა დარტყმულს.

ამის შემდეგ „ტორპედომ“ თამაშის სადავეები ისევ ხელთ იგდო. სტუმართა კონტრიერიშებს სიმწვავე ემატებოდა და „ვიტ ჯორჯიაც“ გოლს გადაურჩა. ასათიანმა ჯარიმიდან ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, რომელიც ყველას კი ასცდა, მაგრამ მიწიდან ასხლეტილი კარის ჯვარედინს მოხვდა.

61-ე წუთზე „ტორპედომ“ მესამე გოლის გატანა შეძლო, რასაც ვიტელთა მძაფრი პროტესტი მოჰყვა, მაგრამ საშწუთიანი პაუზის, ჩოჩქოლისა და ყვითელი ბარათის გარდა ვერაფერს გამორჩნენ მასპინძლები.

საკუთარი საჯარიმოს მისადგომებიდან ქუთაისელებმა მოედნის შუახაზისკენ, ასათიანისკენ გადმოაგდეს ბურთი. მის მოსაპოვებლად ინწკირველი დაიძრა, მაგრამ ბოლო წამს ტორპედოელმა მეტოქეს ტანი ჩაუდგა. ვიტელი ასათიანს შეეჯახა, ბურთიც ორიდან ერთს მხარზე დაეცა და თავისუფლად მდგომ პორომინს მიუვიდა, რომელმაც შეტევა გააგრძელა, საჯარიმოშიც ჩააწოდა, იქიდან მცველების უხეიროდ მოგერიებული საჯარიმოს სიახლოვეს დატრიალდა. ბურთი თითქმის იმ ადგილზე დაბრუნდა, საიდანაც პორომინმა შეტევა წამოიწყო, ოღონდ ამჯერად ასათიანმა იხელთა დრო, თანაგუნდელის პასის შემდეგ ბურთი შეისწორა და იმწამსვე ძლიერი დარტყმა მიაყოლა. გოლი მერლანისგან მარჯვენა შორეულ კუთხეში გავიდა.

მასპინძლები მსაჯებისგან ჯერ ჯარიმას, მერე კი თამაშგარის დაფიქსირებას ითხოვდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. გადაჭრით რაიმეს მტკიცებას რომ მოვყვეთ, ობიექტურები არ ვიქნებით, რადგანაც ვიდეოჩანაწერის ხილვის საშუალება არ მოგვცემია. სადავო მომენტი აშკარად იყო, დანარჩენი კი სპეციალურმა კომისიამ გაარჩიოს. ისე ერთიცაა, მას შემდეგ, რაც ასათიანი და ინწკირველი ერთმანეთს შეეჯახნენ და პორომინმა ბურთი მიიღო, სულ მცირე, ხუთი პასი მაინც გაკეთდა, მასპინძლებმაც რამდენჯერმე მოახერხეს, ბურთს შეხებოდნენ და შეეძლოთ საკუთარ კართან ვითარება განემუხტათ.

იმ გოლის შემდეგ „ვიტ ჯორჯია“ მთლად აირია. საქმეს ვერც კარნევალის განხორციელებულმა ცვლილებებმა უშველა. ის კი არა, „ტორპედოს“ რომ მოენდომებინა, გაცილებით დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდა.



მალხაზ ასათიანი (ბურთით) დუბლით დაბრუნდა

თბილისი. 19 ოქტომბერი. 16 საათი. ეროვნული. 300 (ტევადობა 70 900)

## დინამო 6:0 მეტალურგი

1:0 ამისულაშვილი (7), 2:0 ბურდული (41), 3:0 დარასელია (67), 4:0 ბობოხიძე (78), 5:0 დარასელია (80პ), 6:0 ბობოხიძე (88)

დინამო: ზოიძე, ვაშაკიძე, მაშიაშვილი, კარლოსი (ნიზამიშვილი 80), კვირკველია, ამისულაშვილი, გოგობერიშვილი, ბურდული, ანჩაბაძე (კანდელაკი 77), დარასელია, ი. სამხარაძე (მ. ბობოხიძე 60). სათადარიგონი: გვარამაძე, მანჩხავა, მაზიაშვილი, გ. ვ. მიქაძე. მწვრთნელი: ივო შუშაკი

მეტალურგი: მერკვილიშვილი, ორმოცაძე, გურეშიძე, მალაკელიძე, გაბრიჭიძე (ნიშნიანიძე 52), მ. ლონდაძე (კ. თავბერიძე 74), ფოფხაძე, სულაკაძე, ჩაჩუა (ტუმბურიძე 69), ენდელაძე, ი. ხაჭაპურიძე. სათადარიგონი: მდინარაძე, სუხიაშვილი, შველიძე. მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, ო. ხეცაძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხიმშიაშვილი

ჯარიმა: 14-10; კუთხური: 7-1; კარისკენ დარტყმა: 7-3; კარში დარტყმა: 12-1; თამაშგარე: 11-2

# უცხოეთის ვიზებს შუშაკი გასცემს

კახა შალამბერიძე

**ძნელია** იმ მატჩზე წერა, სადაც ფეხბურთს მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა. შაბათს „ეროვნულზე“ თბილისის „დინამო“ დანავარდობდა და მეტოქესაც იმდენი გაუტანა, რამდენიც არ დაეზარა. უპატრონოდ მიტოვებულ ზესტაფონის „მეტალურგზე“ აბა, რა უნდა ვთქვათ. გუნდმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, თუმც ჩემპიონობაზე დაგეშილ „დინამოს“ ბღლვნად არ ეყო.

ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც იმ დღეს მოედანზე უქმად იყო, ირაკლი ზოიძეა. სტუმრებს ხომ მის კართან მიახლოებაც უჭირდათ.

ორივე ტაიმი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს. უბრალოდ, მეორე ნაჭერში (ტაიმში) ორჯერ მეტი კურკა (გოლი) აღმოჩნდა.

პირველი გოლი მეშვიდე წუთზევე გავიდა. ლადო ბურდულმა სწრაფად გაითამაშა საჯარიმო და უყურადღებოდ დატოვებულ ალეკო ამისულაშვილს თავზე დაასვა ბურთი — 1:0.

უპირატესობა მერეც „დინამოს“ მხარეს იყო, თუმც ტაიმის ბოლომდე მასპინძლებმა გოლის გატანა ვერ შეძლეს, არადა, ამის შანსი მრავლად ჰქონდათ. მარტო ის რად ღირს, კუთხურიდან ჩაწოდებულს ბურდულმა რომ დაჰკრა თავი, თუმც ბურთი კარის ხაზიდან მალლაკელიძემ გამოიტანა. დამატებაზე კვლავ დინამოელებმა იძალეს, მაგრამ მალლაკელიძემ ამჯერადაც იმარჯვა.

საინტერესო იყო მასპინძელთა ოდნავ განსხვავებული სათამაშო სტილიც. დინამოელები აქამდე ჩვეული ბურთის თრევის ნაცვლად ერთმანეთს სწრაფ და მოკლე პასებს აწვდიდნენ და ასე ცდილობდნენ მეტოქის დაცვის გარღვევას. ამის ნათელი მაგალითი კი მეორე გოლი იყო. 41-ე წუთზე ანჩაბაძე-კვირკველია-ბურდულის ულამაზესი კომბინაცია ლადოს შედეგიანი დარტყმით დასრულდა.

მეორე ნახევარი, როგორც გითხარით, ასევე უთანასწორო ბრძოლაში გაილია. „მეტალურგმა“ თითქოს კი გაიბრძოლა, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენჯერმე მეტოქის საჯარიმომდე მისვლაში გამოიხატა. სამაგიეროდ, დინამოელებმა უფრო მეტი სიზუსტე გამოიჩინეს და კიდევ ოთხჯერ დაამწუხრეს სტუმრები. თანაც ამჯერად ივო შუშაკის შეგირდებმა აქცენტი უფრო შორეულ დარტყმებზე გადაიტანეს, თუმც საბოლოოდ უარი არც კომბინაციურ თამაშზე უთქვამთ.

67-ე წუთზე ალეკო გოგობერიშვილმა დაიპყრო მარჯვენა ფლანგი, რამდენიმე სტუმარსაც გასცდა და ვიტალი დარასელიას თავზე დაასვა ბურთი — 3:0. მეკარე უძლური იყო...

მალე ლადო ბურდულმა მეორე საგოლე პასი მიითვალა. მისი სწრაფი გარღვევა შეცვლაზე შესულმა მიხეილ ბობოხიძემ აქცია გოლად.

მომდევნო შეტევას კი უკვე მეხუთე გოლი მოჰყვა. ზესტაფონელებმა საკუთარ საჯარიმოში გოგობერიშვილი წესების დარღვევით შეაჩერეს და მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. ვიტალი დარასელიამ უნაკლოდ დაარტყა — 5:0.

წერტილი კი შეხვედრას ბობოხიძემ დაუსვა, როცა სტუმარ მცველთა შეცდომით ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და საგოლედაც დაჰკრა.

ნამატჩევს ზესტაფონელთა მთავარმა მწვრთნელმა ზაურ ჩუბინიძემ თქვა, ხელები ამიწევია, მეტოქემ ყველაფერში გვაჯობაო და სტადიონსაც გაეცალა.

**ივო შუშაკი:** „ცხადია, შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმც ძალიან ცუდია, რომ მინდვრის უხარისხო საფარმა მეტის საშუალება არ მოგვცა. უბრალოდ, ასეთ მინდორზე უფრო სწრაფად ვერ ვაკეთებთ იმას, რაც ჩაფიქრებული გვაქვს. მიხარია, რომ ბიჭები დიდი ანგარიშის მიუხედავად, არ გაჩერებულან და ბოლომდე იბრძოლეს. ამისთვის მათ მადლობას ვუხდი. იმედი მაქვს, ასევე გავაგრძელებთ. ტემპი არ უნდა დავკარგოთ.

საქართველოს ჩემპიონატის გათამაშების სისტემა არ მომწონს, თუმც ეს მხოლოდ ჩემი პირადი აზრია. ალბათ, უკეთესი იქნება, ათმა გუნდმა ოთხ წრედ ითამაშოს, მაგრამ ამას ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოდ, როგორც ახლა გავიგე, „მერანი“ მატჩზე არ გამოცხადდა უფულობის გამო და ეს ძალიან ცუდია. ასე წინ ვერ წავალთ.

დარასელიას და ამისულაშვილის შესახებ ყველამ იცით. ისინი „დინამოში“ რჩებიან. ძალიან მიხარია, რომ ბიჭებმა ასეთი გადაწყვეტილება თავად მიიღეს. მათ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი. უცხოეთში მოუმზადებლად წასვლას არანაირი გამართლება არა აქვს. ჯერ ეროვნულ ჩემპიონატსა და ნაკრებში უნდა მოიკიდო ფეხი და სოლიდური კლუბისგან წინადადებებს ამის მერეც მიიღებ. ამ ეტაპზე კი ყველა ფეხბურთელი კლუბში რჩება. „დინამოს“ მიზანი გაყიდვა არაა. პირიქით, ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავძლიერდეთ. ეს მომავლის კლუბია. უცხოეთში წასვლის დრო რომ მოვა, თავად ვიტყვი. ამიტომ მიხარია, რომ ბიჭებიც ისევე ფიქრობენ, როგორც კლუბის ხელმძღვანელობა. ეს „დინამოს“ სიძლიერეზე და ერთიანობაზე მეტყველებს“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 10 | 1 | 0 | 29:1 | 31 |
| ტორპედო | 12 | 9 | 1 | 2 | 26:8 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 8 | 1 | 3 | 19:8 | 25 |
| ლოკომოტივი | 11 | 7 | 1 | 3 | 17:7 | 22 |
| სიონი | 12 | 6 | 1 | 5 | 17:16 | 19 |
| კოლხეთი | 12 | 5 | 2 | 5 | 13:14 | 17 |
| მეტალურგი | 12 | 4 | 1 | 7 | 7:22 | 13 |
| მილანი | 12 | 3 | 3 | 6 | 7:18 | 12 |
| მერანი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:21 | 11 |
| დილა | 12 | 2 | 2 | 9 | 6:18 | 8 |
| ბათუმი | 12 | 1 | 5 | 6 | 6:14 | 8 |
| გორდა | 11 | 1 | 0 | 10 | 4:22 | 3 |

პირველ ტურში „მერანს“, „მეტალურგს“, „გორდას“ და „მილანს“ ჩამოერთვათ 03 ქულა

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - იონანიძე | ტორპედო |
| 7 - დარასელია | დინამო |
| 6 - გოდერძიშვილი | სიონი |
| 5 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ და გულშემატკივართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კავშირის წევრი ნიკა ყენია და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

ივერიელი

## ინგლისი

### პრემიერლიგა. X ტური

**ჩარლტონი 1:0 მიდლსბრო**

1:0 იუელი (5)
ჩარლტონი: დ. კაილი, ჯ. რობინსონი, ფიში, რუფუსი, როუეტი, კ. პოუელი, მასტო (იანგი 79), კ. იენსენი, პარკერი (კიშიშევი 78), იუელი, ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი (კუპერი 68), ეჰიოგუ, საუთგეიტი, კედრუ, ჯერემი, ბოატენგი, ჯობი, გრინინგი, მაკარონე (მარინელი 68), ნემეტი (ვილსონი 68)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ბარტლეტი, სტოკდეილი, ველანი, ბოატენგი
მსაჯი: ბერი
26 271 მაყურებელი

**ტოტენჰემი 3:1 ბოლტონი**

1:0 კინი (58), 1:1 ჯორკაეფი (63), 2:1 კინი (74), 3:1 დევისი (90)
ტოტენჰემი: კელერი, კარი, პერი, ბუნიევჩევიჩი, რიჩარდსი, ეზერინგტონი (პოიეტი 70), ს. დევისი, რედნაპი, ფროინდი, შერინგემი, რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჩარლტონი, ბერგსონი, ნოლანი, უიტლოუ, ჯორკაეფი (ოკოჩა 75), კამპო (დ. ჰოლდსუორთი 77), ფარელი, ბერნესი, რ. გარდნერი, რიკეტსი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ნოლანი
მსაჯი: დარკინი
35 909 მაყურებელი

**ლიდსი 0:1 ლივერპული**

0:1 დიაო (66)
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, უუდგეიტი, ლუკასი, ჰარტი, ბოიერი, ბარმბი, მაკფაილი (დაკური 75), ბაკე, ა. სმიტი (ვიდუკა 56), კიუელი
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ტრაორე, რიისე, დ. მერფი, ჰამანი, დიაო, ბრუნო შეირუ, ბაროში (ოუენი 69), დიუფი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ჰარტი, კარაგერი, დიუფი
მსაჯი: დანი
40 187 მაყურებელი

**ბლეკბერნი 5:2 ნიუკასლი**

1:0, 2:0 დაფი (5პ, 8), 2:1, 2:2 შირერი (36პ, 48), 3:2 ტეილორი (55), 4:2 გრიფინი (65ა.კ.), 5:2 ტეილორი (74)
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნილი, ბერგი, მ. ტეილორი, ნ. იოჰანსონი, გილესპი (თუგაი 66), ფლიტკროფტი, დ. დაფი, ტომსონი, ოსტენსტადი (გრაბი 68), იორკი (იანსენი 66)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი (ბერნარი 79), ობრაიენი, დაბიზასი, გრიფინი (ბრემბლი 75), სოლანო, ჯენასი, სპიდი, რობერი (ვიანა 75), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: სპიდი, რობერი
გაძევება: დაბიზასი (4)
მსაჯი: ვაილი
27 307 მაყურებელი

**ევერტონი 2:1 არსენალი**

0:1 ლიუნგბერგი (8), 1:1 რაძინსკი (22), 2:1 რუნი (90)
ევერტონი: რ. რაიტი, ჰიბერტი, იობო, ვეირი, ანსუორთი, კარსლი (სტაბსი 90), გრავესენი, ტიე (ლინდეროტი 55), პემბრიჯი, რაძინსკი (რუნი 80), კ. კემბელი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
არსენალი: სიმენი, ლორენი, ს. კემბელი, სიგანი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (ედუ 85), ჟილბერტო სილვა, ვიეირა, ტურე (ვილტორდი 64), ანრი, კანუ (ჯეფერსი 71)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ვეირი, პემბრიჯი, ლინდეროტი, ედუ
მსაჯი: რენი
39 038 მაყურებელი

**ფულემი 1:1 მანჩესტერი**

1:0 მარლე (35), 1:1 სოლსკიაერი (62)
ფულემი: ვან დერ სარი, უადუ, ნაითი, გომა, ბრევეტი, ლეგვინსკი, შ. დევისი, ფინანი, მალბრანკი, მარლე, საჰა (ჰეილსი 78)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
მანჩესტერი: ბართეზი, გ. ნევილი, ოში, ბლანი, სილვესტრი (ფორლანი 80), ბექჰემი, ვერონი, ფ. ნევილი (ფორჩუნი 59), გიგზი, სქოულზი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მარლე, ბლანი, ბართეზი, ბექჰემი
მსაჯი: დინი
18 103 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:3 ჩელსი**

0:1, 0:2 ძოლა (69, 84), 0:3 ჰასელბაინკი (85)
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, ჯიხაი, ჰოუი, დისტინი, რაიტ-ფილიპსი, ბერკოვიჩი, ფოუ, ბენარბია, ნ. იენსენი, ანელკა, გოტერი (მაკენი 71)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ჩელსი: კუდიჩინი, ლე სო, გალასი, დესაი, მელხიოტი, ჯ. მორისი, პეტი, ლამპარდი, დე ლუკასი, ძოლა (ოლივეირა 89), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ბენარბია, დე ლუკასი, ლამპარდი
მსაჯი: გალაგერი
34 953 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 ვესტ ჰემი**

0:1 სინკლერი (23)
სანდერლენდი: მაჩო, გრეი, ბები, კრადოკი, ს. რაიტი, კილბეინი, კ. რეინი (ტორნტონი 79), გ. მაკანი, ბატერი (ბელიონი 46), ფილიპსი, მ. სტიუარტი (ნ. ქუინი 61)
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, მინტო, რეპკა, დეილი, ი. პირსი (ბრინი 68), ჯ. კოული, ლომასი, კარიკი, ტ. სინკლერი (გ. სისე 77), დი კანიო, დეფო
მწვრთნელი: გლენ როედერი
გაფრთხილება: კილბეინი, კარიკი
მსაჯი: ბარბერი
44 352 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 ბირმინგემი**

0:1 მური (86ა.კ.), 1:1 რობერტსი (87)
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, დ. მური, ჯილკრისტი, გრიგენი, ბალისი, კლემენტი, უოლკოტი, ე. ჯონსონი, ე. მარშალი, რობერტსი, ს. ჰიუზი (დობი 67)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
ბირმინგემი: ვესენი, კენა, ვოკერი (ბ. ჰიუზი 90), ტებილი, კარტერი, დევლინი (მორისონი 66), სევიჯი, ლაზარიდისი, შ. პაუელი, ჯონი (კუდჯოუზი 84), მორისონი
მწვრთნელი: სტივ ბრუსი
გაფრთხილება: კლემენტი, ჯილკრისტი, მარშალი, ტებილი, ჯონი, ტებილი
გაძევება: ტებილი (82)
მსაჯი: პოლი
27 021 მაყურებელი

**ასტონ ვილა — საუთჰემპტონი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

# იცნობდეთ — უეინ რუნი!



ევერტონი — არსენალი. უეინ რუნიმ (მარცხნივ) ინგლისი აალაპარაკა

**ამ სეზონში** პირველად „ლივერპული" ლიდერი შეიქნა. ბოლო ოცდაათ შეხვედრაში პირველად და ბოლო ოცდაოთხ გასვლით მატჩში ასევე პირველად „არსენალი" დამარცხდა, „ლივერპულმა" კი მოიგო ლიდსში, სალიფ დიაოს გოლით.

„არსენალს" არ წაუგია რომელიმე დიდ გუნდთან, წააგო „ევერტონთან" „გუდისონ პარკზე" შეხვედრის ბოლო წუთზე. მანამდე კი ფრე იყო: ფრედი ლიუნგბერგის მეშვიდე წუთზე გატანილს, თხუთმეტ წუთში მოჰყვა ტომაშ რაძინსკის გოლი. ამ უკანასკნელმა ბურთი მას შემდეგ მოიგდო ფეხებში, რაც ტომას გრავესენის დარტყმულმა ძელი დააზანზარა.

„არსენალს" პრობლემა ჰქონდა: კრიტიკის ქვეშაა „მეთოფეთა" აჭრილი მეკარე დევიდ სიმენი, ვინაც გასულ ოთხშაბათს სანაკრებო თამაში ჩააგდო და შორიდან გაშვებული ბურთები დაუთვალეს. ამის მიუხედავად, სიმენს ოვაციით შეხვდა „გუდისონ პარკიც" და „მეთოფეებს" ადევნებული ისლინგტონელი ფანობაც. სიმენმა ერთი-ორი კარგი ბურთი დაფარა, მაგრამ ხასიათზე მაინც ვერ იყო.

შაბათ საღამოს არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ მოხდა, ვიდრე ლიდერის დამარცხება იყო. მეთხუთმეტე წუთზე მასპინძელთა მენეჯერმა დევიდ მოიესმა რაძინკსის ნაცვლად 16 წლის უეინ რუნი შეუშვა მოედანზე. რუნიმ ბრწყინვალე ათი წუთი გაატარა მინდორზე, რაც შორეული, ზედა ძელისქვეშ ჩაჭედებული დარტყმით დააგვირგვინა.

„რუნი ყველაზე დიდი ტალანტია" — თქვა მეთოფეთა მენეჯერმა არსენ ვენგერმა — ვინც კი ჩემი ინგლისში მუშაობის მანძილზე მინახავს. ღმერთმა ქნას აცდეს ტრავმებს და მისმა ფსიქიკამ დაწოლას გაუძლოს. ამ საღამოს ის ვარსკვლავი გახდა". დაწოლას კი იმიტომ, რომ რუნი, რომელიც ამ კვირაშილა ხდება 17 წლის და რომელმაც კარიერაში პირველი გოლი გაიტანა, უკვე შეადარეს პოლ გესქოინსა და მაიკლ ოუენს, ხოლო უილიამ ჰილის ბუქმეიკერებმა ფსონი გამოაქვეყნეს — 7:2-ზე, უეინი ყველაზე ახალგაზრდა ინგლისელი იქნება, ნაკრებში რომ ითამაშებსო. რეკორდი მაიკლ ოუენს ეკუთვნის, რომელიც 18 წლის და 39 დღის იყო, ეროვნულ გუნდში რომ მიიწვიეს.

მოიესიც ხარობდა: „ამ დილით ჩვენი საფეხბურთო სკოლის ვარჯიშზე შევიარე. უეინი იქ დამიხვდა. მისი თანატოლები ხომ იქ ვარჯიშობენ, ის კი უკვე „არსენალს" უტანს გოლებს".

თავად მაიკლ ოუენი კი ეგრეც ვერ მოხვდა „ლივერპულის" ძირითადში და მხოლოდ შეცვლაზე შევიდა „ელანდ როუდზე", სადაც დიაომ მოხდენილი წაკვრით გადაგზავნა ბურთი ლიდსელთა კარში. „რა, რა და ფრე მაინც გვერგებოდა", ამოიოხრა მასპინძელთა მენეჯერმა ტერი ვენებლზმა. „ჩვენმა პრაგმატულობამ შედეგი გამოიღო" — ხარობდა ჟერარ ულიე.

ამის შემხედვარე „მანჩესტერ იუნაიტედს" კი ცხრა პირი ტყავი გადასძვრა „ფულემთან" გასვლით მატჩში, სადაც ფრანგულ ამბავში გამარჯვებული ფაბიენ ბარტეზი გამოვიდა. თუმცა ეს ყველაფერი ყვითელ ბარათად დაუჯდა. სერ ალექსს არ ჰყავდა როი კინი და ნიკი ბათი, პოლ სქოულზი და დევიდ ბექჰემი თითქოს განზე იყურებოდნენ, რაიან გიგზი კი იმ დიდი გამარჯვების (უელსის მიერ იტალიის დამარცხებას ვგულისხმობთ) შთაბეჭდილების ქვეშ თუ იყო. ამიტომ, თამაში „ფულემს" ეჭირა და სტივ მარლემ გახსნა კიდეც ანგარიში. სქოულზს მალევე შეეძლო გატანა, მაგრამ ვან დერ სარმა იჟაჟკაცა. „მანჩესტერს" ოლე გუნარ სოლსკიაერმა უშველა მეორე ტაიმის თხუთმეტი წუთის თავზე, მაგრამ მალევე „ფულემს" გარდამტეხი გოლის შანსი გაუჩნდა. ლორან ბლანმა მარლე მოცელა, სტივ მალბრანკმა პენალტი დაარტყა, მაგრამ ბარტეზმა მოიგერია, მანამდე ყვითელიც მიიღო, პენალტის დარტყმაში ხელის შეშლისთვის.

„ისინი კარგად თამაშობენ შინ" — ხელები გაშალა ალექს ფერგიუსონმა.

როგორც ალან შ[illegible] მოხდა. მან თავისი მესამე გოლი ბლეკბერნში პენალტით გაიტანა და ამას სამასმეერთეც მიაყოლა, მაგრამ „ჯობდა, სულ არ გამეტანა და 1:0 მოგვეგო" — თქვა ალანმა. მეხუთე წუთიდან ათი კაცით მოთამაშე „ნიუკასლმა" 2:5 წააგო „ბლეკბერნთან". ნიკოს დაბიზასი ადრევე გააძევეს საჯარიმოში ხელით თამაშისთვის, ყრმა დევიდ დანმა დუბლი ალასრულა. ბლეკბერნელმა მცველმა მარტინ ტეილორმა, რომელსაც წელიწადზე მეტხანს საერთოდ არ გაეტანა.

უიღბლო გამოდგა ჰოვარდ უილკინსონის მენეჯერობის დასაწყისი „სანდერლენდში". შავმა კატებმა შინ წააგეს „ვესტ ჰემთან". თამაშის ერთადერთი გოლი ტრევორ სინკლერმა გაიტანა პაოლო დი კანიოს ორმოცდაათმეტრიანი პასის შემდეგ, რაიც ამ ორის დამუშავებული კომბინაცია გახლავთ ამ და სეზონში პირველად არ მომხდარა.

და მაინც, გახსოვდეთ უეინ რუნი. ამიერიდან დააკვირდით.

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS

ლიდსი — ლივერპული. სალიფ დიაოს კინწილა გოლმა „ლივერპული" გააპირველა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლივერპული | 10 | 7 | 3 | 0 | 20:8 | 12 | 24 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 6 | 11 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 13 |
| 2 არსენალი | 10 | 7 | 2 | 1 | 25:11 | 14 | 23 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:5 | 9 | 15 | 5 | 2 | 2 | 1 | 11:6 | 5 | 8 |
| 3 ტოტენჰემი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:14 | 2 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:7 | 2 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 7 |
| 4 მანჩესტერი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 6 | 18 | 5 | 4 | 0 | 1 | 6:1 | 5 | 12 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:6 | 1 | 6 |
| 5 მიდლსბრო | 10 | 5 | 2 | 3 | 13:6 | 7 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 13 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:4 | 0 | 4 |
| 6 ჩელსი | 10 | 4 | 4 | 2 | 18:12 | 6 | 16 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:6 | 2 | 5 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 11 |
| 7 ფულემი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 5 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:4 | 5 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 4 |
| 8 ბლეკბერნი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:12 | 4 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 11:9 | 2 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 |
| 9 ევერტონი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:15 | -2 | 14 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 11 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | -6 | 3 |
| 10 ლიდსი | 10 | 4 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 13 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 6 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 7 |
| 11 ნიუკასლი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:14 | 0 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | -5 | 4 |
| 12 ბირმინგემი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:12 | -1 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 6 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 |
| 13 საუთჰემპტონი | 9 | 2 | 4 | 3 | 6:8 | -2 | 10 | 5 | 2 | 3 | 0 | 4:1 | 3 | 9 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 |
| 14 ასტონ ვილა | 9 | 3 | 1 | 5 | 6:9 | -3 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 10 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | -6 | 0 |
| 15 ჩარლტონი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:14 | -6 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | -6 | 3 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 7 |
| 16 ვესტ ბრომვიჩი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:16 | -8 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | -6 | 3 |
| 17 ვესტ ჰემი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | -7 | 8 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | -4 | 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:9 | -3 | 6 |
| 18 სიტი | 10 | 2 | 2 | 6 | 7:17 | -10 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:8 | -7 | 1 |
| 19 სანდერლენდი | 10 | 2 | 2 | 6 | 4:14 | -10 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | -4 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 4 |
| 20 ბოლტონი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:17 | -8 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 3 |

**XI ტური**

**26 ოქტომბერი**

არსენალი — ბლეკბერნი
ბირმინგემი — მანჩესტერ სიტი
ჩელსი — ვესტ ბრომვიჩი
ლივერპული — ტოტენჰემი
მანჩესტერი — ასტონ ვილა
მიდლსბრო — ლიდსი
ნიუკასლი — ჩარლტონი
საუთჰემპტონი — ფულემი

**27 ოქტომბერი**

ვესტ ჰემი — ევერტონი

**28 ოქტომბერი**

ბოლტონი — სანდერლენდი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ძოლა (ჩელსი) | 8 |
| შირერი (ნიუკასლი) | 7 |
| ვილტორდი (არსენალი) | 6 |
| ანრი (არსენალი) | 6 |

## I დივიზიონი

### XIV ტური

**დერბი ქაუნთი 0:0 ნოტინგემი**

დერბი ქაუნთი: გრანტი, ჰანტი, რიგოტი, ევატი, ჰიგინბოთემი, ბოლტიენი, მორისი (კინკლაძე 68), ლი, ბოლდერი, კრისტი, მაკლეოდი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
30 000 მაყურებელი

**ბრაიტონი 2:4 შეფილდ იუნაიტედი**

1:0 ბარტი (23), 2:0 ბარეტი (34), 2:1 ბრაუნი (70), 2:2, 2:3, 2:4 ასაბა (77, 86პ, 88პ)

**ჯილინგემი 3:0 უოტფორდი**

1:0 სიდიბე (2), 2:0 იპუა (33), 3:0 ჯეიმსი (90)

**გრიმსბი 0:0 როტერჰემი**

**ლესტერი 0:1 ბარნლი**

0:1 ა. მური (55)

**ნორვიჩი 3:1 მილუოლი**

1:0 ნილსენი (43), 1:1 კლარიჯი (62), 2:1, 3:1 ნილსენი (69, 73)

**პორტსმუთი 1:1 ქოვენთრი**

1:0 პერიკარი (51), 1:1 დევენპორტი (60)

**რედინგი 3:1 იფსვიჩი**

1:0, 2:0 ფორსტერი (28, 40), 2:1 ამბროზი (61), 3:1 ფორსდერი (69)

**შეფილდ უენსდეი 2:1 ბრედფორდი**

1:0 სიბონი (34), 1:1 ჯუნიორი (44), 2:1 სიბონი (87)

**უოლსოლი 3:3 პრესტონი**

1:0 ლეიტონი (21), 2:0 ჟუნიორი (26), 2:1 ჰილი (38), 3:1 არანალდე (45პ), 3:2 ლუკეტი (76), 3:3 ალექსანდერი (87)

**უიმბლდონი 2:2 კრისტალ პალასი**

0:1 ჰენდერსონი (14), 0:2 ჯონსონი (71), 1:2 შიპერლი (77), 2:2 ეგიმენგა (78)

**სტოკი 0:2 უოლვერჰემპტონი**

0:1 კამერონი (78), 2:0 ნ. ბლეიკი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 13 | 10 | 2 | 1 | 29:11 | 32 |
| ნორვიჩი | 13 | 8 | 4 | 1 | 24:8 | 28 |
| ლესტერი | 13 | 8 | 3 | 2 | 19:11 | 27 |
| ნოტინგემი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:13 | 24 |
| შეფილდი | 13 | 7 | 3 | 3 | 22:16 | 24 |
| უოტფორდი | 14 | 7 | 3 | 4 | 20:21 | 24 |
| ქოვენთრი | 13 | 6 | 4 | 3 | 18:16 | 22 |
| ბარნლი | 13 | 6 | 3 | 4 | 16:18 | 21 |
| როტერჰემი | 14 | 5 | 5 | 4 | 23:18 | 20 |
| რედინგი | 13 | 6 | 2 | 5 | 17:13 | 20 |
| ჯილინგემი | 14 | 5 | 4 | 5 | 17:19 | 19 |
| დერბი | 14 | 5 | 3 | 6 | 15:17 | 18 |
| ვულვზი | 12 | 5 | 2 | 5 | 23:16 | 17 |
| ბრედფორდი | 14 | 3 | 7 | 4 | 14:19 | 16 |
| იფსვიჩი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:15 | 15 |
| უოლსოლი | 14 | 4 | 3 | 7 | 19:23 | 15 |
| კრ. პალასი | 13 | 2 | 8 | 3 | 17:17 | 14 |
| პრესტონი | 13 | 2 | 8 | 3 | 18:21 | 14 |
| სტოკი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:19 | 14 |
| მილუოლი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:25 | 13 |
| უენსდი | 14 | 2 | 6 | 6 | 13:20 | 12 |
| უიმბლდონი | 14 | 3 | 3 | 8 | 13:21 | 12 |
| გრიმსბი | 14 | 2 | 3 | 9 | 9:23 | 9 |
| ბრაიტონი | 13 | 1 | 1 | 11 | 11:25 | 4 |

## მეორე დივიზიონი

მე-14 ტური: კოლჩესტერი — ჩესტერფილდი 2:0; ბლეკპული — კარდიფი 1:0; ბრენტფორდი — პორტ ვეილი 1:1; ბრისტოლი — სუინდონი 2:0; ჩელტენჰემი — ქუინზ პარკი 1:1; ქრიუ — პლიმუთი 0:1; მენსფილდი — ჰადერსფილდი 0:2; ნოტსი — ნორთჰემპტონი 2:1; ოლდემი — ლუტონი 1:2; ტრანმერი — ბარნსლი 1:0; უიგანი — სტოკპორტი 2:1; უაიკომბი — პიტერბორო 3:2

## მესამე დივიზიონი

მე-14 ტური: კემბრიჯი — ოქსფორდი 1:1; დარლინგტონი — ბოსტონი 2:3; ჰარტლპული — რექსემი 4:3; ლეიტონი — ბორნმუთი 0:0; ლინკოლნი — ექსეტერი 1:0; მაკლსფილდი — კარლაილი 2:2; როჩდეილი — სქანთორპი 1:2; რაშდენი — ბერი 0:1; შრუსბერი — კიდერმინსტერი 2:3; სუონსი — საუთენდი 1:0; ტორკი — ჰალი 1:4; იორკი — როვერსი 2:2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა ვერ იჭერს შობერი



ლევერკუზენი — კაიზერსლაუტერნი. მასპინძელი ჰანო ბალიტჩი და სტუმარი თომას რიდლი

REUTERS

## გერმანია

### ბუნდესლიგა. IX ტური

**ლევერკუზენი 1:0 კაიზერსლაუტერნი**

1:0 ბრდარიჩი (19)

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, სებესკენი, ლუსიო, ჟივკოვიჩი, პლასენტე, რამელოუ, ბალიტჩი, ოჯიგვე, ბაშტურქი (შიმაკი 90), ნოივილე (ფრანსი 84), ბრდარიჩი (ბიროვკა 65)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი

კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი (ბიელიცა 46), ჰენგენი, კნავსი, რიდლი, ბასლერი, გრამოზისი, ლოკვენცი, ტებერი (ლინკოლნი 63), [illegible]ამა (დომინგეში 64), კლოზე

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: ჟივკოვიჩი, ბალიტჩი, ბასლერი, ჟივკოვიჩი, რიდლი, ჰ. კოხი

გაძევება: ჟივკოვიჩი (33)

მსაჯი: კემლინგი

22 500 მაყურებელი

**კოტბუსი 0:2 ჰერტა**

0:1 მარსელინიო (22), 0:2 ალვესი (44)

კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, ბეკა, ტ. როსტი, ლიოთი, რეგეკამპფი, კალუჟნი (შროტერი 67), მირიუტა (ფრანკლინი 79), გებჰარდტი, ტოპიჩი, რინკი (იუნგნიკელი 67)

მწვრთნელი: ედუარდ გაიერი

ჰერტა: კირალი, რემერი, ფრიდრიხი, სვერისონი, ჰარტმანი, პინტო, მადლუნგი, ნოიენდორფი (დარდაი 71), მარსელინიო, ალვესი (პრეეცი 87), გოორი (მაასი 82)

მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი

გაფრთხილება: მირიუტა, კალუჟნი, გებჰარდტი, ნოიენდორფი, სვერისონი

მსაჯი: ფანდელი

13 612 მაყურებელი

**დორტმუნდი 0:0 არმინია**

დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, ვორნსი, მეცელდერი (მადუნი 46), დედე, ტ. როზიცკი, ფრინგსი, რიკენი (ბაინრიხი 82), ევერტონი, ამოროზო (რიკენი 82), კოლერი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

არმინია: ჰაინი, ჰამსენი, რაინჰარდტი, ბოგუში, დაბროვსკი, კაუფი, დამიერი (მორკელიო 80), ბრინქმანი (ჩა 65), ალბაიარაქი, დიაბანგა, ვიჩნიარეკი (ფ. ვაიტა 76)

მწვრთნელი: ბენო მიოლმანი

გაფრთხილება: ამოროზო, ჰაინრიხი, დიაბანგა

მსაჯი: შტარკი

64 000 მაყურებელი

**ჰანზა 0:1 ბაიერნი**

0:1 ზე რობერტო (73)

ჰანზა: შობერი, ვიმერი, იაკობსონი, კოვარი, მაული, აგალი (ბუგელე 86), ლანცი, ჰირშონი (ვერბიკი 76), რიდლევისი (არვიდსონი 86), პრიკა, სალუ

მწვრთნელი: არმინ ვეხი

ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ტარნატი, იერემისი, ბალაკი (თ. ლინკე 86), ჰარგრივსი (შოლი 68), ზე რობერტო, ელბერი, კ. პისარო (სანტა კრუსი 76)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: სანიოლი, ელბერი, ბალაკი, შოლი

მსაჯი: ვაინერი

30 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:0 მიონხენგლადბახი**

1:0 მეიერი (47)

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, უიფალუში, კლინგი, ჰოოგმა, ლედესმა, ვიკი, მაჰდავიკია, რანი, მეიერი (ბაინლიხი 89), რომეო (ბარბარეზი 86)

მწვრთნელი: კურტ იარა

მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი (შტასინი 54), კორელი, შტრასერი, მიუნხი, ვიტეცეკი, ჰაუსვაილერი (სკუბო 71), კლუგე (დემო 31), აიდო, ვან ჰუტი, ვან ლენტი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

გაფრთხილება: ვან ჰუტი, შტასინი

მსაჯი: მერკი

51 616 მაყურებელი

**ჰანოვერი 4:4 ვერდერი**

1:0 კრუპნიკოვიჩი (6), 1:1 ვერლაატი (10), 2:1 იდრისუ (39), 2:2 აილტონი (52), 2:3 ხარისტეასი (60), 2:4 მიკუ (67), 3:4, 4:4 ბობიჩი (81, 83)

ჰანოვერი: სივერსი, ჩერუნდოლო, კ. ლინკე (შტაინერი 70), ზურავი, შტეფული, ლალა, ხაიმე (დე გუზმანი 70), კრუპნიკოვიჩი, შტენდელი, იდრისუ, ბობიჩი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

ვერდერი: ბორელი, სტალტერი, ვერლაატი, კრსტაიჩი, სკრიპნიკი, ფ. ბაუმანი, ფ. ერნსტი, ლისტიში (ბოროვსკი 85), მიკუ, ხარისტეასი, აილტონი (დაუნი 89)

მწვრთნელი: თომას შაფი

გაფრთხილება: ლალა, ლინკე, კრუპნიკოვიჩი, აილტონი

მსაჯი: აუსტი

45 958 მაყურებელი

**მიუნხენი 3:0 შალკე**

1:0, 2:0 ლაუტი (60, 76), 3:0 შროტი (80)

მიუნხენი: იენჩი, ჩერნი, ვოტავა, როდრიგო კოსტა, პიურკი, მაიერი, კურცი, ჰესლერი (ბორიმიროვი 64), შუკერი (ვაისენბერგერი 73), ლაუტი (მაქსი 83), შროტი

მწვრთნელი: პეტერ პაკულტი

შალკე: ფ. როსტი, უდე კამფუისი, ჰაიტო, ვან ჰოოგდალემი, როდრიგესი (მანკი 78), პოულსენი, ასამოა, ტ. ვარელა, მიოლერი, სანდი, ე. მპენზა (ვილმოტსი 61)

მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი

გაფრთხილება: პიურკი, ლაუტი, შუკერი, როდრიგესი, უდე კამფუისი, პოულსენი

გაძევება: კურცი (29), ვარელა (29)

მსაჯი: შტრამპე

30 000 მაყურებელი

**ბოხუმი 4:2 ვოლფსბურგი**

1:0 კრისტიანსენი (5), 1:1 კლიმოვიჩი (6), 1:2 პონტე (37), 2:2 ფარენჰორსტი (56), 3:2 ფრაიერი (67), 4:2 ჰაშემიანი (82)

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლოდზეი, კალა, ფარენჰორსტი, მაიხელბეკი, შინდცილორცი, ტაპალოვიჩი (გუდიონსონი 22), ვოში, ფრაიერი, ბაკლი (ჰაშემიანი 65), კრისტიანსენი (ბემბენი 73)

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი, მადსენი (ბილიშკოვი 60), შნოორი (ტ. პეტროვი 71), რაუ, კარმანი, შარფი (აკონორი 60), ეფენბერგი, პონტე, ტ. მარიჩი, კლიმოვიჩი

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

გაფრთხილება: ბაკლი, შინდცილორცი, ფარენჰორსტი, მადსენი, ეფენბერგი, მარიჩი

მსაჯი: ფაკი

18 858 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:2 შტუტგარტი**

1:0 იაროლიმი (44), 1:1 კურანი (80), 1:2 ამანატიდისი (84)

ნიურნბერგი: კამპა, პეტკოვიჩი, კოში, პოპოვიჩი, ნიკლი (მასლაკი 46), ლარსენი, სანე, იაროლიმი, ლ. მიულერი, დავიდი (დრიულერი 66), ს. ჩირიჩი

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

შტუტგარტი: თ. ერნსტი, ჰინკელი, რუი მარკეში, ბორდონი, გერბერი, სოლდო, მაისნერი (ტიფერტი 59), გლები, ზაიცი (ამანატიდისი 70), კურანი, განეა (ვენცელი 86)

მწვრთნელი: ფელიქს მაგატი

გაფრთხილება: პეტკოვიჩი, პოპოვიჩი, მასლაკი, დრიულერი, ტიფერტი, ბორდონი

მსაჯი: ვაგნერი

29 500 მაყურებელი

„ჰანზასა“ და „ბაიერნის“ მატჩი უბრალოდ მორიგი ტურის შეხვედრა არ ყოფილა: მას თავისი წინაისტორია ჰქონდა.

დავიწყოთ იმით, რომ ჩემპიონთა ლიგაში „მილანთან“ დამარცხების მერე ბავარიელთა პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი დალაილობაზე ალაპარაკდა და მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმაც კვერი დაუკრა. ჰოდა, ორკვირიანი შესვენება სწორედ მისწრება იყო გუნდისთვის, მით უფრო, რომ მომდევნო ოთხ კვირაში „ბაიერნს“ ათი უპრინციპულესი შეხვედრა ელის.

თავისთვის შვებულება ჰიცფელდმაც გამოიწერა: „ცოლთან ერთად რამდენიმე დღე შვეიცარიაში მეგობრებთან გავატარე. გოლფს ვთამაშობდით და საუკეთესო წითელ ღვინოს ვსვამდით. მოკლედ, ცხოვრებით ვტკბებოდით“. ჰიცფელდმა არც ფეხბურთელები დატანჯა, ამ ორ კვირაში ხუთი დღე საერთოდ გაათავისუფლა ვარჯიშისგან. ოღონდ ზედმეტი დასვენების დღეები მხოლოდ ნაკრებში მიწვეულ ფეხბურთელებს ერგოთ. აშკარად სჭირდებოდათ, ოლივერ კანი, მიხაელ ბალაკი და იენს იერემისი ბოლო ხანს რაღაც დათრგუნულები იყვნენ.

განსაკუთრებულ შეშფოთებას მაინც კანის თამაში იწვევდა. „რკინის“ კანს ჟანგი შეეპარა და ისე ხშირად ველარ ჩადის გმირობებს, როგორც ადრე ჩვეოდა. ამიტომაც იყო, ხმები რომ დაირხა, კანი მალე წავა ფეხბურთიდანო. თუმც მეკარემ ჭორები უარყო, 2006 წლის მუნდიალზეც ვაპირებ კარში დგომასო. სხვათა შორის, კანის ჩავარდნას სტატისტიკაც მოწმობს: ამ ტურამდე „ბაიერნის“ კაპიტანმა ბუნდესდარტყმების მხოლოდ 72 პროცენტი მოიგერია და ამ მაჩვენებლით მე-12 ადგილზე იყო. საუკეთესო შედეგი კი როსტოკელ შობერს ჰქონდა — 88 პროცენტი. ამასთანავე, წინა ათ თამაშში კანმა ერთხელაც ვერ შეძლო კარის მშრალად შენახვა.

როსტოკული მატჩი კანისთვის სხვა რამითაც იყო გამორჩეული. მთელ გერმანიას კარგად ახსოვდა 2001 წლის 3 მარტი. იმ დღეს „ბაიერნი“ „ჰანზასთან“ 2:3 აგებდა და ბოლო წუთებში კანმა მეტოქის საჯარიმოში მიირბინა. მიუნხენელებმა კუთხური ჩააწოდეს, კანი ახტა და გოლიც გაიტანა, ოღონდ ბურთს მუშტი დაარტყა და მარკუს მერკისგან წითელი ბარათი მიიღო. „ჰანზა“ ცუდად აქვთ დაბედებული კანის თანაგუნდელებსაც: წინა ოთხი შეხვედრიდან სამჯერ დამარცხდნენ.

თამაში დაიწყო და მაშინვე გამოჩნდა, რომ როსტოკელები მეტისმეტად ფრთხილობდნენ და დაცვას შეტევაზე მეტ ყურადღებას უთმობდნენ. ისე გასაგებიცაა, „ჰანზამ“ წინა სამი საშინაო მატჩი წააგო და ახლა ფრესთვის იბრძოდა. მასპინძელთა დაცვითმა მოდელმა „ბაიერნს“ ხელფეხი გაუხსნა და მეტოქის კართან უამრავი მომენტი შექმნა. მაგრამ რაც გინდა, გოლი არა და არ გადიოდა. მარტო ჯოვანი ელბერს სამი უბრწყინვალესი მომენტი ჰქონდა, ერთხელ ხარიხასაც გაარტყა.

ბოლოს მიუნხენელებს ისევ მეკარე მათიას შობერი დაეხმარა — ბალაკის დარტყმული უხეიროდ მოიგერია, ზე რობერტოს გაუგორა და ბრაზილიელმაც თავისი პირველი ბაიერნული გოლი გაიტანა.

ისევ დაეხმარაო, ვთქვით — 2000-01 წლების სეზონის ბოლო ტურში, „ბაიერნი“ „ჰამბურგს“ ხვდებოდა. 90 წუთი მიილია და ანგარიში მიუნხენელებისთვის არასასურველი იყო. წამატებულ დროში ჰამბურგელთა მეკარემ მცველის დაგორებული ბურთი ხელში აიღო და თავისუფალი დარტყმა დაინიშნა, რომელიც პატრიკ ანდერსონმა გოლად აქცია და „ბაიერნი“ ჩემპიონი გახდა. მიხვდებოდით, ის მეკარე მათიას შობერი იყო.

„ბაიერნის“ გამარჯვება მით უფრო გამოსარჩევია, რომ მეორეადგილოსანმა, ამჟამინდელმა ჩემპიონმა „დორტმუნდმა“ ვერაფერი მოუხერხა „არმინიას“. არადა, დორტმუნდელებს მომენტები ჰქონდათ, ბრაზილიელმა ევერტონმა ძელსაც გაარტყა. თუმც „დორტმუნდი“ ბუნდესლიგის ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება, დღეს კი კრისტოფ მეცელდერის გარეშე მოუწევს ჩემპიონთა ლიგაში „პსვ ეინდჰოვენის“ წინააღმდეგ თამაში. ამ მცველმა მატჩისას ცხვირი გაიტეხა.

**ირაკლი ნინიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 9 | 7 | 1 | 1 | 23:8 | 15 | 22 | 4 | 4 | 0 | 0 | 16:5 | 11 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 10 |
| 2 დორტმუნდი | 9 | 4 | 5 | 0 | 12:5 | 7 | 17 | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 3 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 4 | 8 |
| 3 ვერდერი | 9 | 5 | 2 | 2 | 18:15 | 3 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:11 | -2 | 7 |
| 4 ჰერტა | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 15 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 2 | 8 |
| 5 შალკე | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 3 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | -2 | 5 |
| 6 ბოხუმი | 9 | 4 | 2 | 3 | 20:16 | 4 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 10:9 | 1 | 7 |
| 7 მიუნხენი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:12 | 2 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 4 |
| 8 შტუტგარტი | 9 | 3 | 4 | 2 | 16:12 | 4 | 13 | 4 | 2 | 2 | 0 | 9:3 | 6 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 5 |
| 9 ჰანზა | 9 | 4 | 1 | 4 | 11:7 | 4 | 13 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | -3 | 3 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:0 | 7 | 10 |
| 10 ვოლფსბურგი | 9 | 4 | 1 | 4 | 10:11 | -1 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 4 |
| 11 ჰამბურგი | 9 | 4 | 0 | 5 | 10:15 | -5 | 12 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:6 | 2 | 12 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | -7 | 0 |
| 12 გლადბახი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:7 | 3 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 6 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:6 | -3 | 3 |
| 13 ლევერკუზენი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:16 | -3 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | -2 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 |
| 14 არმინია | 9 | 3 | 2 | 4 | 9:15 | -6 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:13 | -10 | 2 |
| 15 ნიურნბერგი | 9 | 3 | 0 | 6 | 11:16 | -5 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | -1 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | -4 | 3 |
| 16 ჰანოვერი | 9 | 2 | 2 | 5 | 15:22 | -7 | 8 | 5 | 0 | 2 | 3 | 8:15 | -7 | 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 0 | 6 |
| 17 ლაუტერნი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:12 | -5 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:8 | -7 | 1 |
| 18 კოტბუსი | 9 | 1 | 1 | 7 | 5:22 | -17 | 4 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:9 | -8 | 1 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:13 | -9 | 3 |

**X ტური**

27 ოქტომბერი

ჰერტა — ლევერკუზენი
ვოლფსბურგი — ჰანზა
ბაიერნი — ჰანოვერი
ვერდერი — დორტმუნდი
არმინია — ჰამბურგი
გლადბახი — მიუნხენ 1860
შალკე — ნიურნბერგი
შტუტგარტი — კოტბუსი
ლაუტერნი — ბოხუმი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ელბერი (ბაიერნი) | 8 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 7 |
| აილტონი (ვერდერი) | 7 |
| კურანი (შტუტგარტი) | 7 |
| ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 6 |
| პისარო (ბაიერნი) | 6 |
| ბობიჩი (ჰანოვერი) | 6 |

## მეორე ბუნდესლიგა

### IX ტური

**ობერჰაუზენი 1:0 ფრაიბურგი**

1:0 რატაიჩიკი (42)

ფრაიბურგი: გოლცი, რაიტერი, კონდე, დიარა, ბრუნსი, ცქიტიშვილი, ცაიერი, ბაირამოვიჩი (ბუტი 76), ქობიაშვილი, კულიბალი (ტანკო 60), რამდანე (მენერი 84)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: ბაირამოვიჩი, ქობიაშვილი, რაიტერი, ცქიტიშვილი

7 439 მაყურებელი

**ვალდჰოფი 0:0 ფიურტი**

ფიურტელი გიორგი დეკანოიძე განაცხადში ვერ მოხვდა

**ალენი 1:2 ალემანია**

1:0 არნოლდი (71), 1:1 ბედიაკო (78), 1:2 გრლიჩი (86)

**ტრირი 2:2 აინტრახტი**

0:1 გუიე-მიენი (8), 1:1 ბრაჰამი (36), 2:1 ვინკლერი (41), 2:2 ცუმე-მადზა (76)

**ლიუბეკი 1:1 დუისბურგი**

0:1 ებერსი (26), 1:1 ბორგოლტე (51)

**ბრაუნშვაიგი 1:2 კარლსრუე**

0:1 ჩუთინი (5), 1:1 მაზინგუ-დინზეი (7), 1:2 ლაბადია (57)

**როიტლინგენი 2:0 ზანკტ პაული**

1:0 ფრომერი (48), 2:0 ბეკერი (84)

**უნიონი 2:2 ბურგჰაუზენი**

0:1 შმიდტი (45), 1:1 რისტიჩი (49), 1:2 ბონიმაიერი (39), 2:2 კოიტა (87)

**მაინცი — კიოლნი**

მატჩი გვიან გაიმართა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 9 | 6 | 1 | 2 | 16:6 | 19 |
| კიოლნი | 8 | 5 | 3 | 0 | 18:7 | 18 |
| ობერჰაუზენი | 9 | 5 | 2 | 2 | 9:4 | 17 |
| ლიუბეკი | 9 | 5 | 1 | 3 | 19:10 | 16 |
| ტრირი | 9 | 5 | 1 | 3 | 19:11 | 16 |
| აინტრახტი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:9 | 16 |
| როიტლინგენი | 9 | 5 | 0 | 4 | 15:15 | 15 |
| მაინცი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 13 |
| ბურგჰაუზენი | 9 | 3 | 4 | 2 | 15:12 | 13 |
| ფიურტი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:7 | 13 |
| ალემანია | 9 | 3 | 4 | 2 | 11:11 | 13 |
| უნიონი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:20 | 12 |
| დუისბურგი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:15 | 10 |
| ალენი | 9 | 2 | 3 | 4 | 13:14 | 9 |
| ზანკტ პაული | 9 | 2 | 1 | 6 | 16:27 | 7 |
| კარლსრუე | 9 | 1 | 3 | 5 | 6:14 | 6 |
| ვალდჰოფი | 9 | 1 | 1 | 7 | 9:22 | 4 |
| ბრაუნშვაიგი | 9 | 1 | 1 | 7 | 10:25 | 4 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### XIII ტური

მიუნსტერი — ოლდენბურგი 5:0; კიოლნი (მ) — ბაბელსბერგი 2:2; ქემნიცი — ბრაუნშვაიგი 0:2; დინამო — ვერდერი (მ) 2:3; კილი — დრეზდენი 3:1; ძალი — ლევერკუზენი (მ) 2:0; ფელი — ესენი 0:0; ვუპერტალი — ოსნაბრიუკი 2:1; ჰამბურგი (მ) — დორტმუნდი (მ) 1:1

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### XV ტური

უნტერჰახინგი — ზაარბრიუკენი 1:1; ჰოფენჰაიმი — აუგსბურგი 1:1; რეგენსბურგი — მიულინგენი 3:0; კაპრონი — ზიგენი 1:0; ვეზენი — ნოინკირხენი 5:2; ლაუტერნი (მ) — შვაინფურტი 2:0; ბაიერნი (მ) — ერფურტი 1:1; ელვერსბერგი — დარმშტადტი 1:0; ოფენბახი — აალენი 1:1

# ესპანური კოცნა

## ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი. VI ტური**

### ვილიარეალი 3:1 დეპორტივო

1:0 ვიქტორი (7), 1:1 სეზარი (48პ.), 2:1 ვიქტორი (62), 3:1 ბელეტი (88)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, ბელეტი (გიარო 90), არრუაბარენა, ქიკე ალვარესი, ბალესტეროსი, უნაი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო (კალეხა 72), სენა, პალერმო, ვიქტორი (ბერო 81)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
დეპორტივო: ხუანმი, რომერო, ნაიბეტი, სეზარი, ემერსონი (ტრისტანი 63), მაურო სილვა, ფრანი, სკალონი, დუშერი (სერხიო 66), მაკაი (ლუკე 74), ვიქტორი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ემერსონი, ბელეტი, დუშერი, ნაიბეტი, ვიქტორი
გაძევება: უნაი (79)
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
15 000 მაყურებელი

### რასინგი 2:0 რეალი

1:0 რეგეიროს (41), 2:0 მუნიტისი (61)
რასინგი: სებალიოსი, სიეტესი, ნაფტი, მორა, ხუანმა, ისმაელი, პაბლო სიერა, ბინედა, ხავი გერეირო (ბენაიუნი 73), რეგეირო (ჩიკო 80), მუნიტისი (დიეგო ალონსო 86)
მწვრთნელი: მანოლო პრეცადო
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, მაკელელე (მორიენტესი 56), კამბიასო, მაკმანამანი, ზიდანი (პორტილიო 71), რონალდო, გუტი (სოლარი 52)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ნაფტი, იერო, ბინედა
მსაჯი: პინო სამორანო
22 251 მაყურებელი

### ატლეტიკო 1:1 ვალენსია

0:1 ბარახა (40), 1:1 ხავი მორენო (74)
ატლეტიკო: ბურგოსი, ოტერო, გარსია კალვო, სანტი, სერხი, ნავარო, მოვილია, აგილერა (კონტრა 46), ხორხე (ხავი მორენო 56), ფ. ტორესი, ლუის გარსია (კორეა 46)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა, კარბონი, კური ტორესი, ალბელდა (მარჩენა 60), ბარახა, ანგულო, აიმარი (მისტა 76), კარეუ, ვისენტე (ფ. ოურილიო 68)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კარბონი, ბარახა, კური ტორესი, მისტა, ოტერო
მსაჯი: რამირეს დომინგესი
58 000 მაყურებელი

### ბეტისი 0:1 მალიორკა

0:1 ნოვო (32)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, რივასი, ასუნსაო, ვარელა, კაპი, არზუ (ფერნანდო 46), დენილსონი, ხოაკინი, კასასი (ტომაზ ტომასი 74)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
მალიორკა: ლეო ფრანკო, კორტესი, ოლაიზოლა, პოლი, ნადალი, იბაგასა (მარკოსი 58), ნოვო, რიიერა, არილდ ლოზანო, ეტოო (რობლესი 82), პანდიანი (კარლოსი 87)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: არილდ ლოზანო, ეტოო, ლეო ფრანკო, ლუის ფერნანდესი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
15 000 მაყურებელი

### ოსასუნა 2:1 სევილია

1:0 ალოიზი (34პ), 1:1 პაბლო ალფარო (40), 2:1 ალოიზი (45)
ოსასუნა: სანხოსე, მატეო, კრუჩაგა, ხოსეჩო, რივერო (მოა 78), ანტონიო ლოპესი, პუნიალი (ალფრედო 9), პაბლო გარსია, განსედო, ივან როსადო (პალასიოსი 80), ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
სევილია: ნოტარიო, დ. კასტედო, პაბლო ალფარო, ოსკარი, გალიარდო, მარკოს ვალესი (ვ. სალგადო 80), ალფონსო (მოიზესი 86), სუმვისი (ტოედტლი 63), კასკერო, რეიესი, ანტონიტო
მწვრთნელი: ხოაკინ კაპარროსი
გაფრთხილება: ალფონსო, ხოსეჩო, ანტონიო ლოპესი, კასტედო, განსედო, რეიესი, პაბლო გარსია, გალიარდო, გალიარდო, ალფრედო, ანტონიტო, სანხოსე
გაძევება: გალიარდო (85)
მსაჯი: პერეს ლასა
17 994 მაყურებელი

### ესპანიოლი 2:0 უელვა

1:0, 2:0 რობერი (61, 72)
ესპანიოლი: არგენსო, დავიდ გარსია, სოლდევილა, ნავასი, დომორო (ხარკე 83), ველამასანა, მორალესი (დე ლა პენია 71), რობერი, მაქსი (ფრედსონი 71), მილოშევიჩი, ლუკე
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
უელვა: სუზარი, ქაბრილა, გალანი, ალექს პერეირა, ხავი გარსია (დავიდ გალიეგო 69), იკერ ბეგონია, ბენიტესი (კუბილიო 73), ლორენი, რაულ მოლინა, ბერმუდო, ხოსე მარი (ხისკო 69)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: სოლდევილა, ალექს პერეირა, დომორო, ლუკე
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
24 200 მაყურებელი

### ალავესი 2:2 სოსიედადი

1:0 ასტუდილიო (5), 1:1 ნიჰატი (34), 1:2 კარპინი (67), 2:2 რუბენ ნავარო (86)
ლორენსმა ვერ გაიტანა პენალტი (73, აიცილა)
ალავესი: დუტრუელი, იბონ ბეგონია, ტელიესი, ლორენსი, აბელარდო, პაბლო, დესიო (ლ. ელგერა 71), ედუ ალონსო, ასტუდილიო, მაგნო (კრუიფი 71), ივან ალონსო (რუბენ ნავარო 80)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
სოსიედადი: ვესტერველდი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ბორისი, ხაბი ალონსო (არანბურუ 78), ხაურეგი (კვარმე 65), გაბილონდო (დე პედრო 80), კარპინი, კოვაჩევიჩი, ნიჰატი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: მაგნო, ხაურეგი, აბელარდო, იბონ ბეგონია
გაძევება: პაბლო (44)
მსაჯი: მეია დავილა
17 576 მაყურებელი

### ბილბაო 1:1 მალაგა

1:0 ეცკერი (6), 1:1 როტეტა (85)
ბილბაო: ლაფუენტე, ლარაინსარი, ლარასაბალი, ოსკარ ვალესი, ლაკრუსი, მურილიო, სუსარი, იესტე (ალკისა 68), გურპეგი, ეცკერი (ურსაისი 87; ტიკო 90), ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე (ისნატა 77), ფერნანდო სანსი, ხერარდო, ხოსემი, მუსამპა, რომერო (მანუ 67), სანდრო, დელი ვალდესი, დარიო სილვა (მიგელ ანხელ 89)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ლაკრუსი, სანსი, სუსარი, როტეტა, იესტე, სანდრო, გურპეგი, დარიო სილვა
მსაჯი: რუბინოს პერესი
30 000 მაყურებელი



REUTERS ფოტოები

სელტა — რაიო ვალეკანო 0:1. ედუარდო ბერიზომ გოლის გამტან ბოლო პერესს ბურთი არ გაჰკარა

### სელტა 0:1 რაიო ვალეკანო

0:1 ბოლო (6)
სელტა: კავალიერო, ველასკო, სილვინიო, კასერესი (ხოსე იგნასიო 55), ბერიზო (კუდეტი 77), ვაგნერი, მოსტოვოი, ედუ (ათეიდესი 55), ლუქინი, მაკკარტი, ხესული
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, კორინო, გრაფი, მორა, მაური, ონოპკო, მაინსი, ასკოიტია, ხულიო ალვარესი (ფ. მარკეში 52), პერაგონი (ელდერი 69), ბოლო (ბოლიჩი 74)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: მაური, კასერესი, ბოლო, ლორა, ვაგნერი, ელდერი, ველასკო, მოსტოვოი
გაძევება: მაკკარტი (49)
მსაჯი: პერეს ბურული
18 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 2:1 ბარსელონა

1:0 აგანსო (63), 2:0 პაჩონი (85), 2:1 სავიოლა (89)
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, გასპარი, ტორეს გომესი, ოსკარ სანჩესი, კოლსა, ჩემა (სოუზა 64), რიკეტი, კამინერო, ფ. სალესი (დ. ჩირიჩი 90), აგანსო
მწვრთნელი: პეპე მორე
ბარსელონა: ვალდესი, დე ბური, პუიოლი, ფ. ნავარო, ხავი, კოკუ, მენდიეტა (რიკელმე 84), გაბრი (ხერარდი 77), ლუის ენრიკე (ჯოვანი 67), კლუივერტი, სავიოლა
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: გაბრი, კამინერო, ტორეს გომესი, რიკელმე
მსაჯი: პერეს პერესი
15 700 მაყურებელი

**ოქმს ჩავხედოთ:** „რეალმა“, „ბარსელონამ“, „სელტამ“ და „დეპორტივომ“ წააგეს, „ვალენსიამ“ ფრედ ითამაშა, ერთი სიტყვით, ჩემპიონობის ყველა მაძიებელს მეექვსე ტურში ხელი მოეცარა. ამასთანავე, „ბარსელონამ“ უკვე ათი ქულა დაკარგა, „დეპორტივომ“ — ცხრა, ნაქებ „ატლეტიკოს“ კი ფრეების გაგორება წესად ექცა. ჰოდა, რა გასაკვირია, ცხრილს წინა ორი სეზონის მაჩანჩალა, გავარდნას ძლივს გადარჩენილი „რეალ სოსიედადი“ თუ ლიდერობს. და ერთიც — ამ ტურში მთავარი ამბები 86-ე წუთზე მოხდა — ამ წუთზე გასული გოლებით „სოსიედადმა“ გამარჯვება დაკარგა, „მალაგა“ სეზონში პირველ მარცხს გადაურჩა, „ბარსელონამ“ კი წააგო.

ვთქვით, „სოსიედადმა“ გამარჯვება დაკარგაო, მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ძლივს გადაურჩა წაგებასო. საქმე ისაა, რომ 75-ე წუთზე ვიტორიელმა კარლოს ლორენსმა პენალტი გააფუჭა, ბურთი ძელს გაარტყა. იმ მომენტისთვის სანსებასტიანელები იგებდნენ და მოედანზე ერთი ფეხბურთელით მეტიც ჰყავდათ. ჰოდა, ალბათ, იფიქრეს, რაკი ახლა გადავრჩით, რაღა დაგვემართებაო... თუმცა, „სელტას“ მარცხმა „სოსიედადი“ მაინც პირველ ადგილზე ალაზევა.

„რაიო ვალეკანოსთვის“ ხუან ანტონიო ბოლოს ადრეული გოლი საკმარისი აღმოჩნდა ვიგოელთა მათსავე მოედანზე დასამარცხებლად. მცველებს ბოლო გაეპარათ და მანაც თავური უთავაზა პაბლო კავალიეროს. „სელტას“ იცოცხლეთ, მონდომება არ დაუკლია, გასათანაბრებლად გაიქაჩა, მაგრამ ერთთავად მეტოქის საიმედოდ გამაგრებულ დაცვას აწყდებოდა. ბენი მაკკარტის გაძევების მერე კი საბოლოოდ უძლური შეიქნა.

ეს ძველ რეალელთა ტურიც იყო. „ბარსელონასა და „რეალის“ ძლევაში მათ დიდი წილი დაიდეს.

ვალიადოლიდში ჩასულმა „ბარსელონამ“ პირველ ტაიმში ვერც თვითონ გაიტანა და არც მეტოქეს დაანება, შესვენების მერე კი გატყდა. კატალონიელმა მცველებმა ვერ მოიგერიეს ჩაწოდებული საჯარიმო და ძველმა რეალელმა დავიდ აგანსომ შემოტრიალებით დაარტყა და გაიტანა. მეორე გოლი კი შეცვლაზე შესული ვალენტინ პაჩონისა გახლდათ, ბურთთან პირველივე შეხება გოლად რომ აქცია. ხავიერ სავიოლას ერთი საპასუხო, ბოლო წუთზე, გინდ ყოფილა და გინდა არა. ამ თამაშის მერე უთუოდ რისხვა დაატყდება ლუის ვან გაალს, რომელმაც საყოველთაო მოთხოვნის მიუხედავად კვლავ სათადარიგოთა სკამზე აყურყუტა არგენტინელი გამთამაშებელი ხუან რომან რიკელმე.

სანტანდერში პედრო მუნიტისი თამაშამდე ძმურად გადაეხვია ძველ მეგობრებს, თამაშისას კი არ დაინდო. „რეალის“ კარში პირველი გოლი ურუგვაელმა მარიო რეგეირომ სწორედ მუნიტისისა და მედი ნაფტის ჭკვიანური გარღვევის მერე გაიტანა, მუნიტისმა კი ეს არ იკმარა და ერთი გოლი თავადაც შეაგდო. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ამბიციურმა კანტაბრიელებმა პირველივე წუთიდან ძალუმ შეუტიეს და მეტოქეს მატჩის სადავეების საკუთარ ხელში აღება არ დაანებეს. ის ამბავი, რომ მადრიდელებს დაშავებული რაული და ფიგუ არ ჰყავდათ, მათი უგერგილო თამაშის გასამართლებლად, ცხადია, არ გამოდგება.

„ვილიარეალი“, აქამდე ერთი თამაშიც რომ ვერ მოეგო, თითქოს ბობოლა მეტოქისთვის ინახავდა ძალას. თუმცა დასაწყისი საპირისპიროს მოასწავებდა. ფრანის ჩაკიდებულ საჯარიმოს ვიქტორ სანჩესმა თავით მიმართულება შეუცვალა და ანგარიში გახსნა. მაგრამ „დეპორტივოს“ აშკარად აკლდა ამბიცია და რა უნდა მომხდარიყო, მასპინძელთა გახშირებული შეტევებისთვის რომ გაეძლო. შესვენებიდან გასულმა ლაკორუნიელებმა მაშინვე ავტოგოლი მოიმკეს — სესარმა განივი პასი საკუთარ კარში ჩაჭრა. მალევე მასპინძლები პენალტს გამორჩნენ, რომელიც ვიქტორ ფერნანდესმა მეორე გოლად აქცია. [illegible] იფიქრებთ, რომ „ვილიარეალი“ ამის მერე მაინც დამშვიდდა, დარჩენილი დროც იერიშებში გაატარა და არც უნაის გაძევებამ შეაშინა. შედეგად, ბრაზილიელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ჟულინიო ბელეტიმ ჩინებული თავურით მესამე გოლიც გაიტანა.

„რეალისა“ არ იყოს, „ატლეტიკოც“ ყოფილმა მისიანმა დაალონა — რუბენ ბარახამ ძველ ძმაკაცებს გაუტანა. თუმცა მადრიდელებმა ერთობ მოინდომეს და გათანაბრება შეძლეს. სანტიაგო კანისარესმა ჩომინ ნავაროს დარტყმული მოიგერია, შეცვლაზე შესული ხავი მორენოს დამატებულს კი დანებდა.

ვიქტორ ფერნანდესმა „მალიორკა“ „სელტასავით“ აათამაშა. შეგახსენებთ, რომ ვიგოურ კლუბში მუშაობისას, ფერნანდესის „სელტა“ წარმატებულ და წარუმატებელ გრძელ სერიებს უნაცვლებდა ერთმანეთს. ახლაც ასეა, „მალიორკამ“ თავიდან ზედიზედ სამი თამაში წააგო, ამ უქმეებზე სტუმრად „ბეტისის“ ძლევით კი, ზედიზედ მესამე გამარჯვება მიითვალა.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS სანდრო ფოტოები

ზინედინ ზიდანი: ვაი, სირცხვილო!

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 სოსიედადი | 6 | 4 | 2 | 0 | 17:11 | 6 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:6 | 3 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:5 | 3 | 7 |
| 2 სელტა | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 13 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 9 |
| 3 მალაგა | 6 | 3 | 3 | 0 | 13:9 | 4 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 1 | 5 |
| 4 ვალენსია | 6 | 3 | 2 | 1 | 11:4 | 7 | 11 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:1 | 5 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 5 |
| 5 რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:7 | 6 | 11 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 8 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 |
| 6 რასინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 |
| 7 ვალიადოლიდი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 8 ბეტისი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:8 | 4 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 8:6 | 2 | 5 |
| 9 დეპორტივო | 6 | 3 | 0 | 3 | 9:11 | -2 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 6 |
| 10 მალიორკა | 6 | 3 | 0 | 3 | 6:9 | -3 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 |
| 11 ბარსელონა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 12 რაიო ვალეკანო | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | -1 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 7:5 | 2 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 13 ატლეტიკო | 6 | 1 | 4 | 1 | 10:8 | 2 | 7 | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 0 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 4 |
| 14 ვილიარეალი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:8 | 0 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 15 ოსასუნა | 6 | 1 | 2 | 3 | 10:14 | -4 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:8 | -3 | 2 |
| 16 ალავესი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:12 | -4 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | -2 | 4 |
| 17 ბილბაო | 6 | 1 | 2 | 3 | 6:11 | -5 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 |
| 18 სევილია | 6 | 0 | 4 | 2 | 4:6 | -2 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 |
| 19 ესპანიოლი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:9 | -6 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | -6 | 0 |
| 20 უელვა | 6 | 0 | 1 | 5 | 4:14 | -10 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 |

**VII ტური**

**27 ოქტომბერი**

სელტა — ატლეტიკო
ვალენსია — ბილბაო
მალაგა — ესპანიოლი
უელვა — ბეტისი
მალიორკა — ოსასუნა
სევილია — ვალიადოლიდი
ბარსელონა — ალავესი
სოსიედადი — რასინგი
რეალი — ვილიარეალი
რაიო ვალეკანო — დეპორტივო

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო) | 6 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 5 |
| მაკაი (დეპორტივო) | 5 |
| მუსამპა (მალაგა) | 5 |
| ნიჰატი (სოსიედადი) | 5 |

## სეგუნდადივიზიონი

**VII ტური**

### ეიბარი 1:0 ფეროლი

1:0 მიგელი (21)

### ელჩე 0:0 კორდობა

### ლას პალმასი 2:1 ხეტაფე

1:0 რუბენი (27), 1:1 ლუის ლოპესი (35პ), 2:1 მონტოგუდო (37)

### ტერასა 1:1 ტენერიფე

0:1 ბაუტისტა (42), 1:1 ფერნანდო (43)

### ლეგანესი 1:1 ალბასეტე

0:1 ხესუს პერერა (60), 1:1 სიფიერო (70პ.)

### ნუმანსია 0:2 ლევანტე

0:1 ამატო (17), 0:2 კონგო (83)

### ხერესი 0:1 სალამანკა

0:1 თურელიო (42)

### სპორტინგი 1:1 პოლი ეხიდო

1:0 სოტო (84), 1:1 რიოსი (90)

### სარაგოსა 3:1 ოვიედო

1:0 გალეტი (49), 2:0 არაგონი (58), 3:0 კორონა (59), 3:1 ოლი (78)

### ალმერია 2:1 კომპოსტელა

0:1 მაიკელი (33), 1:1, 2:1 ბილიჩი (47პ, 52)

### ბადახოსი 1:0 მურსია

1:0 ლეანდრო (25)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევანტე | 7 | 4 | 3 | 0 | 17:8 | 15 |
| ლას პალმასი | 7 | 3 | 4 | 0 | 10:5 | 13 |
| ტერასა | 7 | 3 | 4 | 0 | 8:4 | 13 |
| ხერესი | 7 | 4 | 1 | 2 | 7:6 | 13 |
| მურსია | 7 | 3 | 2 | 2 | 7:3 | 11 |
| პოლი ეხიდო | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| ელჩე | 7 | 2 | 4 | 1 | 8:4 | 10 |
| ტენერიფე | 7 | 2 | 4 | 1 | 8:6 | 10 |
| ხეტაფე | 7 | 3 | 1 | 3 | 12:12 | 10 |
| ბადახოსი | 7 | 3 | 1 | 3 | 4:7 | 10 |
| ალბასეტე | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| სარაგოსა | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| ფეროლი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | 9 |
| ეიბარი | 7 | 2 | 3 | 2 | 4:5 | 9 |
| ლეგანესი | 7 | 1 | 5 | 1 | 7:7 | 8 |
| ნუმანსია | 7 | 2 | 1 | 4 | 7:10 | 7 |
| სალამანკა | 7 | 2 | 1 | 4 | 4:7 | 7 |
| კორდობა | 7 | 1 | 3 | 3 | 4:6 | 6 |
| ალმერია | 7 | 1 | 3 | 3 | 7:13 | 6 |
| სპორტინგი | 6 | 0 | 4 | 2 | 2:4 | 4 |
| კომპოსტელა | 7 | 0 | 4 | 3 | 4:8 | 4 |
| ოვიედო | 7 | 1 | 1 | 5 | 7:13 | 4 |

# ხახუნის ძალა

## იტალია

### სერია A. VI ტური

**ატალანტა 1:4 მილანი**

0:1 რივალდო (16), 1:1 სალა (30), 1:2 ტომასონი (41), 1:3, 1:4 პირლო (66პ, 82)
ატალანტა: ტაიბი, სალა, კარერა (გაუტიერი 59), ბელინი, ნატალი, ძაური, დ. ძენონი, დაბო (ფოლით 77), ბერეტა, ინაჩიო პია (კომანდინი 68), ბიანკი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
მილანი: დიდა, შიმიჩი (მელვეგი 68), ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (ამბროზინი 75), რივალდო (სერჯინიო 77), ტომასონი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ძენონი, გაუტიერი
მსაჯი: პაპარესტა
27 000 მაყურებელი

**ინტერი 1:1 იუვენტუსი**

0:1 დელ პიერო (88პ), 1:1 ვიერი (90)
ინტერი: ტოლდო, კორდობა, მატერაცი, ფ. კანავარო, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, ალმეიდა (ემრე 61), კოკო, რეკობა (მორფეო 75), ვიერი, კრესპო
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, იულიანო, ბირინდელი (ძამბროტა 61), კამორანესი, ტუდორი (კონტე 81), დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო, მ. სალასი (ზალაიეტა 69)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: იულიანო, კორდობა, ემრე
გაძევება: მორფეო (90), კონტე (90)
მსაჯი: კოლინა
76 166 მაყურებელი

**ემპოლი 1:3 რომა**

0:1 ემერსონი (31), 0:2 კანდელა (34), 1:2 დი ნატალე (77), 1:3 ტომასი (90)
ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, ატცორი, კუპი, ჯამბიერეტი, გრელა (ბუში 81), როკი, ვანიგლი (კაპელინი 46), დი ნატალე, საუდატი
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
რომა: ანტონიოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი, კოფუ, ტომასი, ემერსონი (გიგუ 90), ლიმა, კანდელა, ბატისტუტა, ა. კასანო (მონტელა 71)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: კანდელა, ტომასი, ემერსონი, კასანო
მსაჯი: ბოლონინი
13 000 მაყურებელი

**ლაციო 3:0 პერუჯა**

1:0 ინძაგი (11), 2:0, 3:0 კიეზა (84, 90)
ლაციო: მარკეჯანი, სტამი, ნეგრო, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე (ლივერანი 60), ჯანიკედა, დ. სტანკოვიჩი (კიეზა 76), სიმეონე, ს. ინძაგი (კასტრომანი 66), კ. ლოპესი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
პერუჯა: ს. როსი, დი ლორეტო, ვიალე, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ბარონიო (ობოდო 51), ბლაზი, გროსო, მიკოლი, ვრიზასი (ნ. ამორუზო 46; კრინიტი 66)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ბლაზი, ინძაგი
მსაჯი: ფარინა
35 000 მაყურებელი

**ბოლონია 3:0 ბრეშა**

1:0 ლოკატელი (19), 2:0, 3:0 კრუზი (76პ, 90)
ბოლონია: ჯ. პაგლიუკა, ფალკონე (ძაკარდო 41), ძანკი, მ. კასტელინი, ნერვო, ოლივე (ფრარა 54), ლ. კოლუჩი, პარამატი, ლოკატელი, ბელუჩი (სალვეტი 89), ხ. კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ბრეშა: მიჩილო, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი, შობი (ჯადიდი 66), ა. ფილიპინი, გუანა, მატუზალემი, სერაჩი (პიზანო 90), რ. ბაჯო, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: დაინელი, გუანა, ძანკი, პეტრუჩი, კოლუჩი, ფილიპინი
მსაჯი: ტრენტალანჯე
19 000 მაყურებელი

**მოდენა 2:1 პარმა**

0:1 მუტუ (41), 1:1 ფაბრიანი (67), 2:1 კამარა (85)
მოდენა: ბალოტა, მაიერი, ჩევოლი, პავანი, პონცო, ჯ. კოლუჩი (დ. კამარა 46), მილანეტო, მაური (ფაბრიანი 46), ბალესტრი, პაზინი, სკულო (უნგარი 88)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
პარმა: ფრეი, ბენარივო, ბონერა, ფერარი, ფუნიორი, მატეო ბრიგი (ბრეშიანო 87), ლამუში, ე. ფილიპინი, ნაკატა (ბონაცოლი 87), მუტუ, ადრიანო
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: პავანი, ფილიპინი
მსაჯი: როდომონტი
22 000 მაყურებელი



ლაციო — პერუჯა. რომაელ კლაუდიო ლოპესს თვალი გვერდზე გაექცა

**უდინეზე 1:0 რეჯინა**

1:0 პიზარო (51პ)
უდინეზე: დე სანქტისი, ჯემიტი, სენსინი, კაბალიერო, იაკვინტა (პიერი 74), დ. პიზარო, პინცი, ალბერტო (გ. მარტინესი 67), იორგენსენი, იაკვინი (ვარლეი 46), მუცი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
რეჯინა: კასტელაცი, ი. ფრანჩესკინი, ვარგასი (ზიოლი 80), პიერინი, მორაბიტო, პარედესი, ნაკამურა, მამედე (რასტელი 67), მოცარტი, დი მიკელე, ლეონი (ბოგდანი 67)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: ალბერტო, პიზარო, კაბალიერო, რასტელი, პიერინი
მსაჯი: პიერი
25 000 მაყურებელი

**ტორინო 1:0 კიევო**

1:0 მაგალიანესი (16)
ტორინო: ბუჩი, ლ. გარსია, დელი კარი, ფატორი, გალანტე, სომეზე (კონტიკო 60), ვერგასოლა, სკარკიონი (მეცანო 77), ა. კასტელინი, ფრანკო, მაგალიანესი (მასპერო 63)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
კიევო: ლუპატელი, მოსა, ლორენცი, ლეგროტალიე, ლანა (ბეგეტო 84), ლაზეტიჩი (მარაცინა 62), პეროტა, კორინი, დ. ფრანჩესკინი (დელა მორტე 75), ფ. კოსატო, ბიერჰოფი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: გალანტე, სომეზე, ლეგროტალიე, მოსა, მარაცინა, პეროტა
მსაჯი: დე სანტისი
20 000 მაყურებელი



ინტერი — იუვენტუსი. ტურინელთა მეკარე ბუფონი (მარცხნივ) სიმწრისგან ყვიროდა, მილანელთა მეკარე ტოლდომ სიხარულისგან თანაგუნდელი ლამის დაახრჩო

**კომო 1:1 პიაჩენცა**

0:1 კაზა (30), 1:1 კარდონე (45ს.კ.)
კომო: ბრუნერი, პადალინო, ბრევი, სტელინი, ბინოტო, კოე, ალეგრეტი, პეკიაი (მილანოვიჩი 80), მ. როსი (მუსიჩი 62), გოდეაში, კარბონე (დე ჩეზარე 85)
მწვრთნელი: ლორის დომინისინი
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, ლამაკი, მანგონე, კრისტანტე (ბოზელი 82), რიჩო, მარკოლინი, ტოსტო (ტრამეძანი 88), დი ფრანჩესკო, მონტანო (პატრასკუ 90), კაზა
მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი
გაფრთხილება: სტელინი, ბინოტო, კრისტანტე, მარკოლინი, მონტანო
მსაჯი: დი ლოკრი
8 000 მაყურებელი

როცა „ინტერი" და „იუვენტუსი" თამაშობენ, თან მატჩს პიერლუიჯი კოლინა განსჯის, სტადიონიდან საფინალო სასტვენამდე წასვლა დიდი სისულელეა. ის მაყურებლები, რომლებმაც თამაშის დასრულებამდე 5-6 წუთით ადრე გადაწყვიტეს სახლში წასვლა, აქაოდა, ალარაფერი მოხდება და ხანამ გასასვლელებში სიხალვათეა, გავასწროთო, ახლა ზიან და თითებს იკვნეტენ, ეს რა მივქარეთო. დიახაც, მიპქარეს, რადგან „სან სიროზე" მთავარი ამბები ძირითადი დროის მიწურულსა და წამატებულ წუთებში მოხდა.

89-ე წუთზე კოლინამ „ინტერის" კარში პენალტი დანიშნა, რაკი შენიშნა, რომ საჯარიმოში ფრანჩესკო კოკო კამორანეზის ფეხს გამოედო. სადავო თერთმეტმეტრიანი არ ყოფილა, მაგრამ მილანელებმა, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, არბიტრის გადაწყვეტილება გააპროტესტეს და როგორც მუდამ ხდება, მსაჯს აზრი ვერ შეაცვლევინეს. დარტყმა ალესანდრო დელ პიერომ ითავა და უნაკლოდ შეასრულა — 90-ე წუთზე „იუვენტუსი" დაწინაურდა. მაგრამ, თურმე ჯერ სად ხართ...

მესამე წამატებულ წუთზე კოლინას ჯიბეში ხელის ჩაყოფა მოუხდა. მოედანზე ნახევარი საათის შესულმა ინტერელმა მორფეომ და თერთმეტი წუთის შესულმა კონტემ ჩხუბი ატეხეს. მოჩხუბრებს თანაგუნდელები გამოექომაგნენ და მოედანზე, პოლიტიკოსთა ენით რომ ვთქვათ, ლამის უმართავი პროცესები დაიწყო. მაგრამ კოლინა რისი კოლინაა — ჩხუბის მოთავენი წითელი ბარათით გაისტუმრა, უმართავი პროცესი კი მართვადად აქცია. ამასობაში კი მეხუთე წამატებულმა წუთმაც მოაწია.

მილანელთა თურქმა ემრემ მარჯვენა ფლანგიდან კუთხური ჩააწოდა. ტურინელთა საჯარიმოში ისეთი ალიაქოთი იყო, რაიმეს ზუსტად გარჩევა წარმოუდგენელი გახლდათ. იქვე ჩასულიყო „ინტერის" მეკარე ფრანჩესკო ტოლდოც. მთელ ამ აურზაურში ტრიბუნებიდან თვალნათლივ მხოლოდ ის გამოჩნდა, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა, ხოლო ტოლდო გიჟივით დარბოდა.

ტელემაყურებლებს უფრო გაუმართლათ, რადგან გამეორებისას ასეთი სურათი გამოიკვეთა: ტურინელმა მცველებმა ჯანლუიჯი ბუფონი მეტოქის სამ ფეხბურთელს — მატერაცის, ვიერის და ტოლდოს შეატოვეს. სანამ ბურთი კუთხურის ალმიდან საჯარიმოსკენ მიფრინავდა, ვიერიმ ძიძგილაობაში თავი ვერ შეიკავა და ბუფონს მიაწვა. ბუფონმა უხერხულად მოიგერია ბურთი, რომელიც ტოლდოს თეძოზე მოხვდა და კარისკენ წავიდა. ოღონდ, სანამ ხაზს გადაკვეთდა, ბურთი მინდორზე მწოლიარე ვიერის გაეხახუნა. გამოცდილმა კოლინამ გოლი ჩათვალა, მისი ავტორობა კი ვიერის უკვე ნამატჩევს, ვიდეოჩანაწერის ნახვის მერე მიაკუთვნა. მოგეხსენებათ, იტალიაში გოლი მას ეთვლება, ვინც ბურთს უკანასკნელი შეეხება.

ახლა იუვენტუსელთა აღშფოთების ჯერი დადგა, კოლინასთან მიიჭრნენ და გოლის გაუქმებას სთხოვდნენ. მაგრამ, როგორც მუდამ ხდება, აზრი ვერ შეაცვლევინეს. საფინალო სასტვენის მერე ბუფონი კიდევ ოციოდე წუთი ვერ დააწყნარეს — აქეთ-იქით ეხეთქებოდა, სიგარეტს ნერვიულად ეწეოდა და თავისთვის რაღაცას ბურდღუნებდა.

ემოციები იქით იყოს და, ფრე ალბათ, სამართლიანი შედეგი იყო. „იუვენტუსი" ცოტათი უკეთ თამაშობდა, თუმცა „ინტერსაც" არანაკლები მომენტები ჰქონდა — ერნან კრესპომ ძელს გაარტყა, ბუფონმა კი პირისპირ გასულ ვიერის აუღო.

მატჩის შემდეგ „იუვეს" დამრიგებელ მარჩელო ლიპის იმედგაცრუება მაინცდამაინც არ ეტყობოდა, შედეგი სამართლიანია, ჩემი ბიჭების კარგმა თამაშმა კი გამახარაო. ექტორ კუპერის რეაქციაზე კი თქმაც არ ღირს — გუნდი წაგებულ თამაშს 95-ე წუთზე რომ შემოაბრუნებს, მწვრთნელი უხასიათოდ როგორ უნდა იყოს.

ამ ტურის სხვა ამბებიდან კი გამოვარჩიოთ ენრიკო კიეზას ტრიუმფალური დაბრუნება. ლაციოელი, რომელსაც მუხლის მძიმე ტრავმამ ერთი წელი გააცდენინა (შარშან სექტემბერში „ვენეციასთან" მატჩისას დაშავდა), მოედანზე 76-ე წუთზე შევიდა და დუბლი მიითვალა.

„მხოლოდ ჩემმა ოჯახმა იცის, რა საშინელი ტკივილი გადავიტანე და რამდენს ვმუშაობდი, ფეხბურთს რომ დავბრუნებოდი" — თქვა 31 წლის კიეზამ, ვინაც მეცამეტე წელია, სერია A-ში თამაშობს.

**კოტე კიკილია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მილანი | 5 | 4 | 1 | 0 | 17:2 | 15 | 13 | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 7 |
| 2 ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 |
| 3 ბოლონია | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 5 | 11 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 4 ლაციო | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 |
| 5 იუვენტუსი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 5 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 |
| 6 რომა | 5 | 3 | 0 | 2 | 12:8 | 4 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 6 |
| 7 მოდენა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:8 | -2 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 8 ემპოლი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 |
| 9 პიაჩენცა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 10 უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 11 პარმა | 5 | 1 | 3 | 1 | 8:7 | 1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 2 |
| 12 კიევო | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 0 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 |
| 13 ბრეშა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | -4 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 0 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 4 |
| 14 პერუჯა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | -6 | 1 |
| 15 კომო | 5 | 0 | 3 | 2 | 3:7 | -4 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 16 ტორინო | 5 | 1 | 0 | 4 | 2:10 | -8 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | -8 | 0 |
| 17 რეჯინა | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | -4 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 18 ატალანტა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | -8 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |

**VII ტური**
**27 ოქტომბერი**

| | | |
|---|---|---|
| ბრეშა | - | კომო |
| კიევო | - | მილანი |
| ინტერი | - | ბოლონია |
| იუვენტუსი | - | უდინეზე |
| ლაციო | - | რომა |
| პარმა | - | ატალანტა |
| პერუჯა | - | მოდენა |
| პიაჩენცა | - | ემპოლი |
| რეჯინა | - | ტორინო |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ფ. ინძაგი (მილანი) | 6 |
| ტოტი (რომა) | 6 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 6 |
| ვიერი (ინტერი) | 5 |

### სერია B

**VIII ტური**

**ანკონა 1:1 სამპდორია**
0:1 ბაცანი (14), 1:1 მაგონი (36)

**კალიარი 2:1 ვერონა**
1:0, 2:0 სუაზო (73, 74), 2:1 ს. ხიმენესი (80)

**კატანია 2:1 სალერნიტანა**
1:0 ბუკი (10), 1:1 ბაჯო (63), 2:1 ჩაკონი (90)

**კოზენცა 1:0 ასკოლი**
1:0 ოშადოგანი (50)

**ჯენოა 1:1 მესინა**
0:1 ძამპანა (20), 1:1 მალაგო (28)

**ლეჩე 1:1 ტრიესტინა**
1:0 ჩევანტონი (35), 1:1 ბაუ (37)

**ნაპოლი 0:1 ლივორნო**
0:1 პროტი (13პ)

**სიენა 1:1 ბარი**
1:0 პინგა (6პ), 1:1 ანაკლეტო (24)

**ტერნანა 1:1 ვენეცია**
1:0 გუზმანი (44), 1:1 ამერინი (79)

**ვიჩენცა 1:3 პალერმო**
0:1, 0:2 ძაული (25, 56), 1:2 მარკოტა (61), 1:3 სანტანა (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალიარი | 6 | 4 | 1 | 1 | 7:4 | 13 |
| სამპდორია | 6 | 3 | 3 | 0 | 9:5 | 12 |
| ტერნანა | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| ლეჩე | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| ბარი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:3 | 9 |
| ლივორნო | 6 | 3 | 0 | 3 | 6:5 | 9 |
| სიენა | 6 | 2 | 3 | 1 | 4:3 | 9 |
| პალერმო | 6 | 3 | 0 | 3 | 9:10 | 9 |
| კოზენცა | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | 9 |
| ანკონა | 6 | 1 | 5 | 0 | 8:6 | 8 |
| ჯენოა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:5 | 8 |
| კატანია | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| ტრიესტინა | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| ნაპოლი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | 6 |
| ვენეცია | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | 6 |
| სალერნიტანა | 6 | 2 | 0 | 4 | 7:12 | 6 |
| ვერონა | 6 | 1 | 2 | 3 | 6:7 | 5 |
| მესინა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:9 | 5 |
| ასკოლი | 6 | 1 | 2 | 3 | 2:5 | 5 |
| ვიჩენცა | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | 3 |

### სერია C1/A. VIII ტური

ჩიეტი — კარარეზე 2:0; ჩიტადელა — პრო პატრია 0:0; ლუმეცანე — პრატო 0:1; პიზა — რეჯანა 2:1; პისტოიეზე — ლუკეზე 0:0; სპალ — ალძანო 0:0; სპეცია — ალბინოლეფე 1:1; ტრევიზო — არეცო 2:1; ვარეზე — პადოვა 3:4

### სერია C1/B. VIII ტური

აველინო — პესკარა 3:0; ბენევენტო — სორა 1:0; კროტონე — ჯულიანოვა 2:2; ფოჯა — ლანჩანო 2:2; სამბენედეტეზე — მარტინა 3:0; ტარანტო — პატერნო 1:1; ტერამო — აკვილა 1:0; ვიტერბეზე — ტორესი 0:0; [illegible]

# იტალიის ჩემპიონატი

მეექვსე ტურის მატჩი

## ატალანტა 1:4 მილანი

კახა კალაძე: 90 წუთი



REUTERS

„მილანის“ გამარჯვებაში რივალდოს და რუი კოშტას ლომის წილი უდევთ

# ახალი ანჩელოტი, ძველი რივალდო

მატჩის მე-15 წუთი მიმდინარეობდა, „მილანი“ „ატალანტას“ კარზე გასალების მორგებას ეშურებოდა. ბურთი ბრაზილიელმა რივალდომ მიიგდო, საჯარიმოსთან მიახლოებულმა მასიმო ტაიბის ერთი გახედა და დაარტყა — არცთუ ისე ძლიერად გასროლილი ბურთი ბალახს სამჯერ შეეხო და ბერგამოელთა მეკარეც უსაქმოდ დარჩა. ვიტორ ბარბოსა ფერეირამ პირველი მილანური გოლი მიითვალა: „ძალიან მოხარული ვარ. ეს ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ბურთი იყო. ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც გავიტან და თამაშის ხარისხსაც გავაუმჯობესებ. დღეს ყველამ დიდებულად ვითამაშეთ, „მილანი“ ფანტასტიკური გუნდია“.

ბრაზილიელმა მატჩში ტრავმაც მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა: „სერიოზული არაფერია, უბრალოდ, კუნთი დამეჭიმა, შევეცდები, მინდორს რაც შეიძლება მალე დავუბრუნდე“ — ამბობს რივალდო. სააგენტო „როიტერის“ ვერსიით კი, ფეხბურთელმა შესაძლოა „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის საზვალიო მატჩი გამოტოვოს.

რივალდო რივალდოდ, მაგრამ მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელი პორტუგალიელი გამთამაშებელი სეზარ მანუელ რუი კოშტა იყო. აკი, დაუფასა კიდეც გარჯა მილანელთა მეათე ნომერს „ლა გაძეტა დელო სპორტმაც“ და ყველაზე მაღალი შეფასება, ცხრიანი დაუწერა. როგორც ჩანს, რუი კოშტამ საკუთარ თავს მიაგნო და ჩვეულადაც ათამაშდა, ერთ სიამოვნებად ღირდა, ზეედორფ-რუი კოშტარივალდოს მიერ შესრულებული „ჯადოქრობის“ ხილვა, „დალეჭილი“, გრძელი თუ მოკლე პასები და ფინტების კასკადი: „მილანი“ ბრწყინვალეა, ყველაფერი ჩინებულად მიდის. გამარჯვებებს უკვე მივეჩვიეთ, მაგარამ წარმატებამ არამც და არამც ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს, ჩვენ პროფესიონალები ვართ და არავისი გვეშინია. პირიქით, მოწინააღმდეგეებს უნდა ეშინოდეთ „მილანის“. კმაყოფილი ვარ თუ არა ჩემი თამაშით? გოლი ვერაფრით გავიტანე, მომენტები კი მქონდა, მაგრამ არა უშავს, მთავარია, გუნდმა მოიგო“ — ამბობს რუი კოშტა.

„მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი კი უკვე „ბაიერნზე“ ფიქრობს: „თამაშის მერე ბიჭებს გასახდელში ვუთხარი, დაივიწყეთ „ატალანტა“, ოთხშაბათს ხომ მიუნხენის „ბაიერნთან“ პრინციპული მატჩი გველის. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, „მილანი“ დიდი გუნდია, ასეთებმა კი ყოველთვის უნდა მოიგონ“.

„მილანმა“ შემტევი, აგრესიული ფეხბურთით თავბრუ დაასხა მეტოქეს, ასე იყო წინა მატჩებშიც, ეს კი ცოტა გასაკვირია, რადგან საყოველთაოდაა ცნობილი, კარლო ანჩელოტი დაცვითი ფეხბურთის მიმდევარი მწვრთნელია. ჩვენებურ კახა კალაძეს, რომელმაც ჩვეულად ითამაშა მარცხენა ფლანგზე და „ლა გაძეტა დელო სპორტისგანაც“ 7,5 შეფასება მიიღო, იტალიელმა ჟურნალისტებმაც სწორედ ასეთი შეკითხვა დაუსვეს: „გუნდი მსუბუქად, ცოცხლად თამაშობს, არადა, შარშან გარედან ისე ჩანდა, რომ ფეხბურთელებს მოედანზე გადაადგილება გიჭირდათ, მაინც რა მოხდა, ფაქტია, ანჩელოტიმ თავისი სათამაშო სტილი, ტაქტიკა შეცვალა...“ კახას პასუხი კი ასეთია: „რა თქმა უნდა, „მილანი“ სხვა ფეხბურთს თამაშობს. ეს კი მწვრთნელის დამსახურებაა. სწრაფი, მოძრავი ნახევარმცველების ხარჯზე გვიადვილდება შეტევისას გადაწყობა. ბევრი ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ უმთავრესი გუნდური თამაში, გუნდური სულისკვეთებაა. თანაც წინასასეზონო მზადებამაც თავისი ქნა, კი არ დავრბივართ, დავფრინავთ და თამაშიც გვიადვილდება.“

რალა ბევრი გავაგრძელოთ, ვინც კვირის მატჩი ნახა, ალბათ, დაგვეთანხმება — „მილანმა“ მეტოქე ერთი ამოსუნთქვით დასცა. „ინტერი“ — „იუვენტუსის“ ფრემ „შავ-წითელთა“ წისქვილზე დაასხა წყალი და „როსონერიც“ 13 ქულით და გატანილ-გაშვებული ბურთების შესაშური სხვაობით (17-2) სერია A-საც ამაყად დაჰყურებს ზემოდან.

**გიორგი ვუჩაძიძე**

# რეინჯერსს „ზესტაფონი“ არ აკლდეს

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XI ტური

**აბერდინი 0:0 დანდი**

დანდი: სპერონი, მაკეი, ჰათჩისონი, უილკი, ერნანდესი, რაე, ნემსაძე (ხიზანიშვილი 83), სმიტი, ნოვო (სარა 87), კაბალიერო, მილნი
გაფრთხილება: უილკი, ნემსაძე
მწვრთნელი: ჯიმ დაფი
14 003 მაყურებელი

**დანდი იუნ. 2:3 ლივინგსტონი**

1:0 ლილი (45), 2:0 მაკინტაირი (55), 2:1 ბოლანი (69), 2:2 უილსონი (74), 2:3 დადი (78)

**კილმარნოკი 2:2 დანფერმლაინი**

0:1 ბრიუვსტერი (43), 1:1 შილდსი (49), 1:2 ბულენი (58), 2:2 კ. ბოიდი (76)

**პარტიკი 0:3 ჰიბერნიანი**

1:0 გ. ოკონორი (44), 2:0 პაატელაინენი (81), 3:0 გ. ოკონორი (88)

**რეინჯერსი 3:0 მოზერველი**

1:0 ამორუზო (2), 2:0 ლოვენკრანდსი (72), 3:0 დე ბური (90)
რეინჯერსი: კლოსი, მორის როსი, კ. მური (კონტერმანი 85), ლ. ამორუზო, ნუმანი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი (ს. ჰიუზი 83), არტეტა, კანიჯა (მოლსი 70), რ. დე ბური, ლოვენკრანდსი
შოთა არველაძე ტრავმირებულია
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაძევება: პარტრიჯი (77, მოზერველი)

**ჰართსი 1:4 სელტიკი**

0:1 სატონი (3), 0:2 ს. პეტროვი (9), 0:3, 0:4 ლარსონი (37, 42), 1:4 უელსი (89)



ჰართსი — სელტიკი. არავის გაკვირვებია: სტუმართა ჰენრიკ ლარსონმა დუბლი მიითვალა

კვირას, ედინბურგის მატჩის დაწყებიდან ცხრა წუთში, ცხადი გახდა, რომ გლაზგოური სტატუს-ქვო შენარჩუნდებოდა — დედაქალაქის „ჰართსს“ კრის სატონმა და სტილიან პეტროვმა ორჯერ გაუტანეს, რითაც „რეინჯერსს“ აცნობეს, წინ დიდად ჯერჯერობით ვერ გაიჭრებით. საწყისის დარად, „სელტიკმა“ პირველი ტაიმის ბოლო ცხრა წუთიც ძლევამოსილად ჩაატარა და ეს მონაკვეთიც წყვილი გოლით აღნიშნა: ინგლისელისა და ბულგარელის საქმე შვედმა ჰენრიკ ლარსონმა ჩაამთავრა. მეორე ტაიმი, ცხადია, ფორმალურ ხასიათს ატარებდა და გარი უელსის გვიანმა გოლმა მასპინძლების ხასიათი ნამდვილად ვერ გამოაკეთა.

„ჰართსის“ დარად, გლაზგოელ მეტოქეს ვერც „მოზერველმა“ დააკარგვინა ქულები, თუმცა ტაიმნახევარი თავს ღირსეულად იცავდა. ამ დროისთვის, ანუ 72-ე წუთამდე, „რეინჯერსი“ ლორენცო ამორუზოს ჯერ კიდევ მთლად დასაწყისში გატანილი კინკილა გოლით იგებდა და მეკარე კლოსის მადლიერი იყო, ტაბლოზე 1:1 რომ არ ეწერა — ერთ მომენტში გერმანელმა 4 მეტრიდან დაქუხებულიც კი მოიგერია. ცხადია, სტუმრებზე მეტი შანსი ტრავმირებული შოთა არველაძის გარეშე მოთამაშე მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ თავი ქუდში ოდენ პიტერ ლოვენკრანდსის თავურის მერე დაიგულეს. ისევე როგორც პირველი გოლისას, აქაც შეტევის შემქმნელი ბასკი არტერა გახლდათ. ხუთ წუთში „მოზერველის“ დევიდ პარტრიჯი რიკსენთან ნამეტანი უხეშობის გამო გააძევეს, რამაც შედეგი მატჩის მიწურულს გამოიღო.

შაბათსვე ითამაშა კიდევ ერთმა „ჩვენებურმა“ გუნდმა — ტურის ერთადერთ უგოლო შეხვედრაში „დანდის“ დაუბრუნდა ზურაბ ხიზანიშვილი, ვინც ბოლო 6 წუთი მანამდე გაფრთხილებული გიორგი ნემსაძის მაგივრად ითამაშა.

**გიგა კობახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 11 | 9 | 2 | 0 | 32:6 | 29 |
| სელტიკი | 11 | 9 | 1 | 1 | 29:7 | 28 |
| დანფერმლაინი | 11 | 6 | 1 | 4 | 21:21 | 19 |
| ჰართსი | 11 | 4 | 5 | 2 | 20:15 | 17 |
| ჰიბერნიანი | 11 | 5 | 0 | 6 | 16:19 | 15 |
| აბერდინი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:16 | 15 |
| დანდი | 11 | 3 | 5 | 3 | 11:14 | 14 |
| კილმარნოკი | 11 | 3 | 4 | 4 | 11:19 | 13 |
| მოზერველი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:19 | 9 |
| ლივინგსტონი | 11 | 2 | 2 | 7 | 12:19 | 8 |
| პარტიკ თისლი | 11 | 1 | 5 | 5 | 8:18 | 8 |
| დანდი იუნ. | 11 | 1 | 3 | 7 | 8:21 | 6 |

### I დივიზიონი. X ტური

ალოა — ინვერნესი 0:6; ფოლკირკი — ეარი 3:0; როს ქაუნთი — არბროთი 4:0; სტ. ჯონსტონი — სტ. მირენი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფოლკირკი | 10 | 8 | 1 | 1 | 23:7 | 25 |
| ინვერნესი | 10 | 6 | 1 | 3 | 23:7 | 19 |
| სტ. ჯონსტონი | 10 | 5 | 3 | 2 | 9:3 | 18 |
| კლაიდი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:10 | 15 |
| ეარი | 10 | 4 | 2 | 4 | 8:12 | 14 |
| როს ქაუნთი | 10 | 3 | 4 | 3 | 14:9 | 13 |
| სტ. მირენი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:18 | 12 |
| არბროთი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:19 | 9 |
| ქუინ ოფ საუთ | 10 | 2 | 2 | 6 | 9:17 | 8 |
| ალოა | 10 | 1 | 2 | 7 | 3:22 | 5 |

### II დივიზიონი. X ტური

ერდრი — ჰამილტონი 0:0; ქოუდენბითი — სტრენრარი 0:1; რეით როვერსი — ბერიკი 1:2; სტენჰაუზმური — ფორფარი 2:1. ბრეჩინი — დამბარტონი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტრენრარი | 10 | 6 | 1 | 3 | 20:13 | 19 |
| რეით როვერსი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:9 | 18 |
| ბერიკი | 10 | 5 | 1 | 4 | 18:16 | 16 |
| ქოუდენბითი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 |
| სტენჰაუზმური | 10 | 4 | 1 | 5 | 13:12 | 13 |
| ბრეჩინი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:13 | 13 |
| ერდრი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:14 | 12 |
| ჰამილტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 10:16 | 12 |
| დამბარტონი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:12 | 11 |
| ფორფარი | 10 | 2 | 2 | 6 | 7:13 | 8 |

### III დივიზიონი. X ტური

ისტ სტირლინგი — ისტ ფაიფი 1:4; გრეტნა — ელგინი 0:0; პიტერჰედი — ალბიონი 2:0; ქუინზ პარკი — მონტროუზი 0:1; სტირლინგი — მორტონი 2:0

# ვაგონი მიჰქრის

## რუსეთი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**ლოკომოტივი 3:0 ტორპედო ზილ**

1:0 ლოსკოვი (40), 2:0 ჟულიო სეზარი (45), 3:0 პიმენოვი (63)

დარჩენილ ოთხ მატჩში „ლოკომოტივს“ 12 ქულა სჭირდება, რომ ჩემპიონობა იზეიმოს. თამაშს ვალერი გაზაევიც ესწრებოდა. გულის სიღრმეში, ალბათ, „ზილს“ გულშემატკივრობდა, რადგან „ლოკო“ წაფორხილების შემთხვევაში არმიელების საქმეს გააკეთებდა.

პირველი ტაიმის ბოლომდე გაძლეს ავტოქარხნელებმა, კურიოზული გოლი კი გაუშვეს. ლოსკოვის ჩაწოდებული ბურთი კარის წინ გასცდა ყველას, მეკარესაც „დაეკარგა“ და კარში შეგორდა.

მეორეც ლოსკოვის დარტყმულ ჯარიმას მოჰყვა. დამატებაზე კარგად ითამაშა ჟულიო სეზარმა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მშვიდად მიიყვანეს შეხვედრა ბოლომდე. ლოსკოვის პასით პიმენოვმა ანგარიში სამამდე გაზარდა და „ლოკომოტივმა“ პირველზე გადაინაცვლა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 26 | 16 | 8 | 2 | 38:11 | 56 |
| ცსკა | 26 | 17 | 3 | 6 | 52:24 | 54 |
| სპარტაკი | 27 | 15 | 7 | 5 | 45:33 | 52 |
| კრილია | 26 | 13 | 3 | 10 | 35:30 | 42 |
| სატურნი | 26 | 12 | 6 | 8 | 37:31 | 42 |
| დინამო | 26 | 12 | 4 | 10 | 36:29 | 40 |
| ტორპედო | 26 | 11 | 7 | 8 | 42:31 | 40 |
| შინიკი | 26 | 10 | 7 | 9 | 35:35 | 37 |
| როტორი | 26 | 9 | 5 | 12 | 23:29 | 32 |
| ზენიტი | 26 | 8 | 8 | 10 | 33:35 | 32 |
| ურალანი | 26 | 6 | 11 | 9 | 31:36 | 29 |
| ალანია | 25 | 7 | 5 | 13 | 29:37 | 26 |
| როსტსელმაში | 26 | 6 | 8 | 12 | 25:45 | 26 |
| ტორპედო ზილ | 26 | 4 | 10 | 12 | 17:35 | 22 |
| ანჟი | 26 | 4 | 9 | 13 | 20:40 | 21 |
| სოკოლი | 26 | 4 | 7 | 15 | 21:38 | 19 |

### თასის 1/8 ფინალი

ტომი — სოკოლი 0:1; მეტალურგი (ლიპეცკი) — ხიმკი 0:4; ლადა — ზენიტი 3:2; სპარტაკი (ნალჩიკი) — კრილია სოვეტოვი 0:1; დინამო (სანქტ პეტერბურგი) — როსტსელმაში 2:3; რუბინი — სატურნი 0:1; სპარტაკი (მოსკოვი) — ურალანი 4:0

## პოლონეთი

### X ტური

პოლონია — პოგონი 2:1; გარბარნია — რუხი 6:2; ოდრა — ვისლა 3:2; კატოვიცე — გურნიკი 2:0; პლოცკი — ლეგია 0:2; ვიძევი — გროცლინი 0:2; ლეხი — ზაგლემბე 0:0; ამიცა — ოსტროვეცი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდრა | 10 | 6 | 3 | 1 | 16:12 | 21 |
| ლეგია | 10 | 5 | 5 | 0 | 19:11 | 20 |
| კატოვიცე | 10 | 6 | 2 | 2 | 13:5 | 20 |
| ვისლა | 10 | 5 | 3 | 2 | 25:14 | 18 |
| ამიცა | 10 | 4 | 5 | 1 | 15:9 | 17 |
| გროცლინი | 10 | 4 | 4 | 2 | 14:13 | 16 |
| გურნიკი | 10 | 4 | 2 | 4 | 18:15 | 14 |
| პოლონია | 10 | 4 | 2 | 4 | 15:17 | 14 |
| გარბარნია | 10 | 3 | 3 | 4 | 19:20 | 12 |
| პლოცკი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:13 | 12 |
| ვიძევი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:12 | 10 |
| რუხი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:17 | 10 |
| ლეხი | 10 | 1 | 6 | 3 | 9:10 | 9 |
| ზაგლემბე | 10 | 2 | 2 | 6 | 11:13 | 8 |
| ოსტროვეცი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:21 | 8 |
| პოგონი | 10 | 1 | 2 | 7 | 8:21 | 5 |

სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნაჭრები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისგან.
ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია

ტიტანი მასტერი
ზევსი
Bilijardai
Master
saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2


☎ (231) 7 17 63
იყიდება
ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.
ქუთაისში
ირაკლი აბაშიძის გამზირი №7.
კინოთეატრ "სულიკოსთან"

# ჩემპიონთა ლიგა IV ტური. დღეს

## A ჯგუფი

### არსენალი — ოსერი

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| სიმენი, ლორენი, სიგანი, კემპბელი, კოული, ტურე, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, ვილტორდი, ანრი, კანუ | ფაბიან კოლი, რადეტი, ბუმსონგი, მექსეში, ტაურე, ტაინიო, ფერე, ლაშუერი, ჯ. სისე, კაბო, ფადიგა |

| 23.45 | 2513 | ლანსი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2514 | მილანი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2515 | ბარსელონა-ლოკომოტივი(მ) | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2516 | ბრიუგე-გალათასარაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჯაგვუფლად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 22 ოქტომბერი | | |
| 21.00 | 2401 | სპარტაკი-ლივერპული | 2,6 | 1,5 |
| 23.45 | 2402 | არსენალი-ოსერი | 1,25 | 3,6 |
| 23.45 | 2403 | დორტმუნდი-პსვ | 1,4 | 3,0 |
| 23.45 | 2404 | ბაზელი-ვალენსია | 2,2 | 1,7 |
| 23.45 | 2405 | რეალი-აეკ | 1,1 | 5,6 |
| 23.45 | 2406 | რომა-გენკი | 1,1 | 5,6 |
| 23.45 | 2407 | აიაქსი-რუზენბორგი | 1,3 | 3,4 |
| 23.45 | 2408 | ლიონი-ინტერი | 1,85 | 1,95 |
| | | 23 ოქტომბერი | | |
| 23.45 | 2409 | დინამო(კ)-ფეიენოორდი | 1,8 | 2,0 |
| 23.45 | 2410 | ნიუკასლი-იუვენტუსი | 1,95 | 1,85 |
| 23.45 | 2411 | ლევერკუზენი-მაკაბი(ჰ) | 1,2 | 4,0 |
| 23.45 | 2412 | ოლიმპიაკოსი-მანჩესტერი | 2,0 | 1,8 |
| 23.45 | 2413 | ლანსი-დეპორტივო | 1,95 | 1,85 |
| 23.45 | 2414 | მილანი-ბაიერნი | 1,7 | 2,2 |
| 23.45 | 2415 | ბარსელონა-ლოკომოტივი(მ) | 1,1 | 5,6 |
| 23.45 | 2416 | ბრიუგე-გალათასარაი | 1,85 | 1,95 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | | | | |
| 21.00 | 2101 | სპარტაკი-ლივერპული | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,7 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 23.45 | 2102 | არსენალი-ოსერი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 2103 | დორტმუნდი-პსვ | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | 2104 | ბაზელი-ვალენსია | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 23.45 | 2105 | რეალი-აეკ | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,6 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |
| 23.45 | 2106 | რომა-გენკი | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,6 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |
| 23.45 | 2107 | აიაქსი-რუსენბორგი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 2108 | ლიონი-ინტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| | | 23 ოქტომბერი | | | | | | | | | |
| 23.45 | 2109 | დინამო(კ)-ფეიენოორდი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 2110 | ნიუკასლი-იუვენტუსი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 2111 | ლევერკუზენი-მაკაბი(ჰ) | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,0 | 14,0 | 30,0 | 15,0 | 14,0 |
| 23.45 | 2112 | ოლიმპიაკოსი-მანჩესტ. | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 23.45 | 2113 | ლანსი-დეპორტივო | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 23.45 | 2114 | მილანი-ბაიერნი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.45 | 2115 | ბარსელონა-ლოკომოტ. | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,6 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |
| 23.45 | 2116 | ბრიუგე-გალათასარაი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

# კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



სოშო — ბორდო. მიქაელ პაგიმ ულრიხ რამე ორჯერ დაიბრიყვა

# ვაჟიდური დაბრუნება

## რაფიკაა პარიზს არ ეყო

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XI ტური

**ლიონი 3:0 ოსერი**
1:0, 2:0, 3:0 ჟუნინიო პერნამბუკანო (36, 50, 76)

**სოშო 2:0 ბორდო**
1:0, 2:0 პაგი (33, 52)
გაძევება: ჟემალი (60, ბორდო)

**ბასტია 3:1 ლე ავრი**
1:0 მენდი (1), 2:0 მორისი (3), 3:0 ნურუჯკუ (58), 3:1 ფუკურე (63)

**გენგამი 3:1 მონპელიე**
1:0 მულეკი (40ა.გ.), 1:1 რუვიე (54), 2:1 ლე რუ (61), 3:1 ელუა (69)
გაძევება: რუ (27, მონპელიე), დრომდინი (86, მონპელიე)

**ლანსი 1:1 აიაჩო**
0:1 ალიკარტე (38), 1:1 სიბიერსკი (83პ)

**მონაკო 1:1 ლილი**
1:0 ჩიული (66), 1:1 მუსილუ (69)

**ნანტი 0:0 ნიცა**

**სედანი 1:3 რენი**
0:1 პიკონე (40), 0:2 მაულიდა (66), 0:3 მახტარ ნდიაიე (77), 1:3 ულიდა (88)

**ტრუა 1:2 პსჟ**
0:1 კარდეტი (3), 0:2 რონალდინიო (8), 1:2 საიფი (16)
გაძევება: ლერუა (65, პსჟ)

**მარსელი 1:0 სტრასბური**
1:0 ფერნანდაო (23)

„ნანტის" გულშემატკივრებმა ლოზუნგი გამოფინეს: „ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი".

მასპინძლები ლიდერ „ნიცას" ხელებოდნენ. ნანტელთა თავკაცი ანხელ მარკოსი წყალშემდგარია და მისგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ. გამარჯვება ისევ არ ეღირსათ. გუნდი შესვენებაზე სტვენით გააცილეს და მოედანზე დაბრუნებულებსაც სტვენითვე შეხვდნენ.

როცა მწვრთნელმა მატჩის მსვლელობისას ვიორელ მოლდოვანი შეცვალა, გაბრაზებულმა რუმინელმა სათადარიგოთა სკამს ფურთხება-გინებით ჩაუარა.

ნანტში მოპოვებულმა ქულამ კი „ნიცა" ცხრილის კენწეროში დატოვა, თუმცა მას „ლიონიც" დაეხმარა. ლიონელებმა „ოსერი" არ დაინდეს. სტუმრები მთავარკაცების, ჯიბრილ სისეს და ხალილუ ფადიგას გარეშე ესტუმრნენ მეტოქეს.

მატჩი ჟუნინიო პერნამბუკანოს ბენეფისად იქცა. ბრაზილიელმა ჰეთ თრიქი მიითვალა. მოხარული ვარ, რადგან ერთ მატჩში სამი არასოდეს გამიტანიაო — თქვა ნამატჩევს ჟუნინიომ.

1974 წლიდან პსჟ-ს სტუმრად „ტრუასთვის" ვერ მოეგო და ახლა შეძლო ჯადოს ახსნა. რვა წუთი იყო მატჩის დაწყებიდან გასული, სტუმრები ორი ბურთით რომ დაწინაურდნენ. ანგარიში არგენტინელმა მარტინ კარდეტიმ გახსნა, რონალდინიომ კი გააორა. პირველივე ტაიმში მასპინძლებმა რაფიკ საიფიმ ერთი გაქვითა. მეორე ნახევარში პარიზელებს ჟერომ ლეროი გაუძევეს, მაგრამ პსჟ-მ გამარჯვება მაინც მოახერხა.

„სოშომ" ჟირონდელთა დამარცხებით მეხუთე ადგილას უწია. მასპინძლებმა პირწმინდად დაჩაგრეს „ბორდო". მიქაელ პაგის დუბლი მეტოქის წასაქცევად საკმარისი გამოდგა, მაგრამ დამხვდურთ მეტიც შეეძლოთ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სტუმრებს დავიდ ჟემალი გაუძევეს. კაცნაკლული გუნდის მეკარემ ულრიხ რამემ ივაჟკაცა, თორემ „ბორდო", სულ მცირე, სამბურთიან სხვაობას ვერ გადაურჩებოდა.

კორსიკული „აიაჩო" ძალიან ახლოს იყო ლანსში გამარჯვებასთან. კუნძულელები ალიკარტეს გოლით იგებდნენ და მხოლოდ მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე გაუშვეს საპასუხო. ანტუან სიბიერსკიმ თერთმეტმეტრიანით გაათანაბრა და „ლანსს" ქულა მოუტანა.

სამმატჩიანი წარუმატებელი სერია შეწყვიტა „გენგამმა", რაშიც მას მეტოქის ფეხბურთელის, მულეკის ავტოგოლი დიდად დაეხმარა. მულეკმა საკუთარ კარში გოლის გატანა პირველი ტაიმის მიწურულს მოახერხა. მეორის დასაწყისში ჟან კრისტოფ რუვიემ საპასუხო შეაგდო, თუმცა მასპინძლებმა რვაწუთიან მონაკვეთში ორჯერ შეძლეს „მონპელიეს" დამწუხრება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტუმრები ოცდამეშვიდე წუთიდან კაცნაკლულნი დარჩნენ.

„ლილის" ყოფილი მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი მეორედ დაბრუნდა ფრანგულ ფეხბურთში, ამჯერად წყალწაღებული „რენის" გადასარჩენად. „რენმა" მისი თავკაცობით პირველი გასვლითი გამარჯვება გამოკვესა. სტუმრად „სედანთან" რენელები პირველივე ტაიმში დაწინაურდნენ ფრედერიკ პიკონეს გოლით. შესვენების შემდეგ ტოიფიკუ მაულიდამ და მახტარ ნდიაემ სამამდე გაზარდეს სხვაობა. მასპინძელთაგან ერთი საპასუხო ტარიკ ულიდამ შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიცა | 11 | 6 | 3 | 2 | 16:5 | 21 |
| ოსერი | 11 | 6 | 3 | 2 | 16:10 | 21 |
| პსჟ | 11 | 5 | 5 | 1 | 18:8 | 20 |
| მარსელი | 11 | 6 | 2 | 3 | 14:12 | 20 |
| სოშო | 11 | 5 | 4 | 2 | 14:9 | 19 |
| ლიონი | 11 | 5 | 3 | 3 | 22:13 | 18 |
| მონაკო | 11 | 5 | 3 | 3 | 16:10 | 18 |
| ლანსი | 11 | 4 | 5 | 2 | 10:7 | 17 |
| სტრასბური | 11 | 4 | 4 | 3 | 15:19 | 16 |
| ბორდო | 11 | 4 | 3 | 4 | 11:10 | 15 |
| გენგამი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:17 | 15 |
| ბასტია | 11 | 4 | 2 | 5 | 13:15 | 14 |
| ლილი | 11 | 3 | 5 | 3 | 10:12 | 14 |
| აიაჩო | 11 | 3 | 4 | 4 | 9:12 | 13 |
| ნანტი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:15 | 11 |
| სედანი | 11 | 2 | 4 | 5 | 13:19 | 10 |
| ლე ავრი | 11 | 2 | 4 | 5 | 8:16 | 10 |
| მონპელიე | 11 | 2 | 3 | 6 | 7:13 | 9 |
| რენი | 11 | 2 | 2 | 7 | 9:17 | 8 |
| ტრუა | 11 | 1 | 4 | 6 | 6:14 | 7 |

### II დივიზიონი XII ტური

ბოვე — სენტ ეტიენი 3:0; კანი — ისტრი 1:0; შატორუ — რეიმსი 3:1; კლერმონი — ლორიანი 1:1; კრეტეი — ლე მანი 2:2; გრენობლი — ამიენი 0:0; ლავალი — გენიონი 2:0; ნანსი — ტულუზი 3:2; ვალანსი — მეცი 3:1; ვასკეალი — ნიორი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე მანი | 12 | 8 | 2 | 2 | 20:11 | 26 |
| შატორუ | 12 | 7 | 2 | 3 | 14:12 | 23 |
| ლორიანი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:13 | 21 |
| ტულუზი | 12 | 6 | 2 | 4 | 15:8 | 20 |
| კრეტეი | 12 | 4 | 7 | 1 | 19:12 | 19 |
| კანი | 12 | 4 | 6 | 2 | 15:11 | 18 |
| ლავალი | 12 | 5 | 3 | 4 | 11:10 | 18 |
| ბოვე | 12 | 5 | 2 | 5 | 9:7 | 17 |
| გრენობლი | 12 | 3 | 7 | 2 | 13:9 | 16 |
| ვალანსი | 12 | 5 | 1 | 6 | 15:15 | 16 |
| ვასკეალი | 12 | 4 | 4 | 4 | 11:11 | 16 |
| ნიორი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:10 | 15 |
| ამიენი | 12 | 4 | 3 | 5 | 10:10 | 15 |
| კლერმონი | 12 | 4 | 3 | 5 | 14:17 | 15 |
| მეცი | 12 | 4 | 3 | 5 | 11:14 | 15 |
| სენტ ეტიენი | 12 | 3 | 4 | 5 | 9:11 | 13 |
| ნანსი | 12 | 3 | 3 | 6 | 11:18 | 12 |
| რეიმსი | 12 | 1 | 7 | 4 | 8:12 | 10 |
| ისტრი | 12 | 2 | 4 | 6 | 8:22 | 10 |
| გენიონი | 12 | 2 | 3 | 7 | 8:18 | 9 |

## პორტუგალია

### I ლიგა. VII ტური

**ბრაგა 1:0 ბოავიშტა**
1:0 ბორხეი (63)

**ვარზიმი 3:0 ჟილ ვისენტე**
1:0 რონსა (3), 2:0 ლუიზი (29), 3:0 ვიდა (33)
გაძევება: ლუიზი (35, ვარზიმი)

**აკადემიკა 1:1 ბეირა მარი**
0:1 რიკარდუ სოუზა (17), 1:1 მონტეირუ (21)
გაძევება: ფელიპე სოუზა (81, ბეირა მარი)

**მორეირენსე 2:0 ნასიონალი**
1:0 ფრეიტაში (10), 2:0 კორდეირუ (54)
გაძევება: რიკარდინიუ სილვა (73, ნასიონალი)

**სანტა კლარა — მარიტიმუ**
გადაიდო

**სეტუბალი 0:0 ლეირია**

**სპორტინგი 2:0 ბელენენსეში**
1:0 ჟოაუ პინტუ (29), 2:0 კვარესმა (89)

**პორტუ 2:1 ბენფიკა**
0:1 ტიაგო (4), 1:1 დეკუ (20პ.გ.), 2:1 დეკუ სოუზა (72)
გაძევება: კოშტა (40, პორტუ), ეკუ (71, ბენფიკა), მიგელი (76, ბენფიკა)

**ფეირეირა — გიმარაეში**
წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 7 | 5 | 2 | 0 | 12:5 | 17 |
| გიმარაეში | 6 | 4 | 1 | 1 | 14:8 | 13 |
| ბენფიკა | 7 | 4 | 1 | 2 | 13:7 | 13 |
| სპორტინგი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 13 |
| ბელენენსეში | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 13 |
| ბრაგა | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 13 |
| ფერეირა | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 10 |
| სეტუბალი | 7 | 2 | 4 | 1 | 10:5 | 10 |
| ვარზიმი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 10 |
| ბოავიშტა | 7 | 3 | 1 | 3 | 6:7 | 10 |
| ნასიონალი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:7 | 7 |
| სანტა კლარა | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| ლეირია | 7 | 2 | 1 | 4 | 5:9 | 7 |
| მარიტიმუ | 6 | 2 | 1 | 3 | 4:10 | 7 |
| მორეირენსე | 7 | 2 | 0 | 5 | 8:12 | 6 |
| ბეირა მარი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | 5 |
| აკადემიკა | 7 | 0 | 3 | 4 | 5:11 | 3 |

### II ლიგა. VIII ტური

ფელგეირაში — ავეში 1:0; მადეირა — მარკუ 3:3; ლეშა — რიუ ავე 1:0; პორტიმონენსე — კოვილია 1:1; მაია — ალვერკა 0:1; ლამაში — ნავალი 0:0; ამადორა — შავეში 0:0; სალგეიროში — ფარენსე 2:0; პენაფიელი — ოვარენსე 2:1

## ბელგია

### I დივიზიონი. IX ტური

**გენტი 2:3 ლოკერენი**
0:1 გრეტარსონი (30), 0:2 დე ბილდე (35), 0:3 გრეტარსონი (44), 1:3 კრაუზი (53პ), 2:3 კაკლამანოსი (65)

**ანდერლეხტი 2:1 მონსი**
1:0 ილიჩი (52), 1:1 ლა პლაჩა (66), 2:1 ვან ბუიტენი (78)

**ანტვერპენი 1:3 სენტ ტრუიდენი**
1:0 სერგანი (2), 1:1, 1:2 მბონაბუკა (32, 36), 1:3 პერეირა (60)

**შარლერუა 2:3 ბრიუგე**
1:0 ედუარდო (24), 1:1 კარგბო (40პ.გ.), 1:2 სიმონსი (46პ), 1:3 ბ. მარტენსი (81), 2:3 კოლოტილკო (84)

**მუსკრონი 5:1 ლომელი**
1:0 ვისკაალი (27), 2:0 ბოლუკა-ლისასი (40), 2:1 მუღლერმანსი (53), 3:1 ბოლუკა-ლისასი (63), 4:1 დოსუნმუ (76), 5:1 გრეგენი (82)

**გენკი 4:0 ბევერენი**
1:0 სონკი (21), 2:0 ბესლია (23), 3:0 ტიისი (31), 4:0 ვანდენბერგი (90)

**სტანდარდი 2:1 ბეერსხოტი**
1:0, 2:0 ვალემი (20, 50), 2:1 კაპა (66)

**ვესტერლო 0:3 ლუვიე**
0:1 ტილმანი (19), 0:2 კურუმანი (46), 0:3 ტიილენი (86)
გაძევება: როდერიო (44, ლუვიე)

**მეხელენი 1:1 ლიერსი**
1:0 გრეგორი (60), 1:1 პიუსკენსი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 9 | 8 | 1 | 0 | 24:7 | 25 |
| ანდერლეხტი | 9 | 6 | 2 | 1 | 23:11 | 20 |
| ლიერსი | 9 | 6 | 2 | 1 | 16:6 | 20 |
| ლოკერენი | 9 | 6 | 2 | 1 | 21:13 | 20 |
| გენკი | 9 | 5 | 3 | 1 | 24:12 | 18 |
| სენტ ტრუიდენი | 9 | 5 | 2 | 2 | 26:14 | 17 |
| მუსკრონი | 9 | 4 | 2 | 3 | 23:21 | 14 |
| მონსი | 9 | 4 | 1 | 4 | 13:12 | 13 |
| ლუვიე | 9 | 3 | 3 | 3 | 11:9 | 12 |
| ანტვერპენი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:15 | 12 |
| ბეერსხოტი | 9 | 3 | 2 | 4 | 16:18 | 11 |
| გენტი | 9 | 2 | 2 | 5 | 14:19 | 8 |
| ლომელი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:16 | 8 |
| მეხელენი | 9 | 2 | 2 | 5 | 12:21 | 8 |
| სტანდარდი | 9 | 1 | 3 | 5 | 11:19 | 6 |
| ვესტერლო | 9 | 2 | 0 | 7 | 5:21 | 6 |
| ბევერენი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:20 | 4 |
| შარლერუა | 9 | 0 | 3 | 6 | 9:23 | 3 |

### II დივიზიონი. X ტური

დაინზე — ვარეგემი 1:0; რუზელარე — რონსე 0:1; პამე — ინგელმუნსტერი 1:2; სტრომბეკი — სერკლი 0:0; პატრო — ვიზეტი 1:1; გეელი — ტიენენი 0:1; ლიერი — დენდერლეუვ 2:1; ვირტონი — ეუპენი 1:2; ჰეუსდენი — დესელი 2:2

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. VIII ტური

**ექსელსიორი 1:1 უტრეხტი**
1:0 ს. ლომბესი (6), 1:1 დ. ვან დენ ბერგი (31)

**გრონინგენი 2:3 ვალვაიკი**
0:1 კორნელისე (7), 0:2 პ. ვან დენ ბერგი (47), 0:3 კორნელისე (56), 1:3 დელენტი (84), 2:3 სალმონი (90)

**ზვოლე 0:3 ბრედა**
0:1 ენგელაარი (23), 0:2 ნ. ფეპერი (34), 0:3 პენდერსი (49)

**აიაქსი 6:2 ალკმაარი**
0:1 კ. პერესი (3), 1:1, 2:1 მიდო (10, 12), 3:1, 4:1 ლიტმანენი (22, 48), 4:2 კ. პერესი (61), 5:2, 6:2 პუხარი (79, 84)
გაძევება: დე კლერი (75, ალკმაარი)

**პსვ აინდჰოვენი 0:0 როდა**
პსვ აინდჰოვენი: ვატერეისი, ადო, ბუმა (პასნე 86), ფაბერი, ბოგელუნდი, რომედალი, ფოგელი, ვან ბომელი, რობენი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 52), კეზმანი, ლეანდრო (გახოკიძე 57)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
31 000 მაყურებელი

**ვიტესი 1:1 ფეიენოორდი**
1:0 მ. ამოა (31), 1:1 ბუფელი (56)

**ტილბურგი 3:1 როზენდალი**
1:0 კელერი (14პ.გ.), 2:0 შუკოვი (28), 3:0 სუკაი (67), 3:1 დენ უდენი (77)

**ტვენტე 1:1 ჰერენვენი**
0:1 ნურმელა (69პ), 1:1 ელ ბრაზი (90)

**გრაფსხაპი 1:3 ნაიმეგენი**
0:1 აქსი (62), 0:2 გ. ხრისტოფი (70), 1:2 არვიდ სმიტი (88), 1:3 დ. პეკაპი (89პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 8 | 7 | 1 | 0 | 23:10 | 22 |
| პსვ | 8 | 6 | 2 | 0 | 20:3 | 20 |
| ტილბურგი | 8 | 4 | 3 | 1 | 15:7 | 15 |
| ფეიენოორდი | 8 | 4 | 2 | 2 | 19:11 | 14 |
| ბრედა | 8 | 3 | 5 | 0 | 14:7 | 14 |
| ნაიმეგენი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:10 | 14 |
| როდა | 8 | 3 | 4 | 1 | 15:12 | 13 |
| ვალვაიკი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:17 | 13 |
| ვიტესი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:8 | 11 |
| ექსელსიორი | 8 | 3 | 2 | 3 | 14:14 | 11 |
| უტრეხტი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:9 | 10 |
| ალკმაარი | 8 | 3 | 1 | 4 | 14:21 | 10 |
| როზენდალი | 8 | 2 | 2 | 4 | 13:16 | 8 |
| ზვოლე | 8 | 2 | 2 | 4 | 8:15 | 8 |
| ტვენტე | 8 | 1 | 3 | 4 | 9:17 | 6 |
| ჰერენვენი | 8 | 0 | 3 | 5 | 8:17 | 3 |
| გრაფსხაპი | 8 | 1 | 0 | 7 | 6:20 | 3 |
| გრონინგენი | 8 | 0 | 1 | 7 | 7:19 | 1 |

### II დივიზიონი. VIII ტური

მაასტრიხტი — კამბური 1:4; დენ ბოსხი — ვოლენდამი 1:0; დორდრეხტი — ემენი 0:4; სიტარდი — ოსი 2:3; დენ ჰააგი — ჰერაკლესი 3:0; ტელსტარი — სპარტა 1:4; ვენლო — იგლსი 0:3; ეინდჰოვენი — ჰელმონდი 1:4; ვეენდამი — ჰაარლემი 3:3

## შვეიცარია

### A ჯგუფი. XVI ტური

**ლუცერნი 4:3 სერვეტი**
1:0 ბრანდი (16), 1:1 ფრეი (21), 1:2 ლომბარდო (43), 2:2 ლონდონო (45), 2:3 ფრეი (67), 3:3 მუფი (79), 4:3 პოფერი (90)
ლუცერნი: პილიპოვიჩი, როტა, ო. მარინი (მ. კოხი 72), ჩადიაშვილი, მუფი, პ. შვეგლერი, მ. მაიერი, პოფერი, მალაკარნე, დი ჯორიო, ბრანდი (ნევზელი 82)
5 303 მაყურებელი

**აარაუ 1:1 იანგ ბოისი**
1:0 დე ნაპოლი (5), 1:1 მანინი (81)

**ბაზელი 6:0 სენტ გალენი**
1:0, 2:0 ხ. როსი (14, 31), 3:0 ხიმენესი (46), 4:0 ხ. როსი (80), 5:0 ტუმი (84), 6:0 სავიჩი (90)

**გრასჰოპერი 4:0 ქსამაქსი**
1:0 ედუარდო (2), 2:0 ნუნიესი (16), 3:0 ტარარაშე (78), 4:0 ნუნიესი (90)

**თუნი 0:0 ციურიხი**

**ვილი 2:0 დელემონი**
1:0 ბამბა (50), 2:0 ფაბინიო (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 16 | 11 | 2 | 3 | 45:20 | 35 |
| ბაზელი | 16 | 10 | 4 | 2 | 42:18 | 34 |
| იანგ ბოისი | 16 | 7 | 5 | 4 | 29:24 | 26 |
| ციურიხი | 16 | 8 | 2 | 6 | 22:21 | 26 |
| სერვეტი | 16 | 7 | 2 | 7 | 36:29 | 23 |
| თუნი | 16 | 6 | 3 | 7 | 25:25 | 21 |
| ვილი | 16 | 5 | 6 | 5 | 25:32 | 21 |
| ქსამაქსი | 16 | 5 | 5 | 6 | 18:25 | 20 |
| ლუცერნი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:27 | 18 |
| დელემონი | 16 | 5 | 1 | 10 | 18:28 | 16 |
| სენტ გალენი | 16 | 3 | 5 | 8 | 21:33 | 14 |
| აარაუ | 16 | 2 | 3 | 11 | 12:33 | 9 |

„ლუცერნს" დაკლებული აქვს 4 ქულა

### B ჯგუფი. XVI ტური

ბადენი — კრიენსი 2:3; ლოზანა — ვილე 2:0; სიონი — ივერდონი 1:0; ვინტერთური — ბელინცონა 3:1; ლუგანო — კონკორდია 1:1; შაფჰაუზენი — ვადუცი 0:2

## თურქეთი

### IX ტური

ფენერბაჩე — ადანა 1:1; მალათია — გენჩლერბირლიგი 5:4; გიოზთეფე — ისთანბული 1:1; გალათასარაი — დიარბაქირი 1:0; გაზიანთეფე — სამსუნი 4:2; ელაზიგსპორი — ალთაი 2:0; დენიზლი — ბეშიქთაში 1:2; ანკარაგიუჯიუ — ბურსა 4:0; ტრაბზონი — ქოჯაელი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 8 | 6 | 2 | 0 | 16:4 | 20 |
| გაზიანთეფე | 9 | 5 | 4 | 0 | 18:9 | 19 |
| ბეშიქთაში | 9 | 5 | 4 | 0 | 13:7 | 19 |
| ფენერბაჩე | 8 | 4 | 3 | 1 | 15:11 | 15 |
| გენჩლერი | 9 | 4 | 2 | 3 | 19:13 | 14 |
| ანკარაგიუჯიუ | 9 | 4 | 2 | 3 | 13:8 | 14 |
| სამსუნი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:12 | 14 |
| მალათია | 9 | 3 | 4 | 2 | 19:12 | 13 |
| ტრაბზონი | 9 | 3 | 4 | 2 | 6:5 | 13 |
| ისთანბული | 9 | 3 | 3 | 3 | 10:13 | 12 |
| დენიზლი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| ადანა | 9 | 2 | 4 | 3 | 11:12 | 10 |
| გიოზთეფე | 9 | 2 | 4 | 3 | 13:17 | 10 |
| ელაზიგსპორი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:16 | 10 |
| ბურსა | 9 | 2 | 3 | 4 | 13:16 | 9 |
| ალთაი | 9 | 2 | 2 | 5 | 12:20 | 8 |
| დიარბაქირი | 9 | 0 | 3 | 6 | 6:17 | 3 |
| ქოჯაელი | 9 | 0 | 1 | 8 | 7:20 | 1 |

## ჩეხეთი

### XI ტური

ბოჰემიანსი — სიგმა 0:0; სპარტა — ოპავა 2:0; ლიბერეცი — ბლშანი 3:1; ტეპლიცე — პრშიბრამი 2:0; ბუდეიოვიცე — იაბლონეცი 4:1; სინოტი — ზლინი 3:1; ბრნო — პრაღის ჰრადეც კრალოვე 0:0. ბანიკი — სლავია წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 10 | 7 | 3 | 0 | 17:3 | 24 |
| ლიბერეცი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:9 | 20 |
| სლავია | 9 | 5 | 3 | 1 | 18:7 | 18 |
| ბანიკი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:10 | 16 |
| იაბლონეცი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:14 | 16 |
| ჟიჟკოვი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:11 | 15 |
| ტეპლიცე | 10 | 5 | 0 | 5 | 13:15 | 15 |
| ბლშანი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:11 | 12 |
| პრშიბრამი | 10 | 3 | 3 | 4 | 6:8 | 12 |
| სიგმა | 10 | 2 | 5 | 3 | 10:9 | 11 |
| ბრნო | 10 | 3 | 2 | 5 | 11:13 | 11 |
| სინოტი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:14 | 11 |
| ზლინი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:16 | 10 |
| ბოჰემიანსი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:18 | 9 |
| ბუდეიოვიცე | 10 | 3 | 0 | 7 | 13:22 | 9 |
| ჰრადეც კრალოვე | 10 | 0 | 6 | 4 | 6:12 | 6 |

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. XIV ტური

**ბრეგენცი 3:0 შტურმი**
1:0 კლაუსი (55), 2:0, 3:0 ლავარე (81, 84)
შტურმი: ჰოფმანი, ნოიკირხნერი, შტრაფნერი, ბრუნერი, კარიმოვი, ფოლვაზი, ვეტლი, საბიჩი, ბოსნარი (შელტო 68), მუჟირი (ნ. ამოა 62), დაგი (პრეგელი 61)
მწვრთნელი: ფრანკო ფოდა
15 000 მაყურებელი

ადმირა ვაკერი — რიდი 1:1; პაშინგი — რაპიდი 2:0; აუსტრია — ზალცბურგი 0:0; გრაცერი — კერნტენი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 14 | 9 | 4 | 1 | 31:8 | 31 |
| პაშინგი | 14 | 8 | 2 | 4 | 20:12 | 26 |
| შტურმი | 14 | 7 | 1 | 6 | 22:23 | 22 |
| რაპიდი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:14 | 20 |
| კერნტენი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:19 | 19 |
| რიდი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:16 | 17 |
| ბრეგენცი | 14 | 3 | 6 | 5 | 16:19 | 15 |
| გრაცერი | 14 | 3 | 5 | 6 | 15:22 | 14 |
| ზალცბურგი | 14 | 3 | 4 | 7 | 12:21 | 13 |
| ადმირა | 14 | 3 | 4 | 7 | 12:27 | 13 |

## ნორვეგია

### XXV ტური

ბოდიო გლიმტი — მოსი 2:0; ბრანი — ლილესტრიომი 1:2; სოგნდალი — რუსენბორგი 2:2; სტაბეკი — მოლდე 4:2; ვიკინგი — ბრინი 1:1; ვოლერენგა — სტარტი 4:0. ოდ გრენლანდი — ლინი წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 25 | 16 | 5 | 4 | 53:30 | 53 |
| მოლდე | 25 | 15 | 4 | 6 | 45:23 | 49 |
| ლინი | 24 | 14 | 4 | 6 | 35:27 | 46 |
| ვიკინგი | 25 | 10 | 11 | 4 | 43:31 | 41 |
| ოდ გრენლანდი | 24 | 12 | 4 | 8 | 35:26 | 40 |
| სტაბეკი | 25 | 11 | 6 | 8 | 41:32 | 39 |
| ლილესტრიომი | 25 | 9 | 6 | 10 | 34:30 | 33 |
| ვოლერენგა | 25 | 7 | 11 | 7 | 36:29 | 32 |
| ბრინი | 25 | 8 | 6 | 11 | 36:37 | 30 |
| სოგნდალი | 25 | 8 | 5 | 12 | 34:48 | 29 |
| ბოდიო გლიმტი | 25 | 8 | 4 | 13 | 35:41 | 28 |
| ბრანი | 25 | 8 | 3 | 14 | 35:48 | 27 |
| მოსი | 25 | 6 | 6 | 13 | 30:42 | 24 |
| სტარტი | 25 | 2 | 5 | 18 | 21:69 | 11 |

## უკრაინა

### თასის 1/8 ფინალი

არსენალი (კიევი) — სოკოლი 4:0; დინამო — სტალი 2:0; შახტარი — ელექტრონი 4:0; ობოლონი — მეტალურგი (დონეცკი) 0:1; ვოლინი — კრასილოვი 3:0; ივერია — დნეპრი 0:3; კრივბასი — არსენალი (ხარკოვი) 1:0; ვორსკლა — ნაფტომ-აკადემია 3:2დ.დ. (2:2)

Chevron RALLY OF GEORGIA 2002
შევრონი რალი საქართველო

# არ უნდა დიდი ფილოსოფია-FIA: დაატრიალე საქე ევროპისკენ!

შვეინიერ, მეტად საჭირო ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი საქართველოს საავტომობილო ფედერაციამ და უმთავრეს ფინანსურ მხარდამჭერ, ავტოზეთების მწარმოებელ კომპანია „შევრონთან" ერთად უკვე მეორედ მოაწყო თბილისის შემოგარენში საერთაშორისო რალი.

„შევრონი რალი საქართველო 2002"-ის მარშრუტი შარშანდელივით რუსთავი-მცხეთა-წყნეთი-ტაბახმელა-შინდისი-კოჯრის გზებზე გადიოდა. ასპარეზობაში ჩართული 17 ეკიპაჟის საბოლოო ადგილები 34 ჩასათვლელ, ანუ ჩქაროსნულ მონაკვეთებზე ნაჩვენებ დროს უნდა განესაზღვრა. ოთხი წყვილი რუსეთიდან გვეწვია, დანარჩენები მასპინძლები იყვნენ. კონკურსგარეშე გამოვიდა სომხეთის სამი მანქანა.

ფავორიტებად ითვლებოდნენ რუსეთის ჩემპიონი და ჩვენი რალის შარშანდელი გამარჯვებული ვიაჩესლავ პროხოროვი სეხნია მეტურმან აკიმოვთან ერთად და საქართველო ჩემპიონ ვიქტორ თოდაძე-ვიქტორ ბაგრამოვის დუეტი. საინტერესოა, რომ ორივე ეკიპაჟი ერთნაირი, „მიცუბიში ევოლუციით" ასპარეზობდა. თოდაძემ, რომელიც ერთმანეთს მშვენივრად უთავსებს მრბოლობას და ჩვენი საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტობას, ორიოდე თვის წინ ბულგარეთში საკმაოდ პრესტიჟული რალი მოიგო და ევროტიტულიც მნიშვნელოვნად აიმაღლა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სამოღიანი გაჯიბრების სპორტულ შედეგებზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ორგანიზაციულ მხარეს, რადგან მომწყობთა უმთავრესი ამოცანა ღონისძიების ისეთ დონეზე ჩატარება იყო, რომ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციიდან (FIA) მოვლინებულმა დამკვირვებელმა ამ უმაღლეს საავტორბოლო ინსტანციაში ჩვენთვის სასურველი პატაკი წარადგინოს და საქართველოს რალი უკვე გაისად ევროპის ჩემპიონატის ეტაპთაგანი გახდეს.

FIA-ს ემისარი თბილისს შარშანაც ეწვია და დებიუტანტების კვალობაზე, ბუნებრივია, ბლომად ხარვეზიც გვიპოვა. მისი რეკომენდაციები საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელსაც საქართველოს ავტოფედერაციის გენერალური მდივანი შალვა ოგბაიძე ედგა სათავეში, ცხადია, გაითვალისწინა და ამჯერად ბევრად დიდი მოსამზადებელი საქმიანობა გასწია, რამაც უზრუნველყო კიდეც რბოლის უფრო მაღალ დონეზე ჩატარება. თუნდაც იმის აღნიშვნაც იკმარებს, რომ შეჯიბრებას წლეულს 160-მდე მსაჯი ემსახურებოდა.

მონაწილეებს პირველ დღეს „რუსთავრინგზე" მოუხდათ გაჯირითება. სასიამოვნოა, რომ ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია — ავტოდრომის ტრიბუნებსა და ახლომახლო ფერდობებზე უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. პროხოროვმა ყოჩაღად დაიწყო, თოდაძის მანქანას კი პირველივე ჩქაროსნულ უბანზე საბურავი გაუსკდა და ფაქტობრივად სტარტზევე მისმა კონკურენტმა ექსწუთიანი ფორა მიიღო. პარასკევს სამი ეკიპაჟი გამოაკლდა მებრძოლთ, მათ შორის საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერები — ძმები დავით და ზაზა იაშვილები („სუბარუ").

მეორე დღეს მწყობრში დარჩენილები სისხამ დილით დაადგნენ გზას ავტომაგისტრალების გადაკეტვის სირთულის გამო. დასაწყისი საიმედო იყო — ორმა ვიქტორმა ორ ვიაჩესლავს ექვს ჩასათვლელ მონაკვეთზე აჯობა და სატურნირო ცხრილშიც მეოთხე ადგილამდე აინაცვლა, მაგრამ ისევ უმტყუნათ მანქანამ, რის გამოც მასპინძლებს დროის საკონტროლო პუნქტამდე მისვლა დაუგვიანდათ და ბრძოლას გამოეთიშნენ. აღსანიშნავი კი ისაა მოხდა, რომ მშვენივრად მოასპარეზე მევლუდ მელაძესა და ზურაბ ფალავას მესამე საპრიზო ადგილის შენარჩუნება თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ ფინიშამდე ოციოდე კილომეტრით ადრე მათი „ჰონდაც" გაჯიქდა.

ზედიზედ მეორედ დამაჯერებელი გამარჯვება დიდუბეში, საგამოფენო კომპლექს „ექსპო ჯორჯიაში" მოწყობილ პოდიუმზე შამპანურით აღნიშნა 43 წლის მოსკოველმა ვიაჩესლავ პროხოროვმა, რომელსაც 16-წლიან სარბოლო კარიერაში საბჭოთა კავშირის, დსთ-სა და რუსეთის ჩემპიონობა აქვს მოპოვებული:

— შარშანდელთან შედარებით, ამჯერად უფრო იოლად გავიმარჯვე, რაშიც თოდაძის მარცხიც დამეხმარა. მე და ჩემზე ორი წლით უფროსი აკიმოვი 15 წელია, ერთად ვართ, თუმც შარშან თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლო და მეგზურობა მაშინ ვალენტინ როდიონოვმა გამიწია. რაც შეეხება ორგანიზაციულ მხარეს, წლეულს ყველაფერი გაცილებით მაღალ დონეზე იყო, ასე რომ, მგონია, მიზანს მიაღწევთ და საქართველოს რალი 2003 წლის ევროკალენდარში იქნება. ჩემს აზრს, ცხადია, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, თუ რა პატაკს ჩაიტანს საერთაშორისო ფედერაციაში დამკვირვებელი. მე კი გაისადაც დიდი სიამოვნებით ჩამოვალ თბილისში საშეჯიბროდ, რადგან მეგობრებთან შეხვედრა მუდამ სასიხარულოა.

ბულგარელ დამკვირვებელ დიმიტარ ალიაკოვს ისეთი მოვალეობა აქვს, რბოლის ავ-კარგზე სიტყვაც არ დასცდენია, FIA-ს ვერდიქტს კი წლის ბოლოს შევიტყობთ.

**გია ახალაძე**



თბილისური რალის ორგზის გამარჯვებული ვიაჩესლავ პროხოროვი (მარჯვნივ) და მისი თანამძღოლი ვიაჩესლავ აკიმოვი

## შევრონი რალი საქართველო 2002

18-20 ოქტომბერი

საერთო დისტანცია 545 კმ; ჩქაროსნული მონაკვეთები 209 კმ

### აბსოლუტური ჩათვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ვიაჩესლავ პროხოროვი, ვიაჩესლავ აკიმოვი | რუსეთი | მიცუბიში | 2სთ; 1.3,16 |
| 2 დმიტრი ზორინი, ილია გლადიშევი | რუსეთი | ფოლკსვაგენი | ჩამორჩა 9,18,43 |
| 3 ლევან ლომაძე, ბორის საყვარელიძე | საქართველო | ტოიოტა | 14.13,19 |
| 4 გიორგი ლომინაძე, დავით ლალაშვილი | საქართველო | ჰონდა | 19.00,44 |
| 5 ზურაბ ბეჟაშვილი, თამაზ მაჭავარიანი | საქართველო | ლადა | 22.41,43 |
| 6 გაბრიელ გამყრელიძე, ზურაბ ბაბუციძე | საქართველო | ლადა | 34.54,47 |
| 7 ოთარ თავართქილაძე, დავით ნებიერიძე | საქართველო | BMW | 37.12,71 |
| 8 ზურაბ ალნიაშვილი, არმენ შაინიანი | საქართველო | ლადა | 49.50,82 |
| 9 გიორგი ოგბაიძე, გურამ ნარინდოშვილი | საქართველო | ლადა | 58.44,93 |



საქართველოს 12 ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

# აქლემების ჩხუბში კოზაკი გაყოჩაღდა

შაბათს ახალდაწყებული მე-12 ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე მოსაწყენი ტური გაიმართა. ოთხი წყვილიდან მიახლოებით თანაბარძალიანი არც ერთი გამოდგა. მოსაწყენ ბურთაობას უტაბლოობაც დაერთო, დღის ბოლო მატჩამდე ამ მოწყობილობას მხოლოდ ქულათა დათვლის უნარი შერჩენოდა, დროის ათვლა მსაჯთა მაგიდაზე ხდებოდა, შეტევისთვის განკუთვნილი 24 წამის წესი კი ვინ იცის, რამდენჯერ დაირღვა.

ისე, დროის ათვლას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. ყველა წყვილში გამარჯვებული წინდაწინ იყო ცნობილი. ვერის ბაღი ჩემპიონატის ლიდერთა სავარჯიშო ასპარეზად ქცეულიყო. დაუმარცხებელი „დინამო" და „ბასკო" კვირას ხვდებოდნენ ერთმანეთს და, თითქოს ფედერაციამ განგებ შეურჩიაო, წინა დღეს თბილისელებს ქუთაისელებთან ელოდათ გასეირნება, ბათუმელებს კი სოხუმელებთან. წაფორხილებაზე ფიქრი სასაცილო იყო და ორივე ფავორიტის მწვრთნელებს გუნდის ლიდერები დიდად არ დაუტვირთავთ, საკვირაოდ ინახავდნენ.

„დინამო" — „ქუთაისსა" და სსუ — „ბასკოს" ინტერესი დაწყებიდან მალევე დაეკარგათ, თუმც თამაშის ბოლოს ორივე შეხვედრამ შეიძინა ინტრიგა — 100-ქულიანი ზღვარი. ბათუმელებმა მოახერხეს გაასება, თუმც დინამოელ არჩილ ელენტს რომ ბოლო წამებზე სამქულიანი არ აეცილებინა, ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით დასრულდებოდა. ელენტის აცდენილს ფარქვეშიდან გიგი ნაცვლიშვილმა დაამატა და „დინამო" — „ქუთაისი" 99:65 დასრულდა, ბათუმელებმა კი 100:65 დაამარცხეს სოხუმელები.

არც „აკადემია" — თსუ-ში იყო ბრძოლა მოსალოდნელი, მაგრამ მეტნაკლებად საინტერესო სწორედ დებიუტანტისა და ერთ-ერთი ლიდერის მატჩი გამოდგა. ამას თავის მიზეზი აქვს. სტუდენტებმა შეხვედრის მეტი წილი მეორე შემადგენლობით ითამაშეს, გუნდის ლიდერი ლევან ქარაბაკი კი მხოლოდ მესამე მეოთხედში გამოჩნდა მოედანზე. მამუკა ტურაშვილს დისკვალიფიკაცია ჰქონდა, ამროსი ორმოცაძე კი შეუძლოდ იყო და თავისიანებს ოდენ ქომაგობით დაეხმარა. დებიუტანტები მესამე მეოთხედის ბოლომდე ამიტომაც იგებდნენ, ბოლოს კი ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა.

თუ თსუ-სთან აკადემიელების მარცხი ლოგიკური იყო, კვირას „აზოტთან" დებიუტანტების დამარცხებაზე ამას ვერ ვიტყვით. ის კი არა, რუსთაველები გადაურჩნენ დავით უსტიაშვილის გუნდს, რომელსაც წინა ტურში სსუ-სთან დამატებით დროში წაგებული მატჩის შემდეგ ოვერტაიმში ზედიზედ მეორედ არ გაუმართლა. ზემოთ საკვირაო „დინამო" — „ბასკო"-ზე გამცნეთ, თუმც ჩემპიონატის ლიდერთა დაპირისპირება ისეთი „ცალფარა" გამოდგა, ნახსენებ „აკადემია" — „აზოტთან" ვერც მივა. მიუხედავად ამისა, ფავორიტებს ვცეთ პატივი და ჯერ მათ მატჩზე ვთქვათ, ბოლოს და ბოლოს, მე-11 ეროვნულის ვიცე და ჩემპიონი თამაშობდნენ.

27-ქულიანი სხვაობა კარგად ასახავს თბილისელთა უპირატესობას. „დინამომ" ნანატრ გამარჯვებას მიაღწია — წინა ჩემპიონატის ფინალში ბათუმელებთან მარცხისთვის ღირსეული რევანში აიღო. მატჩის განხილვა დიდ ინტერესს არ გამოიწვევს, რადგან ლევან მოსეშვილის გუნდის უპირატესობა დროისა და მოედნის არც ერთ მონაკვეთში ეჭვს არ იწვევდა. ამ მატჩის ანგარიშმა უფრო სხვა მხრივ უნდა დააინტერესოს ქომაგი: ამ ჩემპიონატში დინამოელებს კონკურენტი ფაქტობრივად არ ჰყავთ, ასე კი არც შეიდგზის ჩემპიონი „ვითა" ბოგინობდა და არც ბოლო სამი წლის ჰეგემონი „ბასკო". ამ გუნდებს ოქროსთვის ღირსეული მეტოქე ყოველთვის ჰყავდათ, ახლანდელ „დინამოს" კი, რა უნდა მოხდეს ისეთი, ვინმე პირველობაში შეეცილოს. თანაც მოსეშვილის გუნდს საცაა საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, ნაბოტკინარი ირაკლი ხოშტარია შეუერთდება. ამ მატჩის ანგარიშზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ სწორედ ბათუმელები ითვლებიან დინამოელთა მთავარ კონკურენტებად. ზღვისპირელებმა ხომ ამას წინათ მიყოლებით დაიფრინეს ჩემპიონობის დანარჩენი მოსურნეები — თსუ და „სტუ-ჯეოსელი".

სანამ ძლიერნი ურთიერთობას და ჩემპიონობის რეალურ კანდიდატს არკვევენ, ახალგაზრდული „აკადემია" ლვინდება და იწრთობა. უსტიაშვილის გუნდს ერთ დროს ამბიციური „აზოტის" დამარცხებამდე სულ ცოტა დააკლდა. ოთარ ხმელიძემ რუსთაველთა წამყვანი რამაზ გოგობერიშვილი თავიდან არ ათამაშა, ახალბედა აკადემიელებს თავისი ახალბედებით შეუტია, მაგრამ მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და გამოცდილთა მოედანზე შეყვანა ცოტაც რომ დაეგვიანებინა, დიდ სირცხვილს ჭამდა. გოგობერიშვილის გარჯამ თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა, იქ კი რუსთაველებს მაინც გაუჭირდათ მარჯვე აკადემიელების დამარცხება, რომლებიც ძირითადი დროის ბოლო წამებზე გავარდნილი ლიდერის, ქვემოქართლელთა დამწიოკებელ გიორგი ცინცაძის გარეშე თამაშობდნენ.

**ირაკლი ბერტაია**

19 ოქტომბერი. ვერის ბაღი

### აკადემია 77:87 თსუ

26:23, 10:18, 23:21, 18:25

აკადემია: ცინცაძე (19), ლეჟავა (9), ბექაური (13), ჯანეზაშვილი (5), გვიმრაძე (8); გიორგობიანი (13), დერიუგინი (6), გურასპაული, ათანელაშვილი (14)

თსუ: ა. ბერიშვილი (28), ზანგურაშვილი (11), მიქაძე (10), არსიაშვილი (13), სანიკიძე (4); ვეფხვაძე (1), კილაძე (8), ქარაბაკი (12), კორძაძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ გელოვანი

### სსუ 65:100 ბასკო

14:23, 14:18, 21:29, 16:30

სსუ: კანკია (2), კვაჭაძე (12), ტაბატაძე, ბარბაქაძე (5), აბულაძე (11); ჩიტაშვილი (3), ბენდიანიშვილი, სორდია (23), ბ. ქვილითაია (6), მ. ხოშტარია (3), ვ. ქვილითაია

ბასკო: იამჩუ (13), ჩხატარაშვილი (3), ლ. შანიძე (2), სუხიშვილი (4), მინაშვილი (10); ბაბიაშვილი (18), წოწელია (8), ნიკოლაძე (4), კეშელავა (11), კეიდია (9), როდუმეტა (5), შენგელია (13)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ლია ქაჯაია

კომისარი: როლანდ ხომერიკი

### დინამო 99:65 ქუთაისი

19:14, 27:16, 24:13, 29:22

დინამო: ელენტი (18), აბრამიძე (7), ბეჟანიშვილი (8), ჯაფარიძე (9), ოგანესიანი (6); ვენსკუნასი (8), თორთლაძე (3), ნაცვლიშვილი (7), მარკოიშვილი (12), ჩუბინიძე (6), მუჟე (10), ჩხეიძე (5)

ქუთაისი: კვიმსაძე (19), მაისურაძე (11), ნინუა, ბოლქვაძე (8), იმნაძე (19); ნ. შანიძე (2), დოლიძე (2), დარახველიძე (2), შავლაყაძე, პირტახია (2), ა. ბოლქვაძე, კოლუაშვილი

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

### მაკაბი 62:101 სტუ

14:21, 18:23, 12:25, 18:32

მაკაბი: ი. ბერიშვილი (16), ნ. ნოზაძე, კონჯარია (8), ფიცხელაური (6), ტატუნაშვილი (15); ნინოშვილი, კრიხელი (5), აკოლაშვილი (2), ერგემლიძე (4), ანდღულაძე (2), ვაშაკიძე (4)

სტუ: ტულუში (15), გაგნიძე (16), ტუჯანი (14), ლოსაბერიძე (27), მუშკუდიანი (8); ხეცურიანი (5), ლაფანაშვილი (7), მარხვაშვილი, ოთიურიძე (2), ახალკაცი (7)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ლაშა თოიძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

20 ოქტომბერი. ვერის ბაღი

### სსუ 84:88 მაკაბი

21:14, 18:19, 25:25, 20:30

სსუ: კანკია (6), სორდია (12), კვაჭაძე (11), ბარბაქაძე (4), აბულაძე (30); ჩიტაშვილი (8), ტაბატაძე (2), ბ. ქვილითაია (4), მ. ხოშტარია (2), ვ. ქვილითაია (5)

მაკაბი: ი. ბერიშვილი (32), აკოლაშვილი (13), კონჯარია (12), ფიცხელაური (2), ტატუნაშვილი; კრიხელი, ანდღულაძე (3), ნ. ნოზაძე (5), ვაშაკიძე (21)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი

### თსუ 111:82 ქუთაისი

24:19, 39:18, 27:20, 21:25

თსუ: ა. ბერიშვილი (19), ტურაშვილი (12), არსიაშვილი (11), ქარაბაკი (19), კილაძე (6); ზანგურაშვილი (17), სანიკიძე (15), მიქაძე (10), კორძაძე (2)

ქუთაისი: კვიმსაძე (12), მაისურაძე (8), პირტახია (10), ბოლქვაძე (12), იმნაძე (26); ნ. შანიძე, ნინუა, დოლიძე (2), დარახველიძე (5), შავლაყაძე, ა. ბოლქვაძე (7)

მსაჯები: ზურაბ მაჭავარიანი, ლია ქაჯაია

კომისარი: როლანდ გელოვანი

### დინამო 95:68 ბასკო

25:15, 20:13, 24:11, 26:29

დინამო: თორთლაძე (25), ჩხეიძე (7), ბეჟანიშვილი (25), მუჟე (9), ოგანესიანი (4); აბრამიძე, ნაცვლიშვილი (1), ელენტი (1), მარკოიშვილი (4), ჯაფარიძე (11), ჩუბინიძე, ვენსკუნასი (8)

ბასკო: იამჩუ (12), კეშელავა, კეიდია (9), როდუმეტა (2), შენგელია (7); დ. ბერიშვილი (2), ბაბიაშვილი (6), წოწელია (3), ნიკოლაძე (3), მინაშვილი (18), ლ. შანიძე (6)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

### აზოტი 81:77 აკადემია

(ძირითადი დრო 70:70)
15:18, 21:12, 8:16, 26:24, 11:7

აზოტი: არწივიძე (8), გაბისონია (6), ჯიმშელეიშვილი (20), ბერუაშვილი (14), მაჭარაძე (9); გოგსაძე, ლიპარტელიანი, ტყეშელაშვილი (4), კილაძე (2), გოგობერიშვილი (18)

აკადემია: ცინცაძე (13), ლეჟავა (17), ბექაური (12), გვიმრაძე (15), ჯანეზაშვილი (4); გიორგობიანი (11), დერიუგინი (5), ზამბახიძე

მსაჯი: დავით ანდრიაძე, ლაშა თოიძე

კომისარი: მურმან ქურიძე



REUTERS მადრიდიდან

ანდრე აგასი უბრძოლველად მოგებული მადრიდული ჭილდოთი

# ანდრე აგასიზე მუქთიც ალალია

## შნიდერს დევენპორტის კოჭი დაუჯდა

**მასტერსის სერია**
მადრიდი. ჰარდი.
საპრიზო 2,950 მილიონი $

**მეოთხედფინალი**

**ანდრე აგასი** (2, აშშ) — ხუან კარლოს ფერერო (5, ესპანეთი) 6:3, 6:2; **სებასტიან გროჟანი** (7, საფრანგეთი) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:3, 7:6 (7:4); **ირჟი ნოვაკი** (11, ჩეხეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) 4:6, 6:3, 6:4; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — როჯერ ფედერერი (12, შვეიცარია) 7:5, 6:3

**ნახევარფინალი**

**აგასი** — გროჟანი 6:4, 3:6, 6:4; **ნოვაკი** — სანტორო 6:2, 6:4

**ფინალი**

**აგასი** — ნოვაკი (ნოვაკმა საზარდული მოიხატკივრა და გამარჯვება აგასის უთამაშოდ ერგო)

საგანგებოდ ამ ტურნირისთვის საროკო დარბაზიდან საჩოგნაო სარბიელად გადაკეთებულ „ელ როკოდრომოში" კვირას დიდძალი ხალხი შეიკრიბა — თუმცა კი ფინალში გასვლა ერთმა ჩაუქმა ესპანელმაც ვერ შეძლო, მაგრამ საქმის კარგად მცოდნე მადრიდელი ქომაგი მაინც დაშხოშიან ბურთაობას გამოელოდა. მართალიც გახლდათ, რაკილა ერთმანეთს ყველა დროის ერთი უდავლათიანესი, გველივით ბრძენი ანდრე აგასი და წლეულს საუცხოოდ მოპაექრე ჩეხი, ირჟი ნოვაკი უნდა შეხლოდნენ. პირველმა თავისი სიბრძნე და ასაკის მიუხედავად ჯერაც გაუხუნარი სიკისკასე ჭაბუკთა — ჟან-მაიკლ გემბილის, ფელისიანო ლოპესისა და ხუან კარლოს ფერეროს მიკვრით ძლევით ცხადყო, მეორე კი წლეულს კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს, 6-გზის ნახევარფინალში წაფორხილებულმა ამის იქითა კვირას ვენურ ფინალში როჯერ ფედერერთან დათმო და სანამ ზედიზედ მეორე ფინალამდე გაატანდა, ტომი რობრედოს, კარლოს მოიას, პარადორნ შრიჩაფანსა და ფაბრის სანტოროს მოერია. მოკლედ — დიდი და ლამაზი ჩოგნაობა უნდა შემდგარიყო.

ვაგლახ — როკოდრომოში შეკრებილნიც და ტელევიზორებთან დადარაჯებულნიც იმედგაცრუებულნი დარჩნენ. ნოვაკმა საზარდული მოიხატკივრა და თამაშზე უარი განაცხადა, რაიც იმას ნიშნავდა, რომ 32 წლის არმენოამერიკელს მისი ყოვლადსარეკორდო მე-15 მასტერსტიტული გამარჯვებულისთვის დათქმული 402 ათასი დოლარითურთ ფინალში ჩოგნის გაუნძრევლად უნდა რგებოდა

ასეთი რამ, ანუ მასტერსხონჩა ვინმეს გადამწყვეტ მატჩში გაურჯელად მოენაგროს, პირველად მოხდა. ამის მსგავსი ისტორიას მხოლოდ ის ახსოვს, 1996 წლის მაიამური მასტერსის ფინალში გორან ივანიშევიჩი იმავე აგასისთან 0:3 რომ აგებდა და ტრავმის გამო მატჩის შეწყვეტა რომ ითხოვა...

რალა ბევრი გავაგრძელოთ, მადრიდის სადებიუტო მასტერსფინალი, აი, ასეთი უცნაური გამოდგა.

ნოვაკი: „ყველას ვებოდიშები, მაგრამ თამაში არ შემეძლო. ტრავმა ნახევარფინალის მიწურულს მივიღე, ვიფიქრე ხვალაც გადავიტან-მეთქი, მაგრამ არ მაცალა. მთელი დილა აუტანელი ტკივილი მქონდა და... განადგურებული ვარ, ძალიან დამწყდა გული. მე ხომ ჩემი პირველი დიდი ფინალი უნდა მეთამაშა... მაგრამ ასეთია სპორტული ცხოვრება, ასეთია ჩოგბურთი. ზოგჯერ ამგვარი რამეებიც ხდება".

აგასი: „იმედგამაცრუებელია, როცა ტურნირი ასე მთავრდება. ყველაზე მეტად იმედგაცრუებული ახლა თავად ირჟია. ძალიან ვწუხვარ მის გამო. იმედია, ის მალე მოირჩენს ტრავმას და სეზონს ისევე ჩინებულად გაასრულებს, როგორც აქამდე თამაშობდა... სხვაფრივ — ეს შესანიშნავი კვირა იყო და კმაყოფილი ვარ, აქ როგიანად რომ გამოვედი. ჩემთვის ყველაზე მთავარი სწორედ ესაა, თუმცა, თუკი ჩემპიონთა რბოლაში პირველობას მივაღწევ ესეც დიდებული რამ იქნება. პირველობა დიდი შრომის სიმბოლოა და ამდენად გამორჩეული მნიშვნელობა აქვს".

შრომა კი აგასიმ წლეულს მართლაც ხანაქებო გასწია — მართალია, ეს მისი მხოლოდ მე-13 ტურნირი გახლდათ, მაგრამ ამ ცამეტიდან შვიდში მან ფინალამდე იომა, ხოლო ხუთში სულაც გამარჯვებული დარჩა. მადრიდული მასტერსის გარდა მან რომაული და მაიამური მასტერსებიც აარხრა, დანარჩენი ორი ტიტული კი სკოტსდეილსა და ლოსანჯელესში მოიმკა. სანხოსეურ ფინალში მას ლეიტონ ჰიუიტმა სძლია, აშშ-ის ღია პირველობა კი სიყრმის დოსტსა და რაყიფს, პიტ სამპრასს დაუთმო.

სულ მან ამ სეზონში 58 შეხვედრა გამართა და აქედან 50-ში იმარჯვა. ბარემ აქვე გეტყვით, რომ 50-მოგებიან თამასას წლეულს მის გარდა მხოლოდ 3 იუიტი, კარლოს მოია და ნოვაკი შესწვდნენ. აი, მისდარად ხუთტიტულიანი მარაგი კი წლეულს ვერავის დაუგროვებია — ჰიუიტსა და მოიას მხოლოდ 4-4 ტიტული მოეძევებათ.

მადრიდში ანდრემ 54-ე საკარიერო ტიტული მიითვალა. მასზე მეტი დღემდე მოქმედ მჩოგნეთაგან მხოლოდ პიტ სამპრასს (64) მოეხვეჭა. აღსანიშნია ისიც, რომ აგასის ცხრა მასტერსტურნირიდან შვიდზე უხეირია და რომ ის პირველი მოთამაშეა, ვინაც ერთ სეზონში შეძლო, მასტერსტიტული მოეგო თიხაზეც (რომი), ჰერგარე მაგარსაფარზეც (მაიამი) და ჰერქვეშაც (მადრიდი).

და კიდევ — ამ გამარჯვებამ აგასი 43 ქულით მიაახლოვა ჩემპიონთა რბოლაში პირველ ადგილზე მყოფ ლეიტონ ჰიუიტს. ამ კვირაში აგასი სანქტ პეტერბურგში ითამაშებს, ჰიუიტი კი — სტოკჰოლმში. მათი გზები მომავალი ორშაბათიდან, პარიზულ მასტერსსაფარზე გადაიკვეთება, ხოლო საამსეზონო ურთიერთობებს ისინი საბოლოოდ შანხაის მასტერსთასზე გაარკვევენ.

**SWISSCOM CHALLENGE**
ციურიხი. ჰარდი
საპრიზო 1,224 მილიონი $

**მეოთხედფინალი**

**ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — კიმ კლაისტერსი (6, ბელგია) 6:3, 7:6 (7:5); **ჟუსტინ ენენი** (3, ბელგია) — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 7:5, 6:2; **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — დანიელა ჰანტუხოვა (7, სლოვაკეთი) 6:7 (5:7), 6:3, 7:6 (7:5); **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 7:5, 7:5

**ნახევარფინალი**

**დევენპორტი** — ენენი 7:6 (7:2), 7:6 (7:5); **შნიდერი** — მარტინესი 6:0, 6:3

**ფინალი**

**შნიდერი** — დევენპორტი 6:7 (5:7), 7:6 (10:8), 6:3

სულ რაღაც მეოთხე თვეა, რაც რომ 26 წლის ლინდსი დევენპორტი დიდ კორტს ნამუხლისოპერაციევი 9-თვიანი შესვენების შემდეგ მოუბრუნდა და აგერ უკვე მეოთხე ფინალი ითამაშა. მართალია, ამ ოთხიდან ერთიც ვერ მოიგო — ლოს ანჯელესში ჩანდა რუბინთან დათმო, ნიუ ჰევენში ვინუს უილიამსთან ვერ ივარგა, მოსკოვში მაგდალენა მალეევას შემოერცხა, ხოლო ციურიხში კი ადგილობრივთა ფავორიტმა პატი შნიდერმა სძლია — მაგრამ მის გარჯას ამით არც ფასი აკლდება და არც რა ეგ მით უფრო, რომ იმ ოთხ ტურნირზე, სადაც მან ფინალამდე ვერ იომა, სამჯერ ნახევარფინალს უწია, ერთხელ კი მეოთხედფინალში დამარცხდა, ისიც იმის გამო, რომ ფეხი იტკინა.

უტრავმოდ ვერც ამ შეხვედრამ ჩაიარა უფრო სწორად — თუკი 23 წლის შნიდერმა კარიერის მერვე ტიტულისა და გამარჯვებულისთვის კუთვნილი 182 ათასი დოლარის მოხვეჭა შეძლო, ეს მხოლოდ მისი უეჭველად კისკასი გარჯის შედეგი კი არ იყო, არამედ ლინდსის დაშავებული კოჭისაც. გადამწყვეტი მატჩის მსვლელობისას ამ კოჭს რამდენჯერმე მოუვლინნენ, მაგრამ დაცხრომა მაინც არ ისურვა. ყველაფერი კი მეორე სეტის ტაიბრეიკზე გადაწყდა, როცა შნიდერმა ლინდსის მატჩბურთი გაუტრიხავა და მატჩი მესამე სეტში გადაიყვანა.

ეს მათი მეექვსე შეხლა გახლდათ და ალპელს აქამდე ერთხელაც ვერ მოეგო. დევენპორტი კი ციურიხის სამგზის (1997, 1998, 2001) ჩემპიონია. სულ იქ ფინალში 6-ჯერ გასულა და წაგებული სამი ფინალიდან ერთში, ორი წლის წინ, ყველაზე სახელიან შვეიცარიელთან, მარტინა ჰინგისთან წაგო.

კარიერის უდიდესმა გამარჯვებამ შნიდერი რეიტინგსიაში მე-19 ადგილიდან მე-13-მდე ალაზევა, ხოლო პორშეს კლასიფიკაციაში, რომლის პირველი 8-ადგილოსანიც ლოს ანჯელესში, ქალთა ტურის დამაგვირგვინებელ სამილიონდოლარიან ჩემპიონატში ითამაშებს, ოცეულის მიღმიდან მე-14, „გამსვლელ" ადგილზე ასკუპა.

ლინდსის საჩემპიონატო შანსები აქამდეც კარგი ჰქონდა და მორიგ ფინალში გასვლის შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესდა. ერთი ეგ არის, რომ კოჭის ტრავმის გამო საამკვირაო, ლინცური ტურნირის გამოტოვება მოუწევს.

**ლევან კელაურაძე**



REUTERS ციურიხიდან

ლინდსი დევენპორტმა (მარჯვნივ) პატი შნიდერს ნანატრი გამარჯვება პირზე კოცნით მიულოცა

## რაგბი

**საქართველოს ჩემპიონატი**
მე-6 ტური

თბილისი
ლოკომოტივი 18:22 უნივერსიტეტი

ბათუმი
დათვები 2 11:18 დათვები

## ჰოკეი

**რეგულარული ჩემპიონატი** (NHL)

18 ოქტომბერი
ტამპა 8:5 ატლანტა *1:3 4:0 3:2*
ანაჰაიმი 2:2 ვანკუვერი *1:1 1:0 0:1 0:0*
ნიუ ჯერსი 3:2 ნეშვილი *0:0 2:1 0:1 1:0*

19 ოქტომბერი
ფილადელფია 3:1 ვაშინგტონი *0:1 2:0 1:0*
ბუფალო 2:3 ფინიქსი 1:0 0:1 1:2
კაროლინა 3:1 ნიუჯერსი *1:0 0:0 2:1*
მონრეალი 2:2 ტორონტო *0:1 2:0 0:1 0:0*
კოლუმბუსი 4:1 ფლორიდა *2:0 1:1 1:0*
ატლანტა 4:5 აილენდერსი *1:2 0:1 3:2*
რეინჯერსი 2:2 ნეშვილი *1:0 1:2 0:0 0:0*
პიტსბურგი 3:3 ტამპა *1:0 1:1 1:2 0:0*
სენტ ლუისი 5:3 დალასი *1:2 1:1 3:0*
მინესოტა 3:5 დეტროიტი *2:3 1:1 0:1*
ჩიკაგო 2:5 კალგარი *0:2 2:1 0:2*
ედმონტონი 3:4 ბოსტონი *0:0 1:2 2:2*
სან ხოსე 1:3 კოლორადო *1:0 0:0 0:3*
ლოს ანჯელესი 2:2 ვანკუვერი *0:0 0:1 2:1 0:0*

20 ოქტომბერი
დალასი 5:2 ვაშინგტონი *3:1 0:1 2:0*
ანაჰაიმი 3:2 კოლორადო *1:1 1:0 0:1 1:0*

კვირას, 20 ოქტომბერს, მართლაც უნიკალური რამ მოხდა ნჰლ-ის ისტორიაში — ერთმანეთს ორი შვეიცარიელი (!) მეკარე დაუპირისპირდა. აქედან ერთი, კოლორადოელი დავიდ ებიშერი, კარგა ხანია, პატრიკ რუას დუბლიორია, აი, ანაჰაიმელმა მარტინ გერბერმა კი ლიგაში დებიუტი გამართა, რომელიც იღბლიანი გამოდგა. ახალბედამ თავის თანამემამულეზე მეტი, 24 დარტყმა მოიგერია და გუნდის მოგებაში ლომის წილი დაიდო.

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

**ატლანტიკა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 5 | 3 | 2 | 0 | 0 | 19:12 | 8 |
| პიტსბურგი | 5 | 3 | 1 | 0 | 1 | 17:15 | 7 |
| ნიუ ჯერსი | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | 9:8 | 6 |
| რეინჯერსი | 6 | 2 | 2 | 0 | 2 | 16:21 | 6 |
| აილენდერსი | 5 | 2 | 1 | 0 | 2 | 14:17 | 5 |

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსტონი | 5 | 3 | 1 | 0 | 1 | 16:15 | 7 |
| ბუფალო | 5 | 2 | 1 | 0 | 2 | 17:12 | 5 |
| მონრეალი | 5 | 2 | 1 | 0 | 2 | 12:17 | 5 |
| ტორონტო | 6 | 2 | 1 | 0 | 3 | 22:17 | 5 |
| ოტავა | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 5:4 | 4 |

**სამხრეთ აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპა | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 20:12 | 7 |
| ვაშინგტონი | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 12:14 | 6 |
| კაროლინა | 6 | 2 | 0 | 1 | 3 | 12:17 | 5 |
| ფლორიდა | 5 | 1 | 0 | 1 | 3 | 11:20 | 3 |
| ატლანტა | 5 | 0 | 0 | 1 | 4 | 18:26 | 1 |

**დასავლეთ კონფერენცია**

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 5 | 3 | 1 | 0 | 1 | 19:11 | 7 |
| დეტროიტი | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 19:14 | 6 |
| ჩიკაგო | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 10:8 | 4 |
| კოლუმბუსი | 5 | 2 | 0 | 0 | 3 | 11:16 | 4 |
| ნეშვილი | 5 | 0 | 1 | 2 | 2 | 13:17 | 3 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მინესოტა | 5 | 3 | 1 | 0 | 1 | 17:10 | 7 |
| კოლორადო | 5 | 2 | 1 | 1 | 1 | 11:8 | 6 |
| ვანკუვერი | 6 | 2 | 2 | 0 | 2 | 17:16 | 6 |
| კალგარი | 5 | 2 | 1 | 0 | 2 | 15:15 | 5 |
| ედმონტონი | 5 | 1 | 1 | 0 | 3 | 11:15 | 3 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 7 | 4 | 1 | 0 | 2 | 22:15 | 9 |
| ლოს ანჯელესი | 5 | 3 | 1 | 0 | 1 | 14:11 | 7 |
| ანაჰაიმი | 6 | 2 | 1 | 0 | 3 | 15:19 | 5 |
| ფინიქსი | 6 | 2 | 0 | 0 | 4 | 14:20 | 4 |
| სან ხოსე | 4 | 1 | 0 | 0 | 3 | 11:17 | 2 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge